ლიტერატურული გაზეთი

№20 (324) 28 ოქტომბერი - 10 ნოემბერი 2022 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევობით ფასი 80 თეთრი

ბესო ხვედელიძე

ინფიცირება

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

„რაც მნიშვნელოვანია,
ყოველთვის სადმე სხვაგანაა“.
ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი. „პატარა პრინცი“.

გივი... გივი! გივი, წავიდნენ!“
რეზო ჭეიშვილი. „ცისფერი მთები“.

1.

— გარეკავ ეგრე, სუ სახლში ჯდომით, ვასა! — ეს სიყმაწვილის მეგობრებიდან ჯიუტად შემორჩენილი ბესა ამიტყდა თავისი კოლხური აქცენტებით, თორემ მე რა... ვიდევი ჩემს გენშტაბივით ოთახში აფხაზეთის ბედასლი ომიდან შავზე მუქი დეპრესიით დაბრუნებული, სახლიდან ცხვირს ორი წელიწადი გაკერპებული თითქმის არ ვყოფდი, ოცდაოთხი წლის ასაკში ლამის ყველა მტოკავი ორგანოთი უკვე გამოტირებული მყავდა ომში დაღუპული ღიმილის ბიჭებივით ძმები, გაქსუებული და ღაბაბადქცეული სამეგობრო წრე, მყარ ვალუტაზე უშნოდ გათხოვილი სალათისფერთვალება შეყვარებული, შესაბამისად — რიგითი სანთებელასავით დაკარგული სიყვარულის რწმენა, შელახულ-შელანძღული ქალაქი და გადახურდავებული სამშობლო. ყოველდღე მყარად და ხვავრიელად დასპირტული ყასიდად ვუსმენდი გულის და სულის ბალღამის გასათხევადებელ, ოკეანისგაღმურ რეგეებს და აღმაშენებლის გამზირიდან ფართოდ მოწყენილი მზერით თოვლით გადაქერტლილ მთაწმინდის ხედს გავცქეროდი.

— დაგერხევა, ვასა, გეუნევი! რა ამბავია ამდენი დალევა?

— ჰო...

— უმურტლეს დეპრესიას აიკიდებ!..

— ჰო...

— თან მანიაკალურს!.. გამოკეტვა წაგებაა, გეუნევი რა!

— რამდენჯერ უნდა გითხრა — ჰო, ბეს?!

— რა — ჰო?! არაფერი შენ არ იცი!

— რა არ ვიცი, აბა, ახსენი ერთი?

— უნდა გაიხსნა, ვასა!..

— რამდენ თითზე?!

— რამდენ თითზე კი არა, ბოლომდე უნდა გახსნა ყველა შინაგანი კარ-აკოშკა!

— რა ხდება?.. პრარაბ-მშენებელი გახდი ამ მოწიფულ ასაკში, ბესარიონ?

— უნდა გაიღო ბოლომდე, გეუნევი რა!.. და დავიწყების თამამ სიოს ჩააბარო ბიოგრაფიის უკვე გარდასული, გადამძაღებული წლები!

— დავაი რა — ვარდებს უფურჩქნე ეგ რიჟა პოეტური კოკრები!

— იცოდე, ჩვენი ცხვრები ერთად აღარასდროს მოძოვენ, ვასა!

— კაცო, შენ ჭეშმარიტი მარგალიტი ხარ თუ ვიღაც მოთუშული, ტყაპუჭიანი მეცხვარე?

— მე ვარ დინოზავრის ნაკვალევი ნოქალაქევში და მესამე წარბი, რომლის ქვეშაც, ხომ იცი, რაცაა?

— წირპლი! სხვა რა უნდა იყოს?..

— ადე-მეთქი, გაიარე და ნახავ, თუ არ აღგიდგეს ყველაფერი!

— მიდგება ისეც!

— მანახე, აბა!!!

ბესა დიდოსტატური კოლხური პლასტიკურობით ისხლეტდა ჩემს ღვარძლიან საპასუხო ჩხვლეტებს, თან სულისამომხდელი შემოჭიჭინებაც იცოდა: შეიჭამდა თავს ძვალ-ხრტილ-ღრძილ-ელენთიანად და თავისას მაინც გაიტანდა. არადა, რა უნდოდა, რო?.. ბევრიც არაფერი სათავისოდ. სადღაც ჩემდა სასიკეთოები უფრო ერია მის ამ ტვინისგამაწვრილებელ შეხურება-წაქეზებაში:

II-III

ყარამან ჯიქურაული

*

რაც მელვილი წავიკითხე,
ჩემი გარემომცველი სამყარო გატენილია
ვეშაპებით —
ყველგან ვეშაპებია —
სულიერი არსებები თუ უსულო საგნები,
ყველა და ყველაფერი
ვეშაპებად,
ვეშაპთა სახეობებად
და ქვესახეობებად იყოფა.
ქუჩაში — მწვანე ავტობუსი კაშალოტია ,
მიკროავტობუსი — ცელნამგალა,
მინივენი — ფინვალი.
ყველა მსუბუქი მანქანა
ფოლიოში მითითებულ
ნებისმიერ ლევიათანს
შემიძლია შევუფერ-შევუსაბამო

*

ფრთები გავშალე მარტოობაში.
ახლა სამნი ვართ —
მე, ჩემი ფრთები.
შედეგად უკვე სამნი ვართ ახლა:
მე, შთაგონება, თვითირონია.
შვებულებაში გავუშვი განსჯა,
უჩემოდ ორი თვით ირონია

IV-V



ნათია როსტიაშვილი

თბილისი-ბათუმი-თბილისი

მინიატიურებად დატეხილი ზაფხული

ცდისპირი

იმის გასარკვევად, იღბლიანია ადამიანი თუ არა, პირადი ტესტი მაქვს შემუშავებული. პირობა ასეთია: ზაფხული უნდა იყოს, ცდისპირი ზღვაზე მიდიოდეს დასასვენებლად. ბათუმში, ქობულეთში, ურეკში — სადაც გაუხარდება, სადამდისაც ჯიბე გასწვდება. მთავარია, დღის სწრაფმავალი მატარებლით მიდიოდეს.

აჰა, დგას ეს ჩვენი ცდისპირი სალაროსთან და ტიხარს იქით, თითქოს, უბრალო ბილეთი კი არ ამოებეჭდოთ — დოლურადან ლატარიის ნომერი ამოეღოთ, მისი იღბლიანობა-უიღბლობის საკითხი წყდება. ცდისპირი მოლარეს უღიმის, ტრიალდება და მიდის ბაქნისკენ. მიდის და ჩვენც ფეხდაფეხ მივყვებით უხილავი, მაგრამ მაინც შავი სათვალით, ლაბადითა და შლაპით. რაკი ასე ვართ გამოწყობილი (თუნდაც — უჩინრად), სიტყვას „მივყვებით“ სამართლიანად ვცვლით სიტყვით „ავედევნებით“ და ამასობაში ადის ეს კაცი მატარებელში, ჯდება ვაგონში. მატარებელი იწყებს როხროხს და ჩვენც, იქვე, შედეგის მოლოდინში, გემრიელად ვიფშვნეტთ ამ ჩვენს უხილავ ხელებს.

ჩემს ტესტს წინაპირობა აქვს ვრცელი, თორემ საქმე რომ მატარებლის დაძვრამდე მივა, პასუხი მარტივია: წაღმა გიწევს მგზავრობა — იღბლიანი ხარ, უკუღმა — უიღბლო.

...და აი, გათენდა ზაფხულის ის უჩვეულო დღეც, როცა თავად ვარ ცდისპირიც და დამკვირვებელიც. ხილული ჭრელი კაბა და უხილავი შავი ლაბადა ერთდროულად მაცვია. ვაგონში ვზივარ, ხელში ზღვაზე წასასვლელი ბილეთი მიჭირავს.

აჰა, დაიძრა ეს ოხერი, ოხერი მატარებელი! დაიძრა და მიმაქროლებს იმდაგვარად, რომ ფანჯრისთვის მიშვერილ სახეზე ქარი კი არ მელამუნება, თვალებს კი არ მანაბინებს, პირიქით, ჩემს საგულდაგულოდ ნავარცხნ თმას კეფიდან მოაფრიალებს და სახეში მაყრის. ამ უკუღმა მგზავრობაზე დიდი გაურკვევლობა თუ რამე არსებობდეს ქვეყნად, მე არ ვიყო ჩემივ თავის ცდისპირი! ისეთი შეგრძნებაა, თითქოს კი არ მიდიხარ, მოდიხარ, ოღონდ უკუღმა. თან თუ კეპიც უკუღმა გახურავს (ის ანეკდოტი გახსოვთ? „ჯო, მიდიხარ თუ მოდიხარ?“), საერთოდ კარგავ წასვლა-მოსვლის შეგრძნებას, ბრუვდები. თავი სიცარიელით გევსება, აღარ გშურს წაღმა მსხდომი მგზავრების (სიცარიელეში შური-მური ვეღარ ეტევა) და ხარ ეგრე, ნირვანაში.

— მე კარგად ყოფნა მინდოდეს, ე ბილეთი დამიჭერს?! — ჩემს გაბრუებულ თავს ცალყბად ვამხნევებ. არ ვიმჩნევ, მაგრამ გაბრაზებული ვარ ამ ჩემს ოხერ ტესტზე.

გონებაში უკვე დაწერილ ამ მინიატიურას ფურცელზე გადმოტანამდე სათაურს ვუცვლი. აქამდე თუ „ტესტი“ დავარქვი, ახლა ისე გამეტებით ვშლი, ლამის საფეთქელი გამომეხეს შიგნიდან. ახალ სათაურს ვაწერ: „ცდისპირი“ და ხელჩანთიდან წიგნს ვიღებ წასაკითხად. რაკი მატარებლის ამ ძალადობრივი უკუღმა მგზავრობისთვის წინააღმდეგობის გაწევა არ შემიძლია, ვცდილობ, სიამოვნება მაინც მივიღო.

VI-VII



ინფიცირება

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

დასაწყისი პირველ გვერდზე

უკვე მესამე თვე იქნებოდა, თბილისური FM-რადიოსადგურის „რადიო-ჯას“ არტ-მენეჯერად იყო დანიშნული. პარასკევობით არავინ ეჯდათ ღამის რადიო-ეთერში. ყოველდღე ღამისთევისთვის არავის ეცალა 1997 წლის გაძვალტყავებულ, თოვლიან ზამთარში, შესაბამისად, ეგეთ უწამყვანო ღამით, უბრალოდ, რომელიმე წყნარ-მუსიკიან კომპაქტ-დისკს დებდნენ ავტო-პილოტზე და დილამდე რომელიმე ჯგუფის თუ მომღერლის ერთი და იგივე ალბომი ბურღავდა სმენას ეთერიდან ათჯერ-თორმეტჯერ-თოთხმეტჯერ-ოცდარვაჯერ ან ათორმოცჯერ...

შენ დარჩი ხოლმე პარასკევ ღამით ეთერში სამორიგეოდო, მაგაზე მკერავდა ეს ყოვლად არა-თერძი პიროვნება.

— მილიონობით კუპონსაც დაიწერ ჯიბისთვის, გეუნევი, ვასა! ინფლაცია კია სასწაული, მაგრამ მაინც! რაც გინდა, ის უშვი ეთერში! კაი ჩვენებური მუსიკები რომ იცი, კი ვიცი!.. ოღონდ რუსული ბლატნოები და იტალიურები არ გამაგონო! რამესაც თუ იბაზრებ სიმღერებს შორის, თლა სუპერ-მარადონობა იქნება!.. ასე, ღამის ოთხამდე ხომ გაქაჩავ?.. ღამურა ხომ ხარ გაგებით?.. თუ ბუა ეგ, ვასა?

— პელიკანი!

— ჰოდა, ხიე მერე რამე სექსი-ნეჟინი-მაროჟნი ალბომი პატივცემულ ეთერს და ტახტზე მიწექი!.. რვაზე შეგცვლის დილის სმენა! ანდერსთენდ, ვასა?.. რა შუაშია აქ პელიკანი?!

— ბებიაჩემის მოქოქილს გავხარ...

— რათ უნდა ამას ბებიაშენი, ვასა?

მაინც კაი ხანს, ჯიუტად ვიჯექ შინაგან ვირზე მაკე ჯორივით.

2.

ღამის საეთერო მორიგეობა „რადიო-ჯაში“ საღამოს ათზე იწყებოდა.

ნახევარი საათით ადრე მიფლატუნებულს თორმეტსართულიანი შენობის ბოლო სართულზე განთავსებულ რადიო-სტუდიაში მხოლოდ ბესა, მძღოლი და საეთერო სმენის ბოლო რადიო-წამყვანი დამხვდნენ. დამხვდურებმა ფიცხლად ამიხსნეს ყველაფერი: აპარატურა-პულტი-მიქშერი-ბაზარი-ვაგზალი. რა კასეტა-სიდი სად იდო, მაგაშიც ელვის სისწრაფით გამარკვიეს.

მოკლედ, საღამოს ათიდან დილის რვამდე უნდა მემორიგეგვა: უფრო სწორად, ათზე რომ დავიწყებდი საეთერო მუსიკალურ პროგრამას, პირველი საათი, ღამის ეთერის მოთელვასავით, მარტოს უნდა გადამეგორებინა. მერე, თერთმეტზე, რაღაც ერთსაათიანი საავტორო გადაცემა იწყებოდა. აი, მანდ უკვე მხოლოდ სანახევროდ ვიყავი შუაში.

— თერთმეტისთვის გადაცემა „ლუფერას“ წამყვანი მოვა!

— ლიფტი რო არაა მაგ დროს?

— ფეხით ამოასკდება! კაია ჯამთელობისთვის! ახლა რომელია?

— ათია ბეზ პიწი მინუტ!

— აგერ, მაგ გადაცემის ფონი კასეტაზე! უკვე დაყენებულია! „ლუფერას“ ქუდიც აგერაა! ქუდის მერე ფონი გაუშვი და გადაცემის მიკროფონი გაუხსენი ავტორს! იბაზრებს თავისას კოხტად, მორჩება თორმეტზე და წავა, ვასა! ეგაა და გორის ციხე, გეუნევი რა! გორის ციხე, ხომ იცი, სადაა?

— კასპთან. მერე?

— მერე დაჯექი და ტელეფონზე რადიომსმენელი ნაშები კერე!.. ოღონდ აქ არ ამოიყვანო არავინ! რა მერე?! მერე ისევ შენ ხარ ეთერში დილის რვამდე, ვიდრემდე ქეთო შეგცვლის!..

— ქეთო ვინღაა?

— კოტეს მიჯნური!.. ხომ არ ნერვიულობ, ან გეშინია? ჰე, გამოტყდი ახლა, ვასა!

— ისა და, მეშინია, გკითხო — ბებიაშენი როგორაა?

— შტირლიცივით გისმენ, გეუნევი იცოდე! აბა, უდასტოინესად, ვასა! — გამამხნევა ბესამ მხარზე მეგობრული მუჭით, ის ორნიც დამემშვიდობნენ და რადიო-სტუდიას მარტოდმარტო შემატოვეს.

რა გაეწყობოდა?.. პირველი საათი სულ ჩემგემოიანი იყო: რაც კი გემრიელი, ჯინსებშემოხეული მუსიკა გამახსენდა, ყველა რიგრიგობით ვუშვი ეთერში. თან საათისკენაც ვიყურებოდი. იმ საავტორო გადაცემის ფონი და ქუდიც გამზადებული მქონდა, წამყვანის მიკროფონი ხომ — თავისთავად.

თერთმეტს ათი აკლდა, ოფისის კარზე რომ მოაკაკუნეს. დაფაცურებულმა, რაც ხელში მომხვდა, და ეს იყო ბობ მარლის „Natural mystic“, ეთერში შევაგდე და ყურსაცვამები შევიხსენი.

რადიო-ოფისის თუჯის კარიბჭე ავი ღრჭიალით გამოვაღე თუ არა, მოულოდნელობისგან დამბურძგლავად შემაბარძგალა: როგორც ვიცოდი, „რადიო-ჯას“ ძირითადად ჩემხელა (ასე 22-27 წლის) თანამშრომლები ჰყავდა. მიახლოებით ამ ასაკისას ველოდი მეც, ზღურბლზე კი, ჩემი მოლოდინისდა ორნახევარჯერ საპირისპიროდ, ასე სამოც წლამდე, თმაშევერცხლილი, წარმოსადეგი მამაკაცი იდგა.

ეს უკვე, ბობ მარლის სიმღერისა არ იყოს, უდედანაღდეს მისტიკას წააგავდა.

მამაკაცს თეთრი ლაბადა ემოსა და ამ ფერისვე შარვალი ეცვა. ფეხზე თეთრფეხსაცმლიანს ხელში თეთრი პორტფელი ეჭირა და თეთრზე თეთრი კბილებით იღიმებოდა. ჯამში: გამოიყურებოდა ასაკში შესული ჯიმ კერისა და ჯიმ ჯარმუშის გრადაციასავით...

— აქა მშვიდობიანი სალამი! აჰ, თქვენ ახალი ხართ ალბათ!.. ანუ მეღირსა, როგორც იქნა?! ჰოი, საოცრებავ! აი, მე კი, რადიო-გადაცემა „ლუფერას“ ავტორი და წამყვანი გახლავართ! — მომაყარა მარდი სხაპასხუპით და მარჯვენა ძალიან ახლობლურად გამომიწოდა.

— ვასო, — დაბნეულმა ჩამოვართვი ხელი.

— ედგარი! — მომიგო მან და სტუდიაში შინაურული რიხით შემოაბიჯა.

3.

— ...ქვემო სივრცეში მხოლოდ ჩამქრალ ძენგთა მელნისფრად მანათობელ ლაქებს თუ გადაეყრებით. უახლეს ფსიქო-ნანოპატიურ ტექნოლოგიებზე დაყრდნობით, ლუფერას ზედა სივრცეში მოსახლე პაპანაშებს მიეცათ საშუალება, დაწვრილმანებით შეესწავლათ როგორც საკუთარი თავი, ასევე მათივე შექმნილ ძენგთა უნიკალური ფენომენი. როგორც წინა გადაცემაში მოგახსენეთ, ძენგები წარმოიშობიან ლუფერელ პაპანაშთა დაჟინებული ფიქრით, უფრო სწორად კი, პაპანაშთა დაჟინებული სურვილის ძალით. ეს ენერგია მათ ხელისგულზე მოკლე ხანში მატერიალიზდება კრისტალური სიმკვრივის მასად. ეს მასა კი, თავის მხრივ, განუწყვეტელი ზრდის შედეგად, მალევე იქცევა, მიახლოებით ორი მეტრის სიმაღლისა და სიგანის, მელნისფრად მანათობელ სფეროდ!..

ამ ყოვლად ბუნდოვანი გაუგებრობის ყურისგდების თავი, ნერვი, ძალა დაა შუბლისძარღვი ნაღდად არ მქონდა, ამიტომაც ედგარ-წამყვანი გახსნილი მიკროფონითურთ საეთერო სტუდიას ფეხაკრეფით შევატოვე და რადიო-ოფისის აქეთა, საერთო ოთახში გამოვედი.

დიდი ფანჯრის მიღმა ალაგაციმციმებული თბილის-ქალაქი სულთმობრძავად ბჟუტავდა. დედაქალაქის დიდ ნაწილს ღამით საერთოდ არ ჰქონდა დენი. ჩვენც, ანუ ამ ჩვენს რადიოსადგურს, ღამებნელში ბენზინის გრუხუნა, ტერმინატორივით ტანადი და ბრგე გენერატორი გვაცოცხლებდა.

გაქუცულ ტახტზე მიგდებულმა სიგარეტს გავუკიდე, ჩამქრალი ტელევიზორი ავანთე და არხების ძებნას შევუდექი. მთელი ორმოცდათხუთმეტი წუთი წინ იყო. ხანგამოშვებით სტუდიისკენ ვიწვრილებდი ყურს: იქიდან გადაცემის წამყვანის გაურკვეველი და უწყვეტი ბუბუნის ხმა ისმოდა, რაც ნიშნავდა, რომ გადაცემა „ლუფერა“ პირდაპირ ეთერში შეუფერხებლად გადიოდა.

დრომ სომალელი სპრინტერივით გაირბინა. სამი ღერი „კოლხეთის“ მოწევა მაინც მოვასწარი, ტელევიზორიდან კი, ტელედიქტორმა გოგონამ, იმ დროს მოდური, ანუ ღამის პარანორმალური ტელე-ყვირილით გამაყრუა, რომ მსოფლიოში უგრანდიოზულეს უცნაურობას — ვებ-ქსელ „ინტერნეტს“ იგონებდნენ, როგორც ასეთს.

— მოგახსენებთ! რომ ინტერნეტი! ეს ერთმანეთზე მიერთებული კომპიუტერების საჯაროდ ხელმისაწვდომი „მსოფლიო-ქსელი“! ანუ ქსელთა ქსელი იქნება! სადაც მომხმარებლებს მიეცემათ საშუალება! ნებისმიერი კომპიუტერიდან მიიღონ ინფორმაცია!!! ინტერნეტი! ანუ გლობალური კომპიუტერული ქსელი დაფუძნებულ იქნება აიპი-პროტოკოლსა! და პაკეტთა მარშრუტიზაციაზე!!! ინტერნეტი შექმნის გლობალურ საინფორმაციო სივრცეს!!! მსოფლიო მასშტაბით განვითარებულ ქსელს ჯერჯერობით „მსოფლიო აბლაბუდა“ ეწოდება!!!

თორმეტს აღარაფერი აკლდა, სტუდიაში ღამის ყურებდაგუბებული რომ შევბრუნდი. გადაცემის წამყვანს წასაკითხი ფურცლების დასტა ბოლომდე დაეცოტავებინა და უკვე სულ ბოლო გვერდიდან ასეთებს კითხულობდა:

— ...და ბოლოს დგება დაბადების, ანუ მანათობელი სფეროდან გამოსვლის ჟამი! ამ დროს მელნისფრად მანათობელი სფერო ავტორ-პაპანაშის მიერ უკვე გადატანილია ლუფერას ზედა სივრციდან ქვედაში. აქ ის იწყებს ამ სფეროს დაჟინებული მზერით მტვრევას, რის შედეგადაც მალევე ათავისუფლებს იქ გამომწყვდეულ საკუთარი სურვილის პირმშოს, რომელიც ასევე მელნისფრად ანათებს და თან ულტრა-გარდასახვის საოცარი თვისებაც მაშინვე უნდა გამოამჟღავნოს, ანუ უმალ გარდაისახოს შემქმნელ-პაპანაშის ასლად, ანუ კოპიოდ!.. ამით ის უბრალოდ არწმუნებს თავის შემქმნელს, რომ ის მართლაც არსებობს და ყოველმხრივ მწყობრშია!.. კხმ!.. დიახ, ულტრა-გარდასახვისას მას უკვე, ასე ვთქვათ, მამა-პაპანაშის სახება აქვს და მისი თვისებებით შემკულ-აღჭურვილი მიზნობრივად ქრება ადგილიდან. ამ დროს მას ძალუძს ნებისმიერ წარმოუდგენელ დისტანციაზე გადაადგილდეს, სადაც გარკვეული მისია აკისრია. მისიის აღსრულების შემდგომ ის უბრუნდება „ლუფერას“ ზედა სივრცეს და ბარდება შემქმნელ-პატრონს... კხმ... შემდგომ უკვე მისი შემქმნელი-პაპანაში წყვეტს: დაიტოვოს ის მისიონერ-ძენგად სამომავლოდ, თუ უარი თქვას მის სამსახურზე და სამუდამოდ ჩააქროს... ძენგს, რომელიც მელნისფერი სფეროდან გამოსვლისას ვერ გარდაისახება შემქმნელის სახებად, ანუ კოპიო-ასლად, მამა-პაპანაში, ასევე საკუთარი სურვილის ძალით, ადგილზევე აქრობს!.. კხმ... შემდეგში მელნისფრად მანათობელ იმ რამდენიმე კვადრატულ მეტრს, როგორც უნაყოფო ადგილს, არცერთი პაპანაში აღარ ეკარება და ის მუდმივ მელნისფრად მანათობელ ლაქად რჩება ქვემო სივრცეში!.. ამ ტერიტორიას ლუფერაზე დღემდე „მელნისფერ სასაფლაოს“ უწოდებენ!

ასე დაასრულა გადაცემის ედგარ-წამყვანმა ფურცლიდან ტექსტის კითხვა, მერე შეფიცულ-განდობილის იერით გამომხედა და თავი აქამდე დაუწერელი ზღაპრის კეთილი ბერიკაც-ფერიასავით დამიქნია. პასუხად ეთერში გადაცემის პრომო-ტიხარი გავუშვი, შემდეგ მუსიკალური ფონით შევცვალე, ედგარმა კი მიკროფონში ომახიანად ბრძანა:

— რადიო-გადაცემა „ლუფერას“ დღევანდელი გამოშვება ამით დასრულებულია! მას უძღვებოდა ავტორი — ედგარ მელია!.. შევხვდებით მომავალ პარასკევს, ტრადიციულად ისევ აქ, ანუ „რადიო-ჯას“ ეთერში, საღამოს თერთმეტი საათიდან! მომავალ შეხვედრამდე, პატივცემულო რადიომსმენელო!

მე ისევ გადავტიხრე, მერე ეთერში ლეონარდ კოენის „Hallelujah“ შევაგდე და სადღაც შვებითაც ამოვისუნთქე. ეთერში იმ წინა ერთსაათიანი ეული გაშლიგინების შემდეგ ეს მეორე საეთერო გამოცდაც, თითქოსდა, წარმატებით ჩაბარებულს ჰგავდა.

გადაცემის ედგარ-წამყვანი კაი ხანს უძველესი მეგვიპტური პერგამენტებივით ფრთხილად ალაგებდა პორტფელში აჭრელებულ ფურცლებს.

რაღაც აშკარად უნდა მექნა, ეს უხერხული სიჩუმე რომ გადამეფარა.

— ბატონო ედგარ!.. — დავიწყე რაც შეიძლებოდა თამამად, მაგრამ ედგარის მიერ მყის მონათებულმა, უცნაურმა, მომელნისფროდ ანთებულმა მზერამ გამაჩერა. მივხვდი, რომ მისი თვალის ფერისთვის საერთოდ არ მიმექცია ყურადღება.

— გისმენთ! — იყო მის ხმაშიც რაღაც უცხო და სხვანაირიც.

— ბატონო ედგარ, უკაცრავად, მაგრამ...

— დიახ-დიახ! გულდასმით გისმენთ!

— აი, ეგ!.. თქვენი გადაცემის სათაური... „ლუფერა“!.. რას ნიშნავს? — ვიკითხე გაუბედავად, გაღიმებასავითაც ვცადე, მაგრამ ედგარმა ყველაფერი დამასწრო — მაშინვე სახეანთებული წამოიჭრა ფეხზე და სტუდიაში ისე ნერვიულად გაიარ-გამოიარა, ირგვლივ მცირედი ნიავივით სიო, თუ სიოსავით ნიავიც კი გამოინვია.

— ჩემო ვასო! — დაიწყო იქვე აღტაცებით, — ახლა შენ დამისვი ყველაზე ჭკვიანური კითხვა, რომელიც... რამდენი თვეა, ეს გადაცემა ეთერში გადის?.. ჰო... ექვსი!.. ჯერ არავის დაუსვამს!.. გადამრევენ ეს ტუტუცები!!! — მყისიერად შუბლი და წარბებიც შეკრა ბატონმა ედგარმა.

— ვინ ტუტუცები? — ვერაფერს მივხვდი.

— ვიინ?!. ვინ და ამ რადიოს უფროსობა!.. გაგიგონია, ნახევარი წელი შენივე რადიოს ეთერში გადაცემა გადიოდეს და ერთხელაც არ დაინტერესდე, თუ რას ნიშნავს მისი სათაური?!. ეგ კი არა, დღეს პირველი შემთხვევაა ამ გადაცემის ისტორიაში, ვიღაც რომ მიზის საეთერო პულტთან დამხმარე ძალად! ბარაქალა ამათ!

— დიახ-თ!

— იცი შენ, ჩემო ვასო, რომ მთელი ექვსი თვე მე მარტო ვუშვებდი გადაცემა „ლუფერას“ ეთერში?! მთელი ექვსი თვე ეს მე ვაყენებდი ეთერში მის ქუდს, მის ფონსაც! გადაცემის დასასრულს კი რაიმე წყნარ სიდის ჩავაგდებდი და გასაღებს ფეხის საწმენდი ტილოს ქვეშ ვტოვებდი! არა, შენ თუ წარმოგიდგენია?!

— ყვავილების კი არა, დებილების ქვეყანაა!.. — გამართლებასავით გამომივიდა და მთლად გავინაბე.

— დიდი ეჭვი მაქვს, რომ საერთოდ არ უსმენენ საკუთარ რადიოს და ღირსებიც არიან, ასე უშვერად რომ ვიხსენიებ!!!

ეთერში მუსიკა ნაადრევად შევცვალე, „როლინგების“ „Satisfaction“ ჩავრთე და ისევ ედგარს მივუტრიალდი. იმანაც, თითქოს ამას ელოდაო, მაშინვე მომაყარა:

— ხოლო, ლუფერა კი, ჩემო ვასო, ახლავე მოგახსენებ!..

— დიახ-თ...

— ეს გახლავს ასმეთორმეტე მეტა-გალაქტიკაში მდებარე რიგით მეოთხე დელტა-ცენტრუმ ბიო-პლანეტა!..

— დიახ-თ...

— რომელიც 1786 წელს აღმოაჩინა დიდმა ფრანგმა ასტრონომმა დიდიე კიაზომ! ასტიგმატიზმი ჰქონდა სხვათაშორის დაბადებიდან...

— დიახ-თ!.. არ გამიგია...

— ეგ არაა ტრაგედია!.. და სწორედ იქ, პლანეტა ლუფერაზე, როგორც დღევანდელ გადაცემაში ავხსენი მორიგჯერ, ჩემი მამა-პაპანაშის დაჟინებული ნება-სურვილით, მე ვმატერიალიზდი და ვიშვი მის პირად ძენგად!.. ხოლო გარდასახვისას კი, ჩემო ვასო, ვიქეც ჩემივ შემქმნელი პაპანაშის კოპიო სახებად!

— დდიახხ...

— ამის შემდგომ კი, მე უკვე სასწრაფოდ ტრანსმიგრირებულ ვიქენ პლანეტა ლუფერადან აქეთ, ამ თქვენს ყოველმხრივ დავრდომილ დედამიწაზე...

— ხხ...

— ...უკვე როგორც ედგარ მელია!.. რათა ვამცნო დედამიწელებს პლანეტა ლუფერას უკეთილშობილესი და მაღალგანვითარებული ცივილიზაციის არსებობის შესახებ და რამეს მაინც მიგახვედროთ ეს ჩამორჩენილი ველურები!

— ...

— ...და რადიო-გადაცემა „ლუფერაც“ სწორედ ამ უმნიშვნელოვანეს კოსმოსურ მისიას ემსახურება!!

4.

ნაძალადევი სირაქლემას სახით ვიჯექი საეთერო პულტთან და თავში თითქოს ათასობით ბუსუსებიანი ბაღლინჯო დამიღოღავდა. ბოლო სართულის ფანჯრიდან ღამის ანაპერწკლებული თბილისი უკვე საზარლად სახიფათოდ იმზირებოდა. რა უნდა მეფიქრა, ან მექნა?.. ან რა მეეთერებოდა?.. უშნო ხუმრობასაც არ ჰგავდა ეს ყველაფერი... და მართლაც, საერთოდ არ ჰგავდა ეგეთ მჩატე კაცს ედგარ მელია; ამ გადმოსახედიდან ზედმეტად სერიოზულად და რესპექტაბელურადაც კი გამოიყურებოდა, მაგრამ სიმართლესთანაც რომ ვერაფრით ვაკავშირებდი ამ ყველაფერს, რომელ გამდინარე წყალში მესკუპა მეთორმეტე სართულიდან?..

რა მისია?.. სადაური პლანეტა?.. რომელი სახება?.. ეს მინდოდა კიდევ უამრავ ომგამოვლილს და მიწასთან მრავალგზის გასწორებულს?

— ძლივს არ ვნახე ნორმალური ადამიანი ამხელა რადიოში?! — აღტაცებით დამემშვიდობა ედგარი და რადიო-ოფისიდან გასვლისას ხელი მტკიცედ ჩამომართვა, — მომდევნო პარასკევამდე, ჩემო კეთილო მეგობარო!.. მომავალში თუ იქნა თქვენგან თანხმობა და ნება-სურვილი, მე შემიძლია, გადაცემის შემდეგაც დავრჩე ხოლმე რაღაც ხნით და დამატებითი ინფოც გაგიზიაროთ ეთერს გარეთ!.. რა თქმა უნდა, ლუფერას შესახებ!.. ხომ გაინტერესებთ?.. ლუფერას, ასე ვთქვათ, კლასგარეშე ამბები მაქვს მხედველობაში...

— ხომ... — ხელიდან მთლად წასული კი არა, უკვე საკმაოზე მეტად შორს გაქცეულიც ვიყავი.

საეთერო სტუდიაში ისევ მარტოდმარტო დარჩენილს აღარ ვიცოდი, რა მექნა. სიმღერებს არეულ-დარეულად ვუშვებდი ღამის ეთერში და კრიჭა შარვლის ელვასავით მქონდა შეკრული. მერე უცებ სტუდიის ტელეფონი აწკრიალდა და მოულოდნელობისგან ისეთი შევხტი, კინაღამ კუდუსუნი გამებზარა.

— ხმას რატომ არ იღებ ეთერში, ვასა?! — ბესა იყო.

— რავი...

— რა რავი?!. და მერე რანაირ სიმღერებს უშვებ?! თავი ბებიაჩემის მომავალ პანაშვიდზე მგონია!

— შუაღამეა და მაგიტო!.. გადაცემას უსმინე?

— აბა, გადაცემა?

— აი, იმას... თეთრ კაცს რო მიყავს...

— უჰ!.. მაიცა რა, ვასა!.. სად მაქვს ეგეთების თავი?! რაღაც ისტორიულ-კულტუროლოგიური თემაა ხომ?.. რომ დამნიშნეს, საეთერო ბადეში დამხვდა, გეუნევი! ძველი პროექტია... თუ არ ისმინება, ჩავახსნევინებ!.. შენ კიდევ, ამოიღე ეთერში ზმუკი!

— ნუ შემჭამე!.. აკლიმატიზაციაში ვარ!.. ვხურდები!

ბესა აშკარად მკვახე ტყემალზე იჯდა, მე კიდევ, ედგარ მელიას გამო, მთელი ღამის განმავლობაში ისეთი ფინთი შიშები მახრამუნებდა, გვერდით გახედვისაც კი მეშინოდა.

ბესას თხოვნა-მუდარის მიუხედავად, იმ ღამით, ეთერში, კრინტი მაინც არ დამიძრავს, უბრალოდ, სიმღერებს ვუნაცვლებდი ერთმანეთს, თან ვცდილობდი, რამით გამემხნევებინა თავი, მაგრამ ლოგიკა და წარმოსახვა არ მემორჩილებოდა, გონებაც აცა-ბაცად დამირბოდა და მეც, ვინილის გაკაწრული ფირფიტასავით, ერთ ადგილას „ვბუქსაობდი“. არც კი მახსოვს, როდის ჩამეძინა.

დილით ჭრელხალათიანმა და უხოზიკესმა დამლაგებელმა ცოცხით ამაგდო სკამიდან:

— ადე, გენაზვალა! გაზენდა! ფეხები აზია... უნდა გამოხვეზა...

— ახლავე, უკაცრავად!

— აი, მალადეზ!.. მილიონ-მილიონ-მილიონ-ალიიხ-როოოზ!

თვალები მოვიფშვნიტე და საათს შევხედე — რვის ნახევარს აჩვენებდა.

— ჩამძინებია... ვერც გავიგე, როდის...

— აკ კველა ეგრე იზიზ... ზენ კაი ბიზი ხარ, ფეხზე რო არ გაიხაზა... მერე ნაზკიზ ზუნი ვერ გაზენი ოზახიდან... „ამინაუ“ ზარზე რა ზმურად...

— ეხლავე!

მერე ქეთო მოვიდა.

ვიღაც გადარეული და სახურავახდილი უცხოელივით ეცვა: ქვემოთ ორზოლიანი „ადიდასის“ ცისფერი შარვალი. ფეხზე — ბრახუნა ბეჟი ტრაქტორები, ზემოთ — გაკრეჭილი მელნისფერი ცხვრის უსახელოებო ტყაპუჭივით ტყაპუჭი, ხელზე — ფეხბურთის მეკარის უთითებო ხელთათმანები, თავზე — ამერიკული სამხედრო „ფურაჟკა“, თმა — გრძელი, ბევრნაწნავიანი და ქერა, ტუჩები — მწვანე პომადით შეღებილი, თან ყველგან ვერცხლისფერი საყურე ეკეთა: ყურთა ბიბილოებსა და იგივ ყურთა ნიჟარების კიდეებზე, ქვედა ტუჩზე, ორივე წარბზე, ცხვირის ცალ ნესტოზე... მეტი არ უჩანდა.

— ჭიპზეც მაქვს!.. — მიმიხვდა ქეთო აზრთა მდინარებას მხიარულად, — და კიდევ ერთ ადგილასაც!..

— უკაცრავად... — მივხვდი, რომ სახისფერი სიწითლისკენ გამირბოდა.

— ახალი ხარ ხომ?.. პრივეტ!

— ისე რა!.. სალამი! — უცებ მოვიკრიბე ძალები და ვცადე, უკომპლექსო დამეჭირა.

— ხმას რატომ არ იღებდი ეთერში?

— რავი... მრცხვენოდა! შენა, „ლუფერა“ მოსმენილი გაქ? — იმავე ტალღაზე განვაგრძე მე.

— მე „ველვეტ ანდერგრაუნდი“, ნინა ჰაგენი და ეგეთი გიჟობები მევასებაააა!.. ახალი სიდია? სად დევს, აბა?.. ცხრიანის რეკლამის მერე გავუშვებ, თუ მანახეეებ!

— არა-არა! რა სიგიჟეები?.. ჩვენი გადაცემა როა... თუმცა...

— აუ, ღადაოოობ?.. მაგ კაცის ძაან მეშინიაააა!.. ერთხელ შემხვდა ლიფტში და ისე უცნაურად შემომხედა, მთელი დღე ვიღაც ბანძივით მამთქნარებდაااააა!..

— ჰა-ჰა!!!

— თან, ძაან მეზარება ცხოვრებაში ეს ისტორია და არქეოლოგია!.. შენ — არაااა?

არა! აქ ყველა ერთად აშკარად და დაჟინებით ურევდა, მაგრამ ყველაზე ნაკლებად, მაინც ალბათ გადაცემა „ლუფერა“ და მისი ედგარ-წამყვანი.

ქეთოსთვის აღარაფერი მითქვამს, მით უმეტეს, ჩემთვის აღარ ეცალა — მიკროფონს სასწრაფოდ რაღაც სადეზინფექციო ხსნარივით მიასხურა, მერე ცხვირსახოცით შეამშრალა და პირდაპირ ეთერში დილიდან, თავზეხელაღებულ კაკანს მოჰყვა:

— უკლებლივ ყველას ჰაუდუიუდუ და გუტენ მორგენ! მოგესალმებათ რადიოსადგური „რადიო-ჯა“ და მისი დილის ეთერის ტრადიციული წამყვანი გიჟი-დიჯეი ქეთოი! თბილისის დროით ჭეშმარიტად დილის რვა საათია! წესით ეს დრო უნდა იყოს — ანკარაში, ძეგვში, ელისტაში, აღაიანში, ზანზიბარში, ჯავას ხეობაში, ანტანანარივუში, ვაკის პარკში, ანაპაში, მარტვილის კანიონში, ვლადიკავკავში, „დინამო“ სტადიონზე, დერბენტში, წიფის გვირაბში, ნიკოფსიასა და დარუბანდამდე! გადაცილებულ წამებზე აღარ ვივაჭროთ! ტრადიციულად ვაპირებთ, არც მეტი და არამცთუ ნაკლები, ფრიადზე გავაუთოვოთ და გავათბოთ თებერვლის ეს სუსხიანი დილა! გრადუსი გვიდგას თბილისში პლუს რვა და კიდო ასი კუპონი! შუადღის თორმეტამდე თქვენი ვარ ბოლომდე! მრეკეთ ხოლმე, ხალხო, ტელეფონზე და მოწიწებით მთხოვეთ არაწესიერი სიმღერები! უკიდურესი აღგზნება და უზე დაწყებული კაი ამბები ჩემზე იყოს! უ-ზე იყება: უთეგენა-თალე, უთო, უნაბი, ულან-უდე, უმა ტურმანი, უსტ-კამენოგორსკი, ურა-პატრიოტიზმი, უიმერამეშველება, უჟასები, უპანიშადები, უფალო შეგვიწყალე და უ-ორი, ანუ იქაურად „2“! ბონოს ცოტა მერე გამოვიძახებთ!.. ირლანდიაში ჯერ ადრეა მაინც! მოკლედ, ვის ომი სურს ლოგინად და ვის მშვიდობაო? რა დაგთვლით ამდენ ცანგალებს და უფრო მეტ გოგონებს! მაშ, სწორდით სმენაზე! ბევრს ნუ მალაპარაკებთ, ისე აუწიეთ რადიოს ბოლომდე, ანუ თქვენიდან და მეზობლებამდე!

ქეთომ აქ რაღაც „დნცკ-დნცკ“ სიმღერა გაუშვა ეთერში, მიკროფონი გათიშა და თავზე მდგომს თვალის ჩაკვრით ამომხედა.

— ჰა! როგორი ვიყავი, უფროსო?..

— ვერცხლისწყლის ნიაღვარივით!.. — შევაქე მე.

— ვა!.. შენ რა გქვია პასპორტით? არ მითხრა ნიკოვო — ისე მუნჯივით დუმდი მთელი ღამე!

— ვასილი! — გავეცანი იქვე.

— აუ, ეგ რანაირი ხრონწი სახელია! — შეიცხადასავით მაშინვე პირზე ხელის აფარებით, — ეთერში დიჯეი ვასკოდაგამა იყავი რაა?.. ან ვასმახენზი მაინც! რა ვასილი, უფალო?.. პაპიჩემი ხომ არ ხარ მეორე სამამულოს წინ?

— ბაბუაჩემსაც ვასილი ერქვა... — გავიმართლესავით თავი.

— ნუ, რა საოცარი დამთხვევაა! — არ დამინდო იმან, — ბარემ ტელეფონებიც ხომ არ გაგვეცვალა? — აქ მივხვდი, რომ უკვე სერიოზულად მეკაიფებოდა, თუმცა უგულბოროტოდ და ალალად...

— ეგ რა მიასხურე? — ავუგდე კითხვა ბანზე და მიკროფონზე მივუთითე.

— მე არ ვასხურებ, მე ოდენ ვნამავ და ვასველებ! — ცალი წარბის ვნებიანი აწევით გამისწორა მზერა ქეთომ და ოდნავ ენაც გამომიყო. მერე შემამჩნია, რომ ალმურადენის მეორე საფეხურზე ვიყავი და სიტუაციის განეიტრალება სცადა.

— ბაქტერიებია ყველგან! რამე ინფექციური და ვენერიული რომ ავიკიდო, რა ნამუსით გავთხოვდე მერე? ან რა ვუთხრა მომავალ თანამეცხედრეს პირველ საქორწინო ღამეს? სად ჯანადაბაში დავეთრეოდიო?.. — შინაურული ღიმილით ამიხსნასავით და საკაკანოდ ისევ მიკროფონი გახსნა.

— ეს იყო ბოი-ჯორჯი, იგივე ბიჭოგიორგი ჩვენებურად!.. სიმღერას ერქვა „კარმა-ქამელეონ“!.. ისე, მე თეთრი კარმა მიყენია სამზარეულოში... ქამელეონებს საერთოდ ვერ ვიტან ცხოვრებაში! ვერც ადამიანებს და ვერც ისე! აბა, გავისუფთავოთ კოშმარული სიზმრების ნაფლეთებისგან პირადი კარმა და აჰათ თქვენ, ბიძიებო და დეიდებო — „ინერ სირქლ“ — ლალა-ლალა-ლო! ცხელი პაპსა-რეგეი სიმღერით ვადნობთ თბილისის თებერვლის თოვლს და ნალექს, ვარჩენთ შაკიკს, მიუსაფარ ოთხფეხა ცუგებს და მოყინულ გენიტალიებს! დარეკეთ მოკრძალებით! აქ ვარ მკურნალი ქეთოი. მიღების საათები რვიდან-თორმეტამდე!

ღამის ზალპით აღებული და ბოლომდე დაპყრობილი — სამხედრო ჩესტის აღებით ვაპირებდი დამშვიდობებას, რომ ამ დროს „ბონიემივით“ თმაანწეილი ბესა შემოვარდა სტუდიაში. გამოუძინებელი მზერა ჰქონდა. შეტევა პირდაპირ ქეთოზე მიიტანა:

— სხვა მატყლი ვერ ჩაიცვი?! სამოცდაათიანი წლების კუბელ მეპირე კამსამოლკას რო გავხარ?! გადამრევენ ესენი რა, ვასა! — მომიტრიალდა მერე მე, — არ წახვიდე შენ არსად!

— მერე რა — ტელეფონში ხომ არ ვჩანვარ მაინც?! — აწიკვინდა პასუხად ქეთო.

— გაიმეორა ტექსტი! — უბრძანასავით ბესამ.

ქეთომ ეთერში სიმღერა უბრად შეანაცვლა რაღაც „ტრალივალისებურით“ და ისე მოგვიტრიალდა:

— მოქალაქე აივაზოვი აქ სახლობს? — იკითხა გაპრანჭული ხმით.

— ცხოვრობს! — აფეთქდა ისევ ბესა, — რა სახლობს?! სახლობს არა, ფუძობს კიდე!.. როგორც გითხარი, ისე იკითხე!

— ნუ მიყვირი! შენი გაზრდილი კი არ ვარ!

— ნუ გიყვირი კი არა, გაიმეორა-მეთქი!

— მოქალაქე აივაზოვი მანდ ცხოვრობს?

— მერე?

— მერე ის წესით მიპასუხებს რომ — არა!

— დალშე!

ქეთომ ჩანთიდან გადაკეცილი ფურცელი ამოიღო, გადაშალა და წაიკითხა:

— ჭავჭავაძის 8, პირველი სადარბაზო. ბინა 3. აივაზოვი სერგო!

— წესით ის გიპასუხებს, რომ ეგ მისამართი კია, მაგრამ მე არ ვარ აივაზოვი სერგოვო, და საერთოდ აქ არავინაა ეგეთი სერგოვო!.. შენ რას ეუბნევი ამ დროს?

— მე ვეტყვი, რომ — ამ მისამართზე ამერიკის შეერთებული შტატების რადიოკვანძიდან...

— საფრანგეთიდან-თქვა!

— ეგენი ხომ კალიფორნიაშიც არიან?

— კალიფორნიაში არიან თუპაქი და დოქტორ დრეი!... საფრანგეთი თქვი — ეგ მაგათთვის უფრო სვეცკია!

— ...ამ მისამართზე, საფრანგეთიდან „რადიო-ჯაში“ მოგებული პრიზი-ამანათია ჩამოსული. დაზღვეული!.. დადეს უკვე?

— ტილოზე უდევს კარის წინ!

— ეგრე პრიზის დატოვება რა ტონია?

— ტონი მონტანაა! რამდენ კითხვებს სვამს, ვასა? — მომიტრიალდა ბესა მე, თითქოს რამეზე პასუხისგამცემი ვიყავი. უკვე სიტყვა „დაშვებულიპაკრიშკასავით“ ვიდექი და საერთოდ ვერ ვხვდებოდი, თუ რაზე მიდიოდა ლაპარაკი, ამიტომ პასუხად უბრალოდ მხრები ავიჩეჩე.

— აბა, კაცის ხმა მანახა! — მიუტრიალდა ბესა ისევ ქეთოს.

ქეთომ ერთი ამოახველა და უცებ ტომ უეიტსის თუ ჯო კოკერის ხრინწი ამოუშვა მწვანედ გაღებილი საყურიანი ტუჩებიდან:

— შეცდომა მოხდა, ბატონო-ჩემო!.. გუშინ პრიზი მოიგო რადიოში მაგ მისამართზე მცხოვრებმა კეთილშობილმა პიროვნებამ და ეტყობა, ბათუმიდან რეკავდა... ჩვენ თბილისი გვეგონაო! ხელი არ ახლოთ! ანაბეჭდები დარჩება! სტაფილოსფერკასკიანი მუშები მოვლენ და ბათუმში გადაგზავნიან იგივე მისამართზე!

— ოქრო ხარ! 10 წუთში ურეკავ!.. ჰე, გავიდა სიმღერა დამკაში! — შეაქო ბესამ ქეთო და მომიტრიალდა, — დილის ღვეზელი არ ვჭამოთ? ნაღდი ძროხაა!

— ვინაა ძროხა?! — წარბშეკრულმა მოიხსნა ყურსაცვამები ქეთომ.

— ღვეზელზე ვთქვი!.. — დაამშვიდა ბესამ და რადიო-ოფისიდან გამოვედით.

— რეებს ბაზრობდით, ბესარიონ? — მათი დიალოგისგან ტვინგაბუჟებულმა ვკითხე ბესას ლიფტით რომ ჩავდიოდით.

— პრიზი მოიგო გუშინ ვიღაც სომხითარმა კაცმა ჩვენს ეთერში და მივუტანეთ სახლში, ვასა!

— მერე?

— მერე მივუტანეთ და დავუდეთ კარის წინ ტილოზე!

— აბა, ბათუმიო?

— არ აღებს თურმე კარებს... მშიშარა დაშნაკ-ცუცუნია. ბინაში, მგონი, ყველა ოთახის კარზე გლაზოკი აქვს დაყენებული, გეუნევი რა!

— მერე?

— მერე მიხვდება, რომ ვეკაიფებით!.. შეეშინდება — პრიზი არ გავმაზოო და გახსნის კარებს, დედი, უ!

— და რატომ ეკაიფებით?

— ცივა, ვასა! თებერვალია, ვერ ხედავ? — აეგრე მჩატედ ამიხსნა ბესამ და შენობიდან საღვეზელესკენ გავწიეთ.

— და რა პრიზია ეგეთი?

— ცხელი ტოლმაა ვაზის ფოთოლში გახვეული...

— ვერ ხართ ხომ თქვენ ყველა აქ?! — აფეთქებას ცოტა მიკლდა, ისე ავიქნიე მე ხელი ოდნავი პაუზის შემდეგ.

— ნაღდი კი არაა, ვასა! ტოლმის ფოტოა ჩარჩოში ჩასმული, გეუნევი რა!

— არ მინდა ღვეზელი!!! — ლამის ვიყვირე და ამით კანტი-კუნტ გამვლელთა ყურადღებაც მივიქციე, — მარხვაზე ვარ!!!

— გაროხის სუპიც აქვთ, ვასა! — დამიყვავასავით ბესამ, — გრეჩიხაც, ისპანახიც, „იუპის“ პაკეტების წვენიც და ფელამუშის კისელიც... ფონად „ვარდები არ არიანს“ ჩავართვევინებ!.. ვარდიც ხო სამარხვოა?

— მეძინება თან, ბეს!.. მართლა მაგრად მეძინება! — მივხვდი, რომ წინა გიჟური ღამის გადამკიდე უწინდებურად ვეღარაფრით გავუქაჩავდი ჰუმორს. უცებ ჩავეხვიე და სწრაფად გატრიალებულს ბესამ უეფექტურესი შტანგაგოლივით ფრაზაც დამადევნა ზურგიდან:

— შენ იქით ცხოვრობ, ვასა! მანდეთ ეკლესიაა!



*

ნათელიც კი აქედან უნდა გაიყოლო,
იქ არავინ დაგახვედრებს

*

ნუ მეტყვი, დედა, რომ სოფელში
ახლობლის ბიჭი გარდაიცვალა.
რადგან ამ საღამოს იმ გოგოზე უნდა მეფიქრა,
რომელიც აფთიაქში ვნახე და
ვერაფრით ვუთხარი, რა ლამაზი იყო

*

არ გაატაროთ ფიქრის ნაკადი, ყველა თევზი
ნაპირზე ამოყარეთ. პატარები შეგიძლიათ გაუშვათ

*

წიგნის ფურცელზე ფანქრის მონასმი —
თვალიდან ჩამოვარდნილი ბეწვი

*

მე მაინც მგონია,
რომ ადამიანების მთავარი სათქმელი ეს არის:
ნუ მაწყენინებ,
თორემ შენი სიკვდილი არ (აღარ) მეწყინება

თვარელის ნაფრენი

მე მინდა მოვკვდე ჩემ წინაპარ თვარელივით
წყლის დალევისას,
როცა 145 წლის
გამოწურული სხეული გრავიტაციამ
ველარ დატოვა დედამიწაზე
და თავის აგებულ თივის ზვინივით
ზევით წავიდა.
წყალი შემთხვევით არ მიხსენებია —
სინამდვილეში
არაყმა მოკლა,
როცა მწყურვალმა
ალუმინის კოში
ჟიპიტაურით აავსებინა შვილთაშვილის ცოლს
და ნეპტუნივით ცალ ხელში სამკაპით,
მეორეში ნექტარით ოლიმპოზე ავიდა.
ყვებოდა რძალი:
„რო სვამდა,
წყალი ისე ეღვრებოდა
გვამში,
როგორც დაჩუტულ ტიკში“,
არადა, თვარელს 125 წლით ადრე
მთიდან მთაზე ის აგებული თივები
გადახტომით გადაუტანია

*

სად აგროვებ, უფალო, მართალთა სულებს,
ტყუილ ცხოვრებას გამოქცეულებს?

*

ამქვეყნად როცა საქმეს მოვილევ,
ცაზე ვარსკვლავად გადავსახლდები

*

იმედის მაგივრად ბავშვი ჩაუსახა

*

რა გახდა ერთი კაი გოგო,
რო წამყვეს ბეთანიისაკენ.
თავბრუს დავახვევ ყურადღებით,
ცუდად გახდება იისაგან

*

ბოროტება სირცხვილია.
როგორც წესი,
ავფიქროვნებისას
უხერხულად ვიშმუშნები
და მინდა ჩემსავე თავს
(რომელიც მხედავს მე მხოლოდშობილს)
გავუუჩინარდე

*

ეკლესიასთან
ქალმა გაიარა გამომწვევად ჩაცმულმა
და მიტოვებულ საყდარს სული ჩაედგა

„სწრაფმავალი“
ალტერ სათაური — „თბილისელი“

ამ ქალაქში სწრაფად თუ არ იარე,
გამალებული მარშირებით თუ არ დასერე
შენი სავალი,
ფათერაკს ვერ გაეხვეწები.
ანაწერი გახდები ვინმეს ცერა გამოხედვის
ან დაუდევარი გადმონაფურთხის.
ტროტუარზე არც იფიქრო!
ის შენთვის არ არსებობს —
ზედ უთვალავი ხიფათი სახლობს:
ნაგვის ყუთები,
ძაღლი პატრონით თუ უპატრონოდ,
რომელიც ან დაგბეწვავს,
ან ისევე დაუდევრად მოგაფსამს,
როგორც ზემოთა ადამიანი ნერწყვს გიზიარებს
(ალბათ ორივეს ხე თუ ჰგონიხარ,
ამ გამხმარ ქალაქში (რომ) გაგახაროს)

*

ან ეგ იქნება ჩემი ცოლი,
ან ცოლს საერთოდ არ მოვიყვან.
მარტო ვიქნები ეზო-კარში,
ყველსაც მარტოკა ამოვიყვან.
ან ეგ იქნება ჩემი სწორი,
ბალიშისპირს ეგ გამისწორებს,
ან არა ბედ-იღბლის მწერელი
ანგარიშს მარტოს გამისწორებს.
ან ეგ იქნება ღამის მეხრე
ჩემი უგრძესი ღამეების,
ან არა კვალში ჩაწვებიან
ჩემი ხარები კამეების.
მოდი, ეგ იყოს ჩემი ცოლი,
ანებს საერთოდ არ მოვიხმობ,
ხელში მექნება მთების ბროლი,
ბედნიერებას გამოვიხმობ

*

ისე
მომწონხარ,
მაქვს რამე შანსი —
შენი ოცნება ცხადად ვაქციო
და მოთმინების სავსე ფიალა
შენს სხეულში რომ გადავაქციო?

*

მთვარეს ეხვევა ღრუბლის ნაგლეჯი,
თითქოს ცას თვალზე ბამბა აუკრავს

*

დაუღალავი ცდა სიკვდილივითაა —
ვერანაირი გზა ვერ დაიჭირავს

*

თუ გახდი გულთამპყრობელი
წყალთა, ცეცხლთა და ჰაერთა,
ჯვარს ვერცერთზე ვერ დაიწერ,
შავ მიწას უნდა შაერთა

*

Watermark —
ჩემი ჭვირნიშანი ხარ.
ადამიანებმა სინათლეზე უნდა გამხედონ,
რომ დაგინახონ

*

ცის ფსკერზე ღმერთის ანკესი ელავს,
ელექტრონული ჭიაყელებით

*

მომანიჭე, უფალო,
(უარს რომ მეტყვიან)
სამოთხის სიხარული,
რომ უარისმთქმელმა
ჯოჯოხეთის უხერხულობა არ იგრძნოს

*

რაც ასაკი მემატება, სულ უფრო ცოტა მძინავს.
ასე თანდათან გვაჩვევს ღმერთი
(მარადიულ) სულ უძილობას

*

განთიადს ველი, რომელსაც მოაქვს
ბევრი მზის სხივი და ცოტა ზუსტად სათქმელი სიტყვა

*

იქნებ
ევოლუციის პროცესი შესაქმის ის აქტი იყო,
ღმერთმა თიხა კაცად რომ გადაზილა

*

ფრენდი გამიგარეულდა.
ჯერ გაუცხოვდა.
ერთ დღესაც
მის გვერდზე შესულს
უპწიჩკო,
უნაკაწრო და უზადო
დამეგობრების ღილაკი დამხვდა —
ჩვენი ფრენდობის საფლავის ლოდი

*

გადაახვიეს ეშმაკებმა მისი ცხოვრების ერთი ეპიზოდი,
მოემზადნენ დასაცინად,
მერე თავი დახარეს და სევდიანად თქვეს:
„გულწრფელად უყვარს“

*

როგორც ნაწვიმარზე სოკოები,
მომრავლდნენ ლამაზი გოგოები.

*

პაპას რო ჩავხედე თვალთაში,
საფშაო გზაშიით მობრუნვილს —
სულის თავნი ჰქონ აჴდილი.
იმ წყვილ ლურჯ გუბეში
ადამიანის სული აღარ იშვებდა და იხარებდა

*

ჩემ შესახებ ყველაფერი დედ-მამამ იცის,
ამ ორმა მეცნიერმა,
რომელთაც ჩემს შექმნაზე იმუშავეს

*

ოჯახს მოვეკიდო, გადავწყვიტე.
დავფაცურდი 50 000-ის საშოვნელად.
ვერას გავხდი, ვერა გავაწყვე.
და უმწეო, გალახული ლეკვივით
მივეტუზე.
მან ხელით ნიკაპი ამიწია,
თვალებში ჩამხედა და მითხრა:
„ცულის ტარის ფული ხომ გაქვს?“

*

იმის ამბავს რო გავიგებ,
დავიშლები ატომებად,
მხოლოდ მაშინ გაიგებენ,
გულზე ასე რატო მება

*

თუ ხაზარული სიტყვის კონა ვერ გაიგე,
ისევ „ხაზარულას“ მიაწექი

*

ისე ნუ ფიქრობ,
თითქოს ზევიდან სული მოგეცა, როგორც ულევი,
მე ჩემი სული აქვე შევქმენი
ტკივილებით და სიხარულებით

*

ჩემი ბავშვობის ბოლოსკენ
შემოდის დოდესკადენი,
თაროზე ნებივრად შთენილს
ფრანგ ალფონს დოდეს გადენის

*

სულზე ჭრილობას მაყენებს
ყოველი გასვლა სახლიდან,
ყოველდღე ასე მგონია,
ცხოვრებას ვიწყებ ახლიდან

*

ჭიანჭველას ფეხს არ ადგამსო..
ჰმ!
აბა სცადოს..
რწყილი და ჭიანჭველა.
ორივე ძნელი მოსაკლავია.
ფრჩხილი თუ არ ჩართე საქმეში,
არაფერი გამოგივა..
ვინ არის ის(ეთი) უგნური
ზღაპრულ ურჩხულებს შიშველი ხელებით შეებას?!

*

თავი მიადო მკერდზე,
თითქოს იპოვა ბინა,
მყუდრო თავშესაფარი,
მისი ნამდვილი შინა

უკრაინის ომი

საბჭოთა შენობები დაინგრა,
„ნივები“ და „ჟიგულები“ დაიწვა.
სიხარულმა გადამირბინა გულზე —
ასე ხო თვითონვე მოიწყვიტეს კაბის კალთიდან?
ახლა ძაფი გაწყვეტილია,
ხელახლა ვეღარ გამოიბამენ.
დედა სსრკ ნაშვილარს
კაბის ბოლოზე ვეღარასდროს გამოიბამს,
რადგან ის ძაფი თვითონვე გაწყვიტა სიმწრის კბილით.
ახალი შენობები აიგება — ბევრად უკეთესი.
ისეთ მანქანებს შემოიყვანენ,
დაძვრისას რომ უკან გამოხედონ.
მაგრამ იმ ბავშვებს ვინ აღადგენს მკვდრეთით,
ვინც ახალშემოყვანილი
მანქანების გამოშვების წელს დაიბადნენ?

*

კი არ თოვს,
რუსული ჭურვებით დაგლეჯილ
მშვიდობის მტრედთა ნაკუწები გვაცვივა,
რომელთაც ზეცა ბოლო ორი კვირაა გვიგზავნის

*

სამოთხიდან რომ მაძევებ, ის მაინც მითხარი, რა ვჭამე

*

როცა გავიგე თოვლის პაპა არ არსებობდა,
მაშინ გავიზარდე პირველად.
ზრდა მაშინ დავასრულე,
როცა ღმერთის არსებობაში დავრწმუნდი

*

საკმარისია ცას ავხედო ლექსის დასაწერად.
ეს ხდება წელიწადში 2-3 ჯერ.
ერთ წელს სულ მიწას დავყურებდი
და უგრძესი რომანი დავწერე იმაზე,
რა ძნელია მაღლა ახედვა

*

შენი ავატარის ფოტოს ვაკლიკებ გასადიდებლად.
არაფერს შვრება,
ვჭირვეულობ, როგორც სამი წლის ასაკში —
ლოგოპედმა პარიზიდან ჩამოტანილი ავტომობილის
უნიკალური მინი-მოდელი რომ არ მომცა

*

მეგობრის ფბ-ის კედელზე
ურეაქციოდ დატოვებული შენი კომენტი,
როგორც სახლის კედელში შემოსული რაკეტა,
რომლის დემონტაჟს არ დაუშვებ
ჩადენილი მხეცობის უკვდავსაყოფად

მისტიფიკაცია

გალიის ციზალპებზე
(სპილოთი) მიმავალმა პუნმა ჯარისკაცმა
დაინახა —
როგორ გაავდა უმიზეზოდ მათი მყოლი გუთი,
ვარსკვლავისმაგვარი სუვენირის დანახვისას

*

ერთი კარის მეზობელი მყავს.
ხუთი წელია, რაც გადმოვიდა.
არასდროს მინახავს.
არადა, ეს ხანი უწყვეტად ცხოვრობს.
ძირითადად შემეცნებით-გასართობ გადაცემებს
უსმენს ან უყურებს.
ამ წლის მაისის შუიდან
ივნისის 17-მდე მხოლოდ
საინფორმაციოებს უყურებდა.
რელაქსირებს
Cigarettes after sex-ისა და Bono-ს სიმღერებით
დროდადრო
Harry Styles-ს, SYML -სა და
სთორებში მოსმენილ სხვა სიმღერებს უფენს.
არასდროს გადამყრია გასვლისას
ან შესვლისას.
გასაღების ხმა კი არაერთხელ გამიგონია.
როგორც ჩანს,
კაი ხანს ზვერავს გლაზოკით —
ემანდ არავინ შევეჩეხოთ.
ავი თვალი არ გავაყოლოთ,
რომ ევროკანდიდატის სტატუსის არმოცემა
ჩვენ არ გადმოგვაბრალოს ქვეცნობიერად.
ზეცნობიერად კი ძალიან მიმტევებელი ჩანს,
ემპათიის მაღალი ხარისხის,
კარში დატოვებული საარჩევნო ბუკლეტები
ან სარეკლამო ფლაერები
ჩვენ მაგივრად გააქვს
იმ უჩინარი ხელივით,
ვინც ისინი კარში დაგვიტოვა

*

გუშინ
ლუქსემბურგიდან
რამდენიმე დღით ჩამოსულ მეგობარს
ქუჩაში შემთხვევით შევხვდი.
ჯადოსნურ მთას ვკითხულობდი და
ყოველთვის პედანტმა,
გადავწყვიტე,
ჩვეულ დროზე
სამი წუთით ადრე გამოვსულიყავი.
ისიც თურმე სხვა გზით აპირებდა იქ მისვლას,
სადაც მიდიოდა.
ნაბერგჰოფალს,
მხრებს მამტვრევდა
დიდი გერმანელის აწეული
ევროპული ღირებულებების სიმძიმე.
ჩემს მეგობარს კი მუჭით მოჰქონდა
წეღან ნაყიდი
ადამიანების სევდა,
გუდამაყრელის შეგროვებული

*

იესო ისე გაითქვა, მთელ პალესტინაში ქადაგებდა.
მისი მოწაფეები კი მთელ პლანეტაზე ქადაგებდნენ

*

აი ის ადამიანია ღმერთი,
თავის სახე-ხატის შესაქმნელად
ხელებს რო დაიკაპიწებს,
უთვისებო და უსამკაულო

*

პირველად აქციაზე 1988 წლის ნოემბერში
ეროვნული მოძრაობის მიტინგზე ვიყავი —
მამაჩემის კისერზე გახლდით წარმოდგენილი.
იმის მერე ისეთი რთული ცხოვრება წავიდა,
მამაჩემის კისრიდან არ გადმოვსულვარ

*

უკრაინას ჯაჭვის პერანგი შემოაქსოვეს მოკავშირეებმა.
დიიდია უკრაინა
და დიიდი პერანგი შემოაქსოვეს.
მთელი დასავლეთი ქსოვდა.
შენ რა გეშველება, ჩემო ქვეყანავ,
მაღალი მეფის საიღლიავეც რო შემოგწვდება..

*

ჩემმა მეგობარმა ცოლად მოიყვანა გოგო,
რომელიც არ მომწონდა.
ამის გამო დავკარგე.
მეორე მეგობარიც ასე დავკარგე.
მეც იმას მოვიყვან, ვინც არ მომწონს —
იქნებ თავი დავკარგო და შემიყვარდეს

*

რაში გჭირდება, რო გიყვარდე,
სიყვარული არ გამაჩნია.
რო შეგიყვარო და დაგჭირდე,
ხელს ვერაფერში შეგაშველებ.
აბა მამაჩემს კი არ ვგავარ,
ცხრა უცხოს გამო ვალს რო იღებს,
ახლობლებისთვის მოსე ხდება —
ზღვას გააპობს, რო გაიარონ.
ჩემს შეწყვილებას რა აზრი აქვს,
ჩემნაირების გამრავლებას?
განა მარტო მე არა ვკმაობ?!
უნიათობის პიკზე ვდგავარ.

მაგრამ იქნება გავრისკო და
დავიწყო მაინც ეს რომანი,
თუკი შენ დარდი არ გექნება,
უყურადღებო ქმარის ყოლის
და თუ გაუძლებ ამყველაფერს,
ჯილდოდ შენ შვილი გეყოლება,
იქნებ მამაჩემს დაემსგავსოს.

*

ხო შეიძლება მკერდი ისე გაგევსოს
თითის მიკარებისას,
ტირილს იწყებდეს

*

ამ თეთრი კანით,
თავი რომ მოგვწონს,
რამდენი საქმე (რამე)
შავად წავიდა.

*

მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ დაიწყო
თამამ წარმოდგენებში მისი მონაწილედ შემოყვანა.
მანამდე,
მთელი სამი წელი და ცხრა თვე,
მისი სახების უბიწოებას
ცნობიერების ყველა საფეხურზე უფრთხილდებოდა
(დაჰფოფინებდა) —
ემანდ ტალახი არ მოსცხებოდა,
ან
რომელიღაც ონავარი ფიქრი
რომელიმე უცნობ ოთახში
(უნებართვოდ) არ შეხეტებულიყო.
როცა დაესიზმრებოდა,
დაფეთებულს ეღვიძებოდა,
ქვეცნობიერს მისი ლიბიდო
ცდუნების სიღრმეში რომ არ შეეტყუებინა.
ოთხი წლის შემდეგ სიწმინდით დაიღალა.
და
„მოწმინდარი ნალახთ მიუდგა“

*

სიტყვებს მნიშვნელობები დაეკარგათ.
მათ მოსაძებნად ქვეყნის კიდემდე ვიარეთ.
ვერ ვნახეთ.
ვერცერთი.
შინ დაბრუნებულთ,
მოვალეობის მოხდით მოგვრილი
შვება, ვიგრძენით,
ყველა მნიშვნელობა შინ დაგვხვდა —
ზოგი კომოდის უკან გადავარდნილიყო,
ზოგიც მაგიდის ქვეშ შევარდნილიყო.
ცოცხის გამოსმა დავიზარეთ,
ქვეყნის შემოვლა არა.

IX

დასაწყისი პირველ გვერდზე

ჰაერი

ახალგამოცემული კანონებიდან თუ რამემ გამახარა, ამან: დახურულ სივრცეში, კაფეში, ტრანსპორტში, მოწევა აიკრძალა. ვზივარ თბილისი-ბათუმის მატარებელში დედოფლურად (მერე რა, რომ „უკუღმა ვმგზავრობ?“), ფანჯარასთან მიმდგარი ვინმე სულსწრაფი მწეველის თავზემოთ ზარმაცად ამოწელილი და მთელ ვაგონში სწრაფად გაშლილი კვამლის გამო გულისრევა, ან განწყობის ამჟავება არ მემუქრება. ეს დედოფლობა ცოტათი მაბოროტებს კიდეც: ჩემს პირისპირ მჯდომ შეწუხებულსახიან, მოკლეშორტიან სამ გოგოს, რომლებიც ერთმანეთს მოწევის სურვილის გაუსაძლისობაზე ეწუწუნებიან, კმაყოფილი ვუღიმი და გულს ვიფხან გულშივე ნათქვამი ფრაზით:

„გეგონათ, რაკი მე უკუღმა ვმგზავრობ, თქვენ — წაღმა, იღბალი თქვენკენ იყო, ცუნცულ?!“

რომელიღაც სადგურზე გავჩერდით. „ჩავალ, სუფთა ჰაერს ჩავყლაპავ,“ — გავიფიქრე.

ბაქანზე ფეხი ჩავდგი თუ არა, კუდში მომყვა ის სამი გოგო, იმათ — ორი ბიჭი, გვერდითა კარიდანაც ჩამოიშალა ბლომად ხალხი. დააძრეს სიგარეტი, სიგარა, დაფშხვნილი თამბაქოთი სავსე ტომრები. მოიმარჯვეს სანთებელა, ასანთი, ნაპერწკლის გასაჩენად ერთმანეთზე გასახახუნებელი ქვები და წამში ისეთი კვამლი ჩამოწვა, ნისლივით, აღარც ხალხი ჩანს, აღარც ბაქანი, არც მატარებელი.

„ავალ, სუფთა ჰაერს ჩავყლაპავ,“ — გავიფიქრე სუნთქვაშეკრულმა, ხელის ცეცებით მივაგენი კიბეს, ამოვედი ვაგონში, ჰაერი ღრმად შევისუნთქე და შვებით ამოვისუნთქე.

„კოფე“

წელიწადში მხოლოდ ერთხელ, ზღვაზე წასვლისას მიხარია, რომ მანქანა არ მყავს. მატარებლით მგზავრობაზე მეტად, ცოტა რამ თუ მსიამოვნებს ცხოვრებისგან.

ვზივარ ვაგონში და გონებაში იმ ლექსებს ვიმეორებ, რაც მატარებელზე მახსენდება. ამას — „მთები აჭრელდა, როგორც ჟირაფი“ — წიფის გვირაბისთვის ვინახავ.

ვაგონის ბოლოს ყავის ჩამოსასხმელი აპარატი დავინახე და ავდექი. ამასობაში მატარებელი რომელიღაც ბაქანზე გაჩერდა.

„მატარებელი თვლემს, როგორც ლავა, მატარებელი ხუთ წუთში გავა“ — ყავაზე გადართული გონება ისევ ლექსისკენ გამომექცა. გაგრძელება ვერაფრით გავიხსენე და სტროფი რომ შემევსო, მეორედაც იგივე გავიმეორე.

აპარატზე გაკრულ ყავის ჩამონათვალს ისე გულდასმით ვკითხულობ, თითქოს არ ვიცოდე, რომ ბოლოს მაინც კაპუჩინოს ავირჩევ. ერთგვარი რიტუალია, მოლოდინის სიამეს ვიხანგრძლივებ. არ დავიზარე, ყავის შეძენის ინსტრუქციაც გადავიკითხე და წასაკითხი რომ აღარაფერი დარჩა, „გაგიკვირდება და“ — კაპუჩინო ავირჩიე, აპარატში ხურდები ჩავაწკარუნე და პირიც გავაწკლაპუნე ნეტარებით.

გაისმა შრიალი, ჩხარუნი, ჟღარუნი და ჩამოსრიალდა ქაღალდის კოხტა ჭიქა.

გაისმა წანწკარი, რაკრაკი, ჭყლაპუნი და ჩემი თავშეკავებული ჭყლოპინიც, თუმცა ემაგ ჭყლოპინმა დიდხანს ვერ გასტანა, რამეთუ ეს ჩვენი კოხტა ჭიქა, გარდა იმისა, რომ ფილოსოფიურად ნახევრად სავსე და ნახევრად ცარიელია, პლუს ნახევრად ის არაა, რაც უნდა იყოს. ჭიქაში ასხია წყალი. მხოლოდ წყალი და არაფერი წყლის გარდა!

მშველელად მატარებლის გამცილებელს ვუხმე. ზომიერად ფერ-ხორციან, მხიარულ გურულ ბაბუას.

— რა გაგჭირვებია? — მიცინის და ფორმის ვიწრო პერანგზე ღილი ეხსნება. მუცელს შიგნით იზნიქავს, ღილს იკრავს. იცინის — ისევ ეხსნება.

— ყავა მინდა და, აი, მარტო წყალი ჩამომისხა, — თავს ვისაწყლებ.

— აა!.. — ამ დამაიმედებელ ტონში იგულისხმება: „აჰ, მაი აფელი!“ მიაჭერს ახლა რაღაც ღილაკს და ყავაც ჩამოჩუხჩუხდება.

მისწი-მოსწია აპარატს მიერთებული სადენები, ხელიც დაუტყაპუნა, კიდეც შეათვალიერ-შემოათვალიერა გულდასმით. მეღიმება, ბაბუსაც ჰყვარებია სასიამოვნო მოლოდინის დროში გაწელვა. აი, როგორც იქნა, დააჭირა რომელიღაც ღილაკს და... აპარატი გამორთო! აპარატი გამორთულია, მშველელი მიდის, საქმე დახურულია.

— კი მაგრამ... — ვეუბნები გაოცებული, — ყავის ფული გადავიხადე და წყალი ჩამომისხა...

— იმიზა, რო არ ყოფილა კოფე შით! მიხთი?

საქმის მცოდნე კაცის სიამაყით ამიხსნა და გატრიალდა, „ბუჩქებში გაუჩინარდა“.

ვბრუნდები უკან ხელმოცარული, უყავო და გუნებადაძმარებული. უცებ იმ ლექსიდან, მე რომ მეგონა, სიტყვაც არ ვიცოდი მეტი, კიდევ ორი სტრიქონი მახსენდება:

„მატარებლისგან როს მიმიღია, ან თანაგრძნობა, ან შეცოდება...“

და იქვე: „ჩემი სიცოცხლის გამმწარებელი, სულ მალე გავა მატარებელი“...

ნათია როსტიაშვილი

თბილისი-ბათუმი-თბილისი

მინიატიურებად დატეხილი ზაფხული

საერთო სამზარეულო

ზღვისპირა სახლის პატარა სამზარეულოში, რომელიც დამსვენებლებისთვის საერთოა, ოთხი ქალი ვტრიალებთ.

სამზარეულო სავსეა თუხთუხის, ბუყბუყის, შიშინის, შიშხინის ხმით. ჩვენ ჩუმად ვართ.

სომხის მკაცრსახიანი, დიდმკერდიანი ქალი ამაყად ატრიალებს ტაფაში კატლეტს.

წამწამებდატუშული, პომადიანი რუსი — პელმენით სავსე ქვაბს ფითქინა, ფრჩილშეღებილი თითებით მწიკვ მარილს ამატებს.

მე კარტოფილს ვწვავ.

ვცდილობ, შევწვა და არა — დავწვა. აქ ფარული კონკურენციაა დიასახლისობაში. ძნელი კია, კატლეტს კარტოფილით მოუგო, მაგრამ მაინც, ღირსების ამბავია.

ჩვენში ყველაზე დაბალი, ხაზეიკა, დაბალცეცხლიან კამფორზე, თუჯის ჯეზვეში, კოფეს ხარშავს. ვცდილობ, გამოვიცნო, ვინ რაზე ფიქრობს.

ხაზეიკას ფიქრის გამოცნობას რა უნდა — შუბლზე აწერია: ანგარიშობს. ფიქრის მინდორზე არითმეტიკის გრძელ მწკრივს მწყემსავს: ითვლის გაქირავებულ ოთახებს და ამ ოთახებში საწოლების რაოდენობას ამრავლებს ოცზე. მეორე სართულისებს — ოცდახუთზე. თითქოს მესმის კიდეც, საჭმლის თუხთუხ-ბუყბუყ-შიშხინის ხმას როგორ ემატება ჩვენ სამის ჯიბიდან ამ ერთის ჯიბეში ჩაჩხრიალებული მონეტების წკარუნიც.

ყავა გადმოდის. ხაზეიკა კმაყოფილია, ესე იგი, დიდი დრო დასჭირდა დათვლას.

რუსი უფიქროა. ფრჩხილზე ამძვრალ ლაქს ისე შეშფოთებული ითვალიერებს, აბა, ეგ რუსეთის მიერ საქართველოს 20%-ის ოკუპაციაზე მოფიქრალს ჰგავს?!

სომხის ქალი ერთდროულად იმდენ ამბავზე ფიქრობს, იმდენ „მე მაგას ვაჩვენებ სეირს!“ პათოსს ახმოვანებს შეკრული, ნახშირისფერი წარბებით, მაგის გაშიფვრა კარტოფილის დანახშირებად დამიჯდება, სჯობს, შევეშვა.

რუსის ქალი მაცივრიდან ნაყინის ყუთს იღებს, ხელში ატრიალებს და უკან აბრუნებს. თითქოს დაფაზე გამოსახულება დაეწეროს: პელმენს + ნაყინი > შემწვარ კარტოფილზე.

ჰმ. სამაგიეროდ, მე ყველაზე კარგი „ზაგარი“ მაქვს, „ძეტკა!“

ამასობაში, ჩემი და სომხის ტაფებმა საერთო ენა გამონახეს, შეხმატკბილებულად შიშხინებენ. საერთო საქმემ დაამეგობრა, შეწვამ. პელმენის ქვაბი მორიდებულად დუღს. რაც კოფეს ამბავი გადადუღებით დამთავრდა, თავს მარტოსულად გრძნობს.

ქალები ისევ ჩუმად ვართ.

ზღვისპირა ქალაქებში დასვენების მისტიკიდან ერთ-ერთი ესეცაა: სამზარეულოში, ერთი გაზქურასთან, კოვზებით ხელში მდგარი ოთხი დიასახლისის რაღაცნაირი, მოგუდული სიჩუმე და ბოლომდე გამოღებული ფანჯრიდან უცებ შემოვარდნილი ბავშვების, ამათი შვილების მხიარული ხმაური.

თამაშობენ და არცერთს არ ადარდებს, სხვაზე უკეთესი სადილი ექნება თუ უარესი. არ ადარდებთ, სხვაზე უკეთესი „ზაგარი“ ექნებათ, თუ უარესი.

მე, ბავშვის სისუფთავე, აბა, საიდან. ჩემი ნამზეურით ძალიანაც ვამაყობ. დიახაც, სულ ტყუილად მივედი ონკანთან, ძალით დავლიე ჭიქა წყალი, რომ კატლეტ-პელმენის პატრონების წინ ჩავლის შანსი მომცემოდა. დაე, შემათვალიერონ. რაღაცნაირი სულმოკლეობა კია, მაგრამ რა ვქნა, ცოდო ვარ მეც, რამეში მაინც ხომ უნდა ვივარგო, კარტოფილმა დამაღალატა, სუსტი გამოდგა, კონკურენციამ დათრგუნა და თავი დაიწვა.

ჯადოქალი

ჩემი შვილები გაიზარდნენ, მაგრამ რამდენჯერაც ამ ადგილს ჩავუვლი, გზის გადაჭრისას ის დღე მახსენდება:

— დე, შენ მართლა ჯადოქალი ხარ?! — მეკითხება ჩემი სამი წლის ნინო.

— მე ვუთხარი... — დამნაშავესავით იშმუშნება ექვსი წლის გიორგი, — ყველაფერს რომ გამოიცნობ ხოლმე: შეგცივდება, გაწვიმდება, წაიქცევი...

— კი, ცოტათი ჯადოქალი ვარ, — მეცინება.

სამანქანე გზა უნდა გადავჭრათ და ამ დროს ზემოდან ჯიპმა ჩამოუხვია. დარბაისლურად მძიმედ, თავდაჯერებულად. ამაყი ნომერი მზეზე ულაპლაპებს: 777.

— ბავშვებო, გაჩერდით, ჯერ ნუგზარა ძია გავატაროთ, — ბავშვებს ვეუბნები ხმამაღლა.

უცებ ღრჭჭჭჭ!.. ეს თავმომწონე ჯიპი, მოულოდნელობისგან, დანჯღრეული ჟიგულივით ხრინწიანად ამუხრუჭებს ჩვენს წინ. მძღოლი გაოცებული მიყურებს.

— არც ახლა გჯერა? აგე, სახელიც გამოიცნო! — გიოს ჩურჩული მესმის.

მძღოლი თვალმოჭუტული მაკვირდება, ვერაფრით მიხსენებს, შავ დღეშია.

რამდენიმე წამი მისი წვალებით ვტკბები. მერე ვუღიმი, თვალით მანქანაზე ვანიშნებ.

— ჰაჰაა, ჩაგეთვალა!.. — გულიანად ხარხარებს. დარბაისლური სვლის „მდაბიური“ მუხრუჭით ჩანაცვლებისა არ იყოს, ამ გაფუყული მძღოლის ნიღაბსუკნიდანაც ჩვეულებრივი მოკვდავი იჭყიტება.

ჩემი ჯადოქრობით თუ ჯადოქალობით გაოცებულ-გახარებული ბავშვები გზაზე გადამყავს და ნელი ნაბიჯით მივუყვებით გზას ზღვისკენ.

ეს ამოდენა ჯიპი კიდე სულ კუნტრუშით ჩადის დაღმართზე და ენატანია ნომერს მხიარულად მიათამაშებს: NU — 777— GO.

მე. ბუზი. ჰამაკი.

როცა მწერების ღმერთი კოღოებზე წუწუნით შევაწუხე, ადგა და, გაბეზრებულმა, ბუზი გამომიგზავნა.

მთელი დღეა დავდევ. შვიდჯერ დავკარი ტყვიასავით მძიმე ბუზსახოცი, შვიდჯერვე ავაცილე. ბოლოს, იმ, ჩვენი ნაცნობი პლანეტის ბრძენი მეფესავით ვუბრძანე:

— გიბრძანებ, მოკვდე!

ვერ გამოვდექი იმ მეფესავით გონიერი ბრძანების გამცემი, არაგონივრულ ბრძანებაზე კიდე ვინ დაგემორჩილება? არავინ. არც ბუზი.

აგერ მოსაღამოვდა და მისავათებული მივწექი ეზოში გაბმულ ჰამაკზე. ვირწევი, ზაფხულის კრიალა ცის ცქერით ვტკბები და უცებ, რას ვხედავ?!

ზის ჩემი მტერი ბუზი ჰამაკის კიდეზე არხეინად, არ ინძრევა. ეგეც ჩემსავით დაღლილი ჩანს ჩვენი ომისგან.

ზის ბუზი ჩემს ჰამაკზე. თვლემს, ვარწევ, ინაბება.

მე შემიძლია, მთვლემარეს ბუზსახოცი დავცხო და სამუდამოდ ჩავტოვო თვლემის სამყაროში. შემიძლია, მაგრამ არ ვიზამ. ამ წამს მე ის აღარ მძულს, მას ჩემი აღარ ეშინია. ვისვენებთ, ძალებს ვიკრებთ დიდი ბრძოლისთვის.

დილით კვლავ მოსისხლე მტრებად ვიქცევით, ვიცი და იცის. ხვალ ისევ გამაწამებს დევნით და თავს ცოცხალი თავით არ მომაკვლევინებს. ეგებ, ვინანო კიდეც ეს ჩემი სულგრძელობა, მაგრამ ახლა, როცა ჰამაკის რწევისგან მინიჭებულ სიამოვნებას ორივენი თანაბრად ვიყოფთ, მომკალი და მისი მოკვლა არ შემიძლია.

— იძინე მშვიდად, ბუზო ოხერო. არ შეგეშინდეს, ძილში არ მოგკლავ, მე ღირსეული მეომარი ვარ, — ვეუბნები ერთობ ამაყად.

— ვიცი, — ამბობს, თან მშვიდად ამთქნარებს.

ეს რანაირი ბუზი მომივლინე, ღმერთო, ვერც მოვკალი, ვერც გავაკვირვე.

სიმინდი

სიმინდის არჩევას, საზამთროსი არ იყოს, ცოდნა უნდა, მაგრამ მე ჩემი კრიტერიუმი მაქვს:

რაც უფრო მოხუცია პლაჟზე ჩამოტარებული სიმინდის გამყიდველი ბებო, მით უფრო სასარგებლო(საქმე)ა მისგან სიმინდის ყიდვა. თუმცა ჩემი და ბებოს დღევანდელ ურთიერთობას თუ ჩვენი საინფორმაციოების ენით მოვყვები, ასეთი ამბავია:

„დღეს დილით ჩემ მიერ ზღვაზე სიმინდის შერჩევის წესში აღმოჩენილ იქნა უკუჩვენება...“

აქვე, ასტროლოგი ცაგარელის ხმით დავამატებ: „ამ დეკადაში, სიმინდის ეტლის პლაჟის სარტყელში შესვლისას, დიდია მიღებული ზარალის ალბათობა...“

პლაჟზე ვარ. გავხედე, ბებო მოდის უსაყვარლესი, ფუმფულა, წითელლოყება. მართალია, იმის გასაყიდი სიმინდის ტაროები სულ არ ჩანან პატრონივით ფუმფულები, ციცქნებია, ხმელმარცვლიანი, მაგრამ მაინც ვეძახი, ვყიდულობ. ოთხი ლარი გაქვს მოსაცემიო, ოთხ თითს შლის. ათლარიანს ვაწვდი, ზურგს მაქცევს და ხურდას ისე ითვლის, თვალი რომ ვერ შევავლო. ფაცხა-ფუცხით მიყრის პირსახოცზე და რამდენადაც შეუძლია, ჩქარი ნაბიჯით მიდის, ერთი სული აქვს, სანამ გადავითვლი, გამეცალოს. ამ გულუბრყვილო ეშმაკობაზე მეღიმება. რკინის ფულისკენ არ ვიყურები, რკინისმარცვლება სიმინდის ჭამას ვიწყებ. განა რამდენს დამაკლებდა, გადათვლად

ღირდეს? ბოლოს სულმა წამძლია, გავშალე ხურდა პირსახოცზე. მე რომ ნაკლულს მოველოდი (ბოდიში, რა, ღმერთო!), მეტია! არ ვიცი, რა ლოგიკით, მაგრამ ექვსი ლარის ნაცვლად, თერთმეტი დაუბრუნებია.

წამოვკრიფე მუჭში, წამოვხტი, მივსდევ. ფეხშიშველი ვარ, სირბილი არ გამომდის. „ბეე-ბოოო!“ — ვეძახი. ვიღაცებმა მოახედეს, დამინახა თუ არა, ნაბიჯს უმატა, გარბის ცუხცუხით.

— ბებო, — როგორც იქნა, ვეწევი და მუჭს ვუწვდი, — ნახე, რამდენი ხურდა დაგიბრუნებია.

— რა ვქნა, ბებია, ბიზესენი ვარ მეც, მაგით მაქ ლუკმა, — უცებ მიმართულებას ცვლის, მარჯვნივ ტრიალდება, მიდის. თითქოს მანქანებით ვიყოთ, უეცარი მოხვევის მანევრით იოლად ჩამომიშორებს.

— ოთხი ლარი უნდა აგეღო, — მეც კაი შუმახერი გამოვდექი, ეგრევე ვეწევი.

— ოთხ ლარზე ნაკლებს ვერ გამოგართმევ, კაი სიმინდია, ბებია.

— იმაზე მეტი დამიბრუნე, ვიდრე მოგეცი...

— რა ვქნა, ბებია, მასე ყიდის ყველა... — აშკარად დაიღალა, ვეღარ დადის, მნებდება. ჩერდება, შუბლს თავშლის წვერით იწმენდს.

იქვე ორი პატრული დგას, ჩვენი შემხედვარეები მუჭში იცინიან.

— ბებო, — აღარც მე მაქვს ენერგია შერჩენილი, — აიღე ფული, ზედმეტი გადმომაყოლე.

— უიი, მართლა ბებია? ვერ თქვი მერე მასე? — გაიფართოვა თვალები.

გავშალე მუჭი, გაშალა წინსაფარი. ჩავუყარე. თვლის, ფიქრობს, შუბლს იჭმუხნის.

— ათლარიანი მოგეცი, ხურდაში თერთმეტი დამიბრუნე... — ვუხსნი, — ოთხი ლარი უნდა აგეღო.

— უიიიი! შენ გეიხარე, ბებია, კარგი გოგო ყოფილხარ შენ!

ამოკრიფა ლარიან-ორლარიანები კალთიდან, ზოგი დამიბრუნა, ზოგი საფულეში ჩაიჩხრიალა და წავიდა, ახლა უკვე მშვიდი ნაბიჯით და „სიმინდი-სიმინდის“ ძახილით.

თვალს ვაყოლებ და ვფიქრობ: „შენი „ბიზესენობა“ არ გაიშვა, შე საყვარელო ბებოვ, შენა.“

— მოგცათ ის ექვსი ლარი ბოლო-ბოლო? — ქოლგას შეფარებული ფითქინა ქალი მეკითხება.

— კი, — ვუღიმი და მუჭს ვშლი, ვაჩვენებ.

მუჭს ვშლი და მიბრჭყვიალებს ხელისგულზე... ოთხი ცალი ლარიანი.

იმ ორ პატრულს რა ენაღვლება, რაა, „იცინეს, იცინეს, მოკვდნენ სიცილით.“

ჯემიკო

პლაჟზე, სიმინდის გარდა, ფურცლებზე ამობეჭდილ ტელეფონის ნომრებსაც ჩამოატარებენ ხოლმე, თბილისში წამსვლელი მიკროავტობუსების მძღოლებისას. რაკი ნომრები, სიმინდისგან განსხვავებით, უფასოა, არც გეკითხებიან, ისე გიტოვებენ. დღეს ბევრი მომიგროვდა. გავშალე და ვკითხულობ დიდის ამბით. ზოგ მძღოლს თემური ჰქვია, ზოგს — დათო, გივი, მერაბი... ერთ ფურცელზე კიდე, ნომრის გასწვრივ, წერია არა გია, ემზარ, ლევანი, არამედ — ჯემიკო.

ეგ ბოლო შევარჩიე, გადავრეკე და ადგილი დავჯავშნე, გნებავთ — დავიბევე. მატარებლით მგზავრობას არაფერი მირჩევნია, მაგრამ უკვე ყველა ბილეთი გაყიდულია.

წამოსვლის დილაა. გადავურეკე ჯემიკოს, ხომ ნამდვილად ვწერივარ დღევანდელი მგზავრების სიაში-მეთქი და კი, კიო, დამამშვიდა, ოთხის ნახევარზე მანდ ვარო.

ჩავბარგდი, დავემშვიდობე ხაზეიკას. კატლეტის ქალიც გამოვიდა სამზარეულოდან ნიშნისმოსაგებად: „ჩემი გოგო ბეზპრაბლემ იშომნა პოეზდის ბილეთი!“ მაინც გავუღიმე.

დათქმულ ადგილას მისვლა ადრე მომიწია. გახდა ოთხის ნახევარი და ვურეკავ ჯემიკოს. გზაზე დადექი, მოვდივარო. გზაზე ვარ-მეთქი — „აქ ვარ და სხვაგვარად არ ძალმიძს“.

ოთხიდან ხუთის ნახევრამდე ჯემიკომ ზარზე არ მიპასუხა, სამაგიეროდ, თბილისისკენ მიმავალმა რამდენიმე სხვა „მარშრუტკამ“ გამიჩერა. არ გავყევი. უპასუხისმგებლო ადამიანები მძაგს. რაკი ჯემიკოს ჩემთვის ადგილი აქვს შენახული, ხომ არ დავაღალატებ?

ექვსის წუთებზე ჯემიკომ ტელეფონს უპასუხა (მადლობა ღმერთს!) ტექსტით: „დაარტყეს აქ ვიღაცებმა, ავარიაა. საცობში ვარ. მოვდივარ.“

შვიდის ნახევარზე: „ავარიაა. მე დამარტყეს, სხვა მანქანას გამოვგზავნი, 5 წუთში მოვა.“

7 საათზე, თბილისში წამსვლელი არანაირი ტრანსპორტი რომ აღარ გამოჩნდა, მოვკიდე ხელი ჩემს ბარგს და დავბრუნდი ისევ ხაზეიკის ეზოში, დამარცხებული.

— უი, უკვე გავაქირავე! — ხაზეიკა მეუბნება და თავის საძინებელს მთავაზობს ორმაგ ფასში.

— ჩემი გოგო მოგყიდამს პოეზდის ბილეთი. ხვალ, შვადღე, — კატლეტის ქალი მეუბნება და გასამმაგებულ ფასს მისახელებს. სხვა რა გზაა, ამასაც ვთანხმდები.

შვილს ეძახის. ხმამაღლა, თავის ენაზე იწყებენ რაღაცაზე კამათს. შვილი უკმაყოფილოა, ეს კიდე რაღაცას უხსნის, თან თითებზე ითვლის. ბოლოს გოგო გაცეცხლებული შევარდა ოთახში. დედამისი კიდე შეთქმულივით მიღიმის, აწეულ ცერს მიჩვენებს იმის ნიშნად, რომ საქმე მოგვარებულია. სამი ბილეთის ფასის ტოლ-სწორი ერთი ბილეთი ჩემია.

ხასიათმოშხამული ვწვები დასაძინებლად და უცებ უპასუხისმგებლო ჯემიკოზე ბრაზი ნისლივით დნება. ვფიქრობ: იქნებ სულ სხვა ამბავია? იქნებ მარშრუტკა საერთოდ არ ჰყავს ჯემიკოს? იქნებ მარტოხელა, მარტოსული ადამიანია ჯემიკო? იქნებ ამოუვიდა ყელში ამდენი „ჯემალა-ჯემალა“-ს მოსმენა... ადგა, ამობეჭდა თავის ნომერი ქაღალდებზე, ჩამოურიგა პლაჟზე წამოწოლილ სიმინდიჭამია ქალებს და მობილურის ყოველი ზარის შემდეგ თვალებმილულული ისმენს, როგორ უყვავებენ:

— ჯემიკო, ჯემი-კოოოო!..

თბილისი სან

თბილისი-ბათუმის მატარებლით კი უკუღმა ვიმგზავრე, მაგრამ სამაგიეროდ, აგერ, ბათუმი-თბილისის რეისით მივქრი წაღმა. ფაქტობრივად, იაპონელი მსახურივით, ისე გავედ-შემოვედი, ქალაქისთვის ზურგი არ შემიქცევია.

გამარჯობა, თბილისი სან. რით შემიძლია, გემსახურო?..



მოულოდნელად აკოცა. წინა დღეს, როცა დედასთან ერთად ბრაზილიურ სერიალს უყურებდა, კი გაიფიქრა, ნეტავ მაკოცოსო, მაგრამ არ ეგონა, ნატვრა ასე მალე თუ აუსრულდებოდა. სამსახურიდან სახლამდე მიაცილა. სხვა დროს კართან ემშვიდობებოდა ხოლმე, თუმცა გუშინ სადარბაზოში შეჰყვა. ხის კიბეზე უკვე ერთი ნაბიჯი ჰქონდა შედგმული, რომ მკლავზე ხელი მოკიდა და თავისკენ მიიზიდა. მერე ორივე ხელით შემოეხვია და ტუჩებში აკოცა. ეს მისთვის პირველი კოცნა იყო და თითქოს მიწა ფეხქვეშ გამოეცალაო, თავბრუ ისე დაეხვა. შეშინებულმა შეხედა, ახსნას ითხოვდა, ეს რატომ გააკეთეო, თვალებით ეკითხებოდა. ისიც მიუხვდა. ჯერ მხრები აიჩეჩა, მერე შუბლი მოიფხანა და გეგონებოდა, თავს იმართლებსო, ისე უთხრა: — ცოლად გამომყევი... ერთ კვირაში უცხოეთში მივდივარ, ჩემთან ერთად წამოდი...

არაფერი უპასუხა. კიბეს მთვარეულივით აუყვა, დამშვიდობებაც გადაავიწყდა. სახლში შევიდა თუ არა, თავის ოთახში შეიყუჟა, ტანსაცმლიანი ლოგინში ჩაწვა და ბედნიერებისაგან თავზარდაცემული გაირინდა: რა კარგი იქნებოდა მასთან ერთად ზღვისპირა ქალაქში ცხოვრება. დილაობით ერთად დალევდნენ ყავას აივანზე. ზღვას უყურებდნენ. არ ექნებოდა მნიშვნელობა, წვიმა წამოვიდოდა თუ ქარი ამოვარდებოდა, ზამთარი იქნებოდა თუ ზაფხული... იცინებდნენ. სამსახურშიც ერთად წავიდოდნენ. ანასაც ერთად მიიყვანდნენ სკოლაში. საღამოობით სამივენი ერთად ივახშმებდნენ. ვახშამს ყოველთვის თვითონ მოამზადებდა. მაგიდას ერთად აალაგებდნენ, ჭურჭელსაც რიგრიგობით დარეცხავდნენ. მერე ანას ამეცადინებდნენ. ანა კი მათ ფრანგულ სიტყვებს ასწავლიდა. კარგ ამინდში ზღვის სანაპიროზე გაისეირნებდნენ. წვიმიანში სახლში დარჩებოდნენ. ბატიბუტს მოხალავდნენ და რაიმე კომედიას უყურებდნენ. და ყოფილიყო ასე თუნდაც ყოველდღე, არ დაიღლებოდნენ, ერთფეროვნებისაგან არ გაღიზიანდებოდნენ, არც იჩხუბებდნენ. მერე თვალები დახუჭა და წარმოიდგინა პატარა, წკრიალა ბინა. ცისფრად შეღებილი კედლები. ფანჯარასთან მიდგმული ლურჯი დივანი. ზედ მიყრილ-მოყრილი ღუზებამოქარგული ბალიშები. ოთახის შუაში მრგვალი მაგიდა, 3-4 სკამი. აივანი ზღვის ხედით და ქოთნის თეთრი აზალიებით...

თვალები გაახილა და ჭერს მიაშტერდა. ტუჩებზე მის კოცნას ისევ გრძნობდა. თვალწინ კინოკადრივით უტრიალებდა, როგორ შემოჰყვა სადარბაზოში, როგორ შეაჩერა, თავისკენ მიიზიდა, როგორ აკოცა.

დედამ გვიან გაიგო, რომ მოსული იყო. ოთახში ჯოხის ბრახაბრუხით შევიდა, შუქი აანთო. კი მაგრამ, როდის მოხვედიო, ჰკითხა. გეთქვა, მე კიდევ გელოდებოდი, უშენოდ ლუკმა არ შემიჭამიაო, უსაყვედურა. ხმა რომ არ გასცა, ცუდად ხომ არა ხარო, მიუახლოვდა და სახეზე დააკვირდა. ოცნებებიდან უცბად გამოფხიზლდა, კარგად ვარ, უბრალოდ დავიღალეო, ლოგინზე წამოჯდა. 10 საათზე ნემსი მაქვს გასაკეთებელი, ხომ არ დაგავიწყდაო. არ ინერვიულო, ეხლავეო, ზანტად ადგა და კაბაზე ზოლიანი ხალათი შემოიცვა.

* * *

პირველად ბაქას სამსახურის კიბეზე შეხვდა. იმ დღეს ზედმეტად აღელვებული იყო. ცხრას ხუთი აკლდა. აგვიანდებოდა. წლებია, სამსახურზე ოცნებობდა და დედამისის მეგობარმა, როგორც იქნა, ხარისხის სამსახურში საბუთების რეგისტრატორად მოაწყო. პირველი დღე იყო, მას კი აგვიანდებოდა. კოკისპირულად წვიმდა. კიბე აირბინა და ქოლგა ჩაკეცა თუ არა, მის თვალებს შეეჩეხა.

— დასველდი? — უდარდელად ჰკითხა და გზა დაუთმო. თანამშრომელთან ერთად იდგა და ყავას სვამდა, — კარგია წვიმა... ამის გარეშე რაა გაზაფხული? — და გაუღიმა.

დაძაბულობამ უცბად გადაუარა. თავდაჯერებულმა შეაბიჯა შენობაში.

ცხოვრება რაღაცნაირად არ აეწყო. უნივერსიტეტი კი დაამთავრა, მაგრამ სამსახური ვერა და ვერ იშოვნა. არ უნდოდა, ამაში დედა დაედანაშაულებინა, მაგრამ რამდენი რამე გამოჩნდებოდა, დედამისი ყველაფერზე ხელებს ასავსავებდა. განა უმაღლესი განათლება მაგისთვის მოგეცი, რომ ამ საქმისთვის მოცდეო, ჰკითხავდა და მასაც ყველაფრის ხალისი ეკარგებოდა. ცოტა ხანს მაცადე, მპირდებიან შენთვის კარგ ადგილსო, ცხვირჩამოშვებულს როგორც კი დაინახავდა, აიმედებდა. მერე კი მიუჯდებოდა ტელეფონს და მთელი საღამო დაქალებში გადარეკვა-გადმორეკვას უნდებოდა. ყველა რაღაცას პირდებოდა. ისიც მოთმინებით ელოდებოდა. ამასობაში თითქმის 20 წელიწადი გავიდა. მერე კი, როცა დედამისს უცხოეთში ერთადერთი ძმა მოუკვდა და ის საარსებო წყაროც შეუწყდა, ყოველთვე ძმა რომ უგზავნიდა, ბედად სამსახურიც გამოჩნდა. ერთ-ერთმა დაქალმა მართლაც დარეკა და საბუთების რეგისტრატორის ადგილი შესთავაზა. დედამ თავიდან ამაზეც ტუჩები აიბზუა, მაგრამ სხვა გზაც არ ჰქონდა, პენსიით ცხოვრება შეუძლებელი იყო, სახლიდან კი ყველა ძვირფასი ნივთი თუ სამკაული უკვე გაეყიდა. ადგა და დათანხმდა.

დასასრული მე-10 გვერდზე



ნინა სამხარაძე

* * *

ზამთარში ქალაქის ჩიტებს
ვაპურებდი,
ალბათ ამიტომ შეგხვდი.
იმ უსაძირკვლო სახლივით ვერ
დავინგრევი,
ნიავზე რომ ირხევა.
შენ მწყურვალიც არ დაადნობ
თოვლს სუფთა წყლისთვის,
მას მზეც რომ უყურებდეს...
სულელი თუ იკითხავს, რატომ
შემიყვარდი...

* * *

„ანგელოზებმა გაკოცეს“ —
ამბობდა დიდი ბებია ყოველ ჩემს
გაღიმებაზე,
უყურებდა ღრმულს ლოყაზე.
(მას შემდეგ გველი რომ ტყავს იცვლის,
იმდენჯერ შევიცვალე).
„ანგელოზებმა წაიყვანეს“ —
მითხრეს, როცა დიდი ბებია
გარდაიცვალა.
ყოველ დღე ანგელოზებს ვეძებ.
მარჯვენა მხარზე, ადამიანში,
ცისარტყელაზე...
ძალიან მინდა, წამიყვანონ
იქ, სადაც ღიმილისგან ლოყა
დამეჩვრიტება.
„ნახე, კიდევ მარტო მოვიდა“ —
ჩაილაპარაკა ბავშვმა მამების კრებაზე,
იქაც გავიღიმე რატომღაც...
სამაგიეროდ, მე ანგელოზები მკოცნიან...

და მაინც... რომ არსებობდნენ...

* * *

„იქ, სადაც ფეხს დაადგამ, ყვავილი აღარ
ამოვა“ — ამბობდა ბებია.
უდედოდ დარჩენილი ბარტყებივით
იხუტებდა ყვავილების თესლს.
ნეტავ, რამდენი ყვავილი მოვკალით
ღამით სახლიდან გაპარვის დროს?!
გოგონებმა შეყვარებულის სანახავად, მე
„ზაფხულის ნაძვის ხის“ —
ასე ვეძახდი ხმელ თივის ზვინს, როცა
მის თავზე მთვარე ჩერდებოდა.
შემდეგ ყველაფერი გაქრა — ქვეყანა,
სახლი, ოჯახი, ზამთრის ნაძვიც...
თივის ზვინები უთავო აქლემებს ჰგავს,
ზაფხულის ნაძვი არ არსებობს.
შემდეგ ისე გავუხეშდი და დავიბზარე,
როგორც გვალვების დროს მიწა.
თუ ფეხის წვერებზე დავდივარ, ესე იგი,
ვინმე ძალიან მიყვარს,
თუ გიყვარს, არ უნდა გააღვიძო, ფეხი
ყვავილებს არ უნდა დაადგა.
მთვარე თუ კიდევ გამოგორდება თივის
თავზე, სუნთქვასაც შევიკრავ.

* * *

როცა გავიგე — ძილში ფეხებს
ამოძრავებდა,
„დავიძინე“, ფეხების მოძრაობა
დავიწყე...
ასე გავიგონე ნანატრი ფრაზა:
„მამას ჰგავს“, —
ეს იყო უკანასკნელი მსგავსება
ჩვენ შორის.

ასე მივეჩვიე მჭიდრო წინდებით
დაძინებას.

პაპამ მითხრა: „ბროწეულს გავხარ“ —
და მიმითითა
ნერგის გარეშე თვითნებურად
ამოსულ ხეზე...
ბროწეული ვარ! თავს რომ ვხრი,
გვირგვინი არ მძვრება...

როცა გავიგე, კარგად უკრავდა, გავათენე,
ერთ ღამეში ნასწავლი „მთვარის
სონატის“ მსგავსად
გაქრა ხესთან დაცემული ნაყოფობის
სურვილი...
ეს ისეთივე ფუჭი იყო, როგორც
სინანული.

და როცა მიყვარს, თავზე საბანი არ
მახურავს,
ახლა შევნიშნე, როცა სიყვარული
ვისწავლე...
რადგან ნაყოფი ვარ, ხისგან შორს
დაცემული.

* * *

არსებობენ მკვლელი ქალაქები,
საცეცებს გაჭერენ იარებზე...
ცოტაა, ვისაც ეტყვი — „ცუდად ვარ“
და ის არ გკითხავს „ხომ არ გაგიჟდი...“
ვისაც ეტყვი, რომ ჩაცმულს გძინავს
ზაფხულში ჰუდით, თმას არ ივარცხნი.
ის გიპასუხებს, რომ სიცხიანიც
ლამაზი ხარ, წვიმის დღესავით...
ვერავის ეტყვი, რომ ავად ხარ და
უსაძირკვლო სახლივით დარჩი,
რომ შენი დილა ბინდით იწყება.
ვერავის ჰკითხავ, როგორ გადარჩე,
მხოლოდ დროებით თუ ითხოვ ვინმეს,
მისწერ — „ცუდად ვარ, ვილაპარაკოთ“
და შემდეგ მუდამ გემახსოვრება,
ისევ მარტო ხარ და გებრალება
ხელმეორედ სალაპარაკოდ...
ცოტაა, ვისაც ეტყვი, რომ კვდები —
ისე ძალიან გინდა ახლა,
გქონდეს ოცნება ანდა მიზანი,
ვისაც ეტყვი, რომ დაიწყე დაშლა
საყრდენგამოცლილ შენობასავით
და ის არ წავა სხვა ლამაზ სახლში...

* * *

„სანთელი იყიდე
ყოველი შემთხვევისთვის“ —
ისე ხშირად ქრებოდა დენი,
ახლა რომ ადამიანები კვდებიან.
უკვე ყველა შემთხვევა იყო...
ახლა რა ვიყიდო
ყოველი შემთხვევისთვის...

„სანთელს რომ ანთებ, ღმერთს ათბობ“ —
მითხრა მამაომ პირველი აღსარების
დროს,
მეტკინა გაყინული ღმერთი,
ორ სანთელს ვანთებდი
ყოველი შემთხვევისთვის...

ახლა ჩემს სანთელს ერთი
დანიშნულება აქვს,
შობის ღამის სურვილი ჩემთვის.
ჰო, კიდევ ერთი თხოვნა ყოველი შემთხვევისთვის...
— შენი თითები რომ ყოველთვის
უკრავდნენ...

* * *

წარმოვიდგინე შენი ხელები,
ბევრი წლის შემდეგ წარმოვიდგინე...
მე ვხედავ ოდნავ დაკუჭულ პერანგს,
მესმის ხმაური ზღვის და ჩიტების.
ხელისგულებით დაიზელ თვალებს,
მაგრამ არც ახლა იცვლება ხედი.
ხედი, რომელიც შენი სახლია,
ბებერი ხით და ბევრი გირჩებით.
წარმოგიდგინე ბევრი წლის შემდეგ
ყველას მშველელი, გადამრჩენელი,
ვხედავ კიბეზე ციტრუსის კალათს,
აღარ აქვს სევდა შენს ბავშვურ სიცილს...
წარმოვიდგინე შენი თვალები,
ბავშვობაში რომ ვაფერადებდი
მზეს ლურჯი ფანქრით
(რადგან ყვითელი თეთრზე არ ჩანდა),
იმ მზედ იქეცი...

* * *

ჩემი რვა ნათესავი გარდაცვლილა
თებერვალში,
„ამ თვეს კარგი არაფერი მოუტანია“ —
თქვეს მათ,
„მე დავიბადე...“ — ვამბობდი ყოველი
მოსმენის დროს.

შემდეგ „შვლის ნუკრის ნაამბობზე“
ტირილი შევწყვიტე,
კიდევ უფრო შემდეგ — გაყინული
ბარტყების გლოვა,
ახლა ჩემს მაჯაზე კბილებით დახატული
საათია,
რომელიც ყოველთვის ერთ დროს
აჩვენებს — ტკივილის დროს.

„ამ თვეს კარგი არაფერი მოუტანია“ —
თქვეს მათ.
„ნამდვილად...“ — ვამატებ მე და თმას
ვიჭრი ჩემი ხელით.

ზამთრის გოგონებზე ხომ გსმენიათ?!
მე მათ არ ვგავდი,
„შვლის ნუკრის დედაც თებერვალში
მოკლეს?“ — ვკითხე პაპას,
პასუხი არ მომისმენია... ჩემს ხელზე
საათია...
კბილებისგან, რომელზეც მუდამ
ტკივილის დრო იქნება —
ყოველ თვე, ყოველ წელს, ყოველ სეზონზე...
სანამ ვსუნთქავ.

ვის სჭირდება ლექსები, როცა მუდამ
შემოდგომაა,
როცა „ზაფხულის გოგონები“
მარტივად იღიმიან.
ეს ლექსი ისე ძალიან ჰგავს
ჩემს უკანასკნელ ლექსს,
როგორც უნაყოფო ქალის ბოლო ცდა,
გახდეს დედა...

* * *

ბავშვობაში თამარის საფლავს ვეძებდი
მეზობლის ეზოს ყვავილებში.
ასე გავაფუჭე „ტიტა“ და „ფურისულა“...
შემდეგ მე მეძებდნენ ეზოში.
მაყვლის ბუჩქთან დავჯექი, დავიწყე
კითხვა.
წიგნის არა, ადამიანების.
ასე გავიგე, ვინ როგორ ბრაზობდა ჩემზე.
ამ მეთოდს ხშირად მივმართავდი.

ახლა, როცა ადამიანებს ვაკვირდები,
მათ შუბლზე მხოლოდ „მინდას“ ვხედავ.
იშვიათად „მჭირდებაც“ გამოერევა...
ბარზე ნეონის სანათივით
მკრთლად ანათებს მათი შუბლები.
მზეს მეტი სხივი არ სჭირდება,
წარმოიდგინეთ, უბრალოდ რომ
მოუნდეს...
...
ესეც ერთგვარი ნუგეშია —
მათ არაფერი უნდათ, რაც მე მჭირდება.

* * *

არ გამომდის ჭარბი ჰაერის დროს
სუნთქვა,
პეპელაც ჭარბი სამყაროს გამო
კვდება,
ავტობუსში უცხო რომ ხელს
შეგავლებს,
იმ შეშმუშვნას წააგავს ჭარბი
სიყვარული...
ბავშვობის ნორმალური დღეებიდან
მახსოვს —
პაპასთან ერთად შეგროვილი გირჩები,
დაბლა რატომ ცვივა?! იმიტომ, რომ
ჭარბია...
დაბრუნებული მამაც კი ჭარბი იყო
ჩემთვის;
ყველა შემოთავაზებული პაემანი
ბებოს ბაღში სარეველებივით
ჭარბი იყო...
ახლა, როცა ძალიან ჭარბად
შემიყვარდა,
ვფიქრობ: გირჩები იმიტომ ცვივა, რომ
ახლოს იყოს მიწასთან, სანამ მიწად
იქცევა.

ჭარბი ჰაერის დროს უფრო ჭარბად
ვსუნთქავ და
დაბრუნებული მამა ძალიან მცირე იყო
ჩემი დამტვრეული მუხლების
მოსარჩენად.
დაკვრის დროს ნეკა თითი უშნოდ
გეპრიხება, —
ერთხელ მითხრეს და მას შემდეგ აღარ
დამიკრავს...
ამიტომ
არასდროს გეტყვი, რომ მეტად ვეღარ
შეგიყვარებ.

* * *

ნახევრად წავალ, ვთქვი — მიყვარხარ,
რაც ნიშნავს — „მუდამ“.
შეხედე კვამლის საფრთხობელებს
ამ ცხელ ქალაქში,
წლები გავა და ყველაფერი იქნება
კვამლი...

ღმერთს რომ ლოყაზეც ვერ კოცნიან —
ეს მე აღარ ვარ,
შეხედე კვამლის საფრთხობელებს —
ასე გადავრჩი,
როცა მივხვდი, რომ „მუდამ“ არის
მთელი ცხოვრება...
ანდა ვინ კოცნის ღმერთის შემდეგ
კაცებს კვამლიდან...

ვთქვი — მიყვარხარ, რაც ნიშნავს „მუდამ“,
რაც ნიშნავს „მარად“ ანუ „ყოველთვის“...
ყოველ თვის ბოლოს შევიკერ კაბას,
უფრო პატარას, უფრო მოხდენილს,
რომ ვიყო გზა, ფეხის დადგმა თუ
გაგიჭირდება...



ყარამან ჯიქურაული

*

ამ ბოლო დროს
სულ უფრო ხშირად ვხედავ
ჩემი ნაადრევად გასვლის სიზმარს.
სადაც ზის შაოსანი ვინმე დედა
და
ჩემს გამოუყენებელ შესაძლებლობებს დასტირის

*

გვეცინებოდა თავიდან მამაჩემზე,
კანდიდ ჩარკვიანზე,
ყველა სხვა ქართველ მამაზე,
ვინც საქართველოს პრიმატს ქადაგებდა
სიფხიზლესა და სიმთვრალეში.
გავიზარდეთ მათი შვილები,
წავიკითხეთ ბევრი წიგნი,
გავიცანით მრავალი ადამიანი,
მოვვლეთ მსოფლიო კიდით კიდემდე
და გავიგეთ, რომ ჩვენი მამები მართლები ყოფილან

*

თუ რუკაზე საქართველოს დააკვირდებით,
დაინახავთ, რომ
პირი აქვს მობმული შავი ზღვისთვის და
ჩაყლაპვას თუ დალევა-ამოშრობას უქადის,
ის უფსკრული რომ შთანთქას,
რაც მას ევროკავშირისგან ჰყოფს

*

რაღაცნაირი მაღიზიანა ტიპი ვარ.
სადაც უნდა მოვხვდე,
რომელ წრეშიც,
ყველას ვაღიზიანებ.
ზოგს ცოდნით,
ზოგს უმეცრებით,
ზოგს გარეგნობით ვთრგუნავ,
ზოგს ვეჩოთირები
თავის სრულყოფილებასთან.
სიკვდილის მერე
არგაღიზიანებეთში მინდა, მოვხვდე

20 წლის მარიამი

მარიამი ოცი წლისაა.
აქვს ცისფერი თვალები
და მიწისფერი გული.
მარიამს თეთრი ხელები აქვს და
გულზე თოვლივით იფარებს.
მარიამი მაღალია და ისეთი ნაზი ხმა აქვს,
მხოლოდ თავისიანებს თუ გააგონებს,
ყველაზე ამაღლებულ ადგილას.
მარიამს ადამიანები არ უყვარს,
მაგრამ დედამიწის გადასარჩენად
სამყოფი სიყვარული აქვს.
მარიამს უყვარს ტყუილები.
ზოგიერთი ტყუილი ისეთი ბავშვურია,
ზრდასრულ სიმართლეს ჯობია.
მარიამი აქაური არ არის და არც უნდა იყოს.
პ.ს. მკითხველო, არამიწიერ ცივილიზაციასთან
კავშირის საშუალებების შესახებ მომწერე...

ნესტან ეგეტაშვილი

კიბე

დასასრული

ბაქაც იმავე სამსახურში მუშაობდა დაცვის თანამშრომლად. ორმოც წელს გადაცილებული ქვრივი იყო. პატარა გოგო ჰყავდა. ანა სკოლის დამთავრებისთანავე მამამისს სამსახურში აკითხავდა. მერე კი იჯდა ხოლმე მის პაწაწინა ოთახში და თავჩაღუნული საშინაო დავალებებს ასრულებდა. ზოგჯერ ესმოდა, ანა ხმამაღლა ლექსს ან მოთხრობას როგორ კითხულობდა. რამდენჯერმე შესვენებისას მაგალითების ამოხსნაში დაეხმარა. ეგონა, რომ სწორედ ამით მოიგო ბაქას გული და მისი ყურადღებაც ამით დაიმსახურა.

სამსახურში დღეგამოშვებით ხვდებოდა. ის დღე, როცა ბაქა არ მუშაობდა, უხალისოდ გადიოდა. იქ რომ იყო, სულ ყურადღების ცენტრში ჰყავდა. იბარებდა და იბარებდა უამრავი ადამიანისაგან სხვადასხვა საბუთს, მაგრამ თვალებით სულ ბაქას ეძებდა. აკვირდებოდა, ხალხის რიგს როგორ აწესრიგებდა, ყველას მისვლის მიზეზს ეკითხებოდა, წინასწარ საბუთებს უმოწმებდა, თუ რაიმე აკლდათ, აფრთხილებდა, რომ რიგში დგომით დრო ტყუილად არ გაეფლანგათ. წესები რეგისტრატორებზე უკეთ იცოდა. თუ რომელიმე ცნობა ნოტარიულად დამოწმებული უნდა ჰქონოდათ, იქვე ახლოს ნოტარიუსის ბიუროში აგზავნიდა, თვითონ კი რიგს უკავებდა. თუმცა არც რიგის გაკონტროლება შედიოდა მის მოვალეობაში და არც უამრავი ადამიანის დაკვალიანება, მთელი დღე მაინც მუხლმოუხრელად მუშაობდა. თავიდან ამიტომაც მოეწონა. მერე და მერე, როცა გაიგო ცოლი მშობიარობას გადაჰყვა და სულ მარტოდმარტო ზრდის ლამაზთვალება ანასო, გულში ჩაუვარდა.

სახლში დაბრუნებულს დედა სულ ებუზღუნებოდა. ლიმონი ისევ დაგავიწყდა, უსაყვედურებდა და ხელს ჩაიქნევდა, შეყვარებული მაინც იყო, დაბნეულობის მიზეზი რომ გქონოდაო, გამუდმებით ამას ეუბნებოდა. არადა, მგონი, ყველაზე მეტად სწორედ მისი სიყვარულის ეშინოდა. ნერვიულობდა, ვინმე ხეპრეს, გაუნათლებელსა და მდაბიოს არ გადაჰყროდა. წლების წინ ერთი ბიჭი მოსწონდა. ისიც არ იყო მის მიმართ გულგრილი. ერთხელ თეატრში დაპატიჟა. „ზაფხულის ღამის სიზმარი“ ნახეს. სახლამდე ფეხით მიაცილა. გაზაფხულის საღამო იყო. უკვე უნდა დამშვიდობებოდა, რომ თვალი აივანზე გადმოყუდებულ დედას მოჰკრა — სახეზე ფერი აღარ ედო, წყვილს სასოწარკვეთილი მისჩერებოდა. იმ საღამოს სასწრაფო ორჯერ გამოიძახა, დედას მაღალი წნევა ჰქონდა, ვერანაირმა წამალმა ვერ უშველა. ბოლოს შეჰპირდა, იმ ბიჭს აღარასოდეს ვნახავო და წნევამაც დაიწია. იმ ღამეს ბევრი იტირა. მამა ასე ხომ არასდროს მომექცეოდაო, წამოსცდა. თუმცა ამ ფიქრის გამო მერე ინერვიულა, სინდისი ქენჯნიდა. დედა ხომ ისევ მასზე ზრუნავდა, სხვა, აბა, ვინ ჰყავდა. მისთვის საუკეთესო საქმროს ეძებდა და ამ საქმეშიც ისევ დაქალების იმედი ჰქონდა. დრო კი გადიოდა და ბედნიერებაზე უკვე ოცნებაც ეხამუშებოდა. რაღა დროს ჩემი სიყვარულია, გაიფიქრებდა ხოლმე, თითქოს ამით თავს უფრთხილდებოდა, ტყუილი მოლოდინები რომ აღარ ჰქონოდა. ან სად უნდა გაეცნო ვინმე. სახლიდან მხოლოდ საყიდლებზე თუ გადიოდა. მეგობრები თითქმის აღარ ჰყავდა. დედამისის თქმით, ასეთი მეგობრები არც სჭირდებოდა. ყველანი ხომ ეგოისტები და თავიანთ თავებზე შეყვარებული „სუკები“ იყვნენ. არადა ბავშვობაში სულ სხვანაირად წარმოედგინა თავისი ცხოვრება. ბავშვობა მართლაც ზღაპარივით ჰქონდა. სანამ მამა ავარიაში დაიღუპებოდა, დედაც სხვანაირი იყო — ლაღი და ბედნიერი. ყოველ ზაფხულს ის, მამა და დედა ზღვაზე მიდიოდნენ. ამ დასვენებას ემთხვეოდა ხოლმე მისი დაბადების დღეც. დედა ყოველთვის უზარმაზარ ტორტს უცხობდა, ვარდისფერი კრემით რთავდა და მის დღეობაზე ყველა დამსვენებელს ეპატიჟებოდა. ყველაზე ბედნიერი ალბათ მაშინ იყო. დედა ტრაგედიამ ერთიანად მოტეხა. ამიტომაც ქენჯნიდა ალბათ სინდისი, როგორც კი მასზე ბრაზდებოდა. ზოგჯერ თავსაც კი იდანაშაულებდა, რომ დედამ მთელი სიცოცხლე მის გაზრდასა და გზაზე დაყენებას შეალია, მან კი იმედები ვერ გაუმართლა.

მაინც რა მოულოდნელად აკოცა. მანამდეც ხვდებოდა, რომ მოსწონდა. ბოლო თვეა, რაც ბაქა სამსახურიდან სახლამდე აცილებდა. ჯერ 382 ნომერი ავტობუსით მიდიოდნენ ველოსიპედის ძეგლამდე, ანას სახლში დატოვებდნენ, თვითონ კი სახლამდე გზას ფეხით მიუყვებოდნენ. ბაქა სულ მხიარული იყო, სულ რაღაცაზე აცინებდა. სადარბაზოს კარს როგორც კი მიუახლოვდებოდნენ, თბილად ემშვიდობებოდა და ანასთან მიიჩქაროდა. ალბათ მთელი დღე მუშაობით დაღლილი სახლში მივიდოდა თუ არა, თავისთვის და ანასთვის ვახშამს ამზადებდა. მერე იქნებ ერთად უყურებდნენ მამა-შვილი ტელევიზორს ან წიგნს კითხულობდნენ ხმამაღლა, რიგრიგობით. მარტო ის იცოდა, რომ ბაქას საფრანგეთში ძმა ჰყავდა. წლებია, ზღვის სანაპიროზე, პატარა ქალაქში ცხოვრობდა. ბაქაც უკვე კარგა ხანია, ძმასთან აპირებდა წასვლას. ანაც ამიტომ იზეპირებდა ხოლმე გულდასმით ფრანგულ სიტყვებს მამამისის პაწაწინა ოთახში. თითქმის თავისუფლად ელაპარაკება ბიძაშვილებს სკაიპით, ყველაფერი ესმისო. ამიტომაც ფიქრობდა ბაქა უფრო წასვლაზე: იქ სწავლა არ გაუჭირდება, მისი მომავლისთვისაც ალბათ ასე აჯობებს, ბიძაშვილებთან ერთად გაიზრდება, გვერდით ეყოლებიანო ნათესავები.

ნეტავ მაკოცოსო, კი ინატრა, მაგრამ მაინც ვერ წარმოიდგენდა, ასე მოურიდებლად თუ აკოცებდა, მერე საფრანგეთში წასვლას შესთავაზებდა, ცოლობას სთხოვდა. წავა, სიამოვნებით იცხოვრებს ბაქასთან ერთად. ანას შვილივით გაზრდის და შეიყვარებს. საკუთარი ხომ ალბათ აღარც ეყოლება. მაგრამ — დედა? ვინ გაუკეთებს ყოველ საღამოს ნემსს, ვინ მოუტანს მაღაზიიდან პროდუქტებს, ვინ გაუწმენდავს ახალი წლის წინ ფანჯრებს, ვინ ჩამოუკიდებს გარეცხილ ფარდებს, ვინ გამოუცვლის გადამწვარ ნათურას? თან იმხელა ჭერი აქვს სახლს, თვითონ ყველაზე მაღალი კიბითაც ძლივს სწვდება. წინასწარ იცის, დედა იტირებს, მერე წნევა აუწევს, ახია ჩემზე, მთელი სიცოცხლე შენ შემოგწირე და ახლა დაუძლურებულს ვის ანაბარად მტოვებო, შეეკითხება. ინანებს, რომ მამამისის სიკვდილის შემდეგ არც ერთი კაცი არ გაიკარა, თავი ცოცხლად დაიმარხა და სამაგიეროდ რა მიიღო. არ უნდოდა ასეთი თავგანწირვა. ერჩია, გვერდით ბედნიერი დედა ჰყოლოდა, მაგრამ ამას ხომ ვერ ეტყვის? რა უპასუხოს? როგორ აუხსნას, რომ ბაქასთან ერთად თავს ისევ ადამიანად გრძნობს. თითქოს მოჯადოებული იყო. საზიზღარი არსება იყო და მისმა კოცნამ ისევ ქალად გადააქცია.

როგორც კი ბაქამ სამსახურში ნახა, ხელი მოვაწეროთო, უთხრა. ჩემი ძმა სამივეს გამოგვიგზავნის სამუშაო ვიზას, სამსახურსაც დაგვახვედრებს და საცხოვრებელსაც. ბედნიერი იქნები, ჩემი ხომ გჯერაო. კი, მისი სჯეროდა. ყველაზე უფრო მისი სჯეროდა ამქვეყანაზე. მაგრამ ტელევიზორთან მობუზულ, შალმოხვეულ დედას ეს როგორ უთხრას? არაფერსაც არ ეტყვის, ადგება და წავა, პატარა გოგოსავით გაიპარება. წერილს დატოვებს, პატიებას შეევედრება. თუმცა იქნება და როგორმე დაითანხმოს?

ერთ საღამოს ბაქა სახლში მიიპატიჟა. იმედი ჰქონდა, რომ დედას მოეწონებოდა და მათ ქორწინებასაც სიხარულით შეხვდებოდა. დიდ ოთახში მრგვალ მაგიდასთან დასხდნენ, ჩაის სვამდნენ. დედა ტელევიზორს მისჩერებოდა, ბაქასთვის ხმა არ გაუცია. მისი საყვარელი სერიალი გადიოდა, ხმა აუწია და რაც ბაქა მათთან იყო, ეკრანისთვის თვალი არ მოუცილებია. ბაქა უხერხულად იშმუშნებოდა. მასაც სიბრაზისაგან ტანზე ჭიანჭველები დაუდიოდა. რომ წავიდა, არ მომწონს ეგ კაციო, მარტო ეს უთხრა. ის ღამე თავზე თეთრად ჩამოათენდა. ხან ტიროდა, ხან ბრაზობდა. ბოლოს გადაწყვიტა, ბაქას თუნდ სამყაროს დასაღიერში გაჰყოლოდა. დედას თავიდან კარის მეზობელი — ინა მიაქცევდა ყურადღებას, მერე მომვლელს უქირავებდა, ყოველთვიურად ფულს გამოუგზავნიდა, უყურადღებოდ არ დატოვებდა. მეორე დღესვე ბაქას თანხმობა უთხრა. გადაწყვიტეს ხელი სამშაბათს მოეწერათ. ამ საღამოსვე ვიყიდი შენთვის ბილეთს, კვირის ბოლოს უკვე საფრანგეთში უნდა ვიყოთ, რომ სამსახური არ დავკარგოო, გეგმებს აწყობდა გახარებული ბაქა.

სამშაბათს სამსახურში არ წავიდა. დედას უთხრა, რომ თავს ცუდად გრძნობდა. მთელი დილა გარშემო უტრიალებდა, ცდილობდა, გაებედა და მისთვის თავსდატეხილი ამბავი გაემჟღავნებინა, მაგრამ ენა პირში ვერაფრით მოატრიალა. იმ დილას დედა განსაკუთრებულად ეცოდებოდა. გული უკვდებოდა მის ამოხრილ ზურგს რომ უყურებდა. უნდოდა, მისი აკანკალებული ხელი დაეკოცნა, ჩაის ჭიქას კოვზით რომ ურევდა. რა ეშველებოდა უმისოდ? ბაქას პირველ საათზე ველოსიპედის ძეგლთან უნდა შეხვედროდა. იქიდან ერთად წავიდოდნენ ხელის მოსაწერად. თითქოს საღონში აპირებდა წასვლას, მაგრამ მერე გადაიფიქრა. გარდერობიდან რამდენიმე კაბა გადმოიღო, თუმცა რომელი ჩაეცვა, ვერ გადაწყვიტა. მოწმედ გაყოლა ინასთვის უნდოდა, ეთხოვა, მაგრამ ასე 12 საათისთვის ფანჯრიდან მოჰკრა თვალი ნაგვის პარკით ხელში როგორ მიიჩქაროდა. საგარეო ტანსაცმელი ეცვა, ეტყობა, შორს მიდიოდა. მერე აბაზანაში შევიდა. ტანზე წყლის გადავლებას აპირებდა, მაგრამ თავიდან ფეხებამდე გაისაპნა. გაახსენდა, ყოველ კვირას სკამზე ჩამომჯდარ დედას როგორ აბანავებდა. ამ დროს დედა დამჯერ ბავშვს ემსგავსებოდა, რასაც ეუბნებოდა, ყველაფერს უსრულებდა. ხანდახან უწყრებოდა კიდეც, მაგრამ ხმას ამაზეც არ იღებდა. გული აუჩუყდა, ატირდა. აბაზანის იატაკზე დაჯდა და ზურგი წყლის ძლიერ ჭავლს მიუშვირა. დიდი ხნის წინანდელი ამბავი გაახსენდა. ერთხელ უნივერსიტეტიდან დაბრუნებულს დედა კარს რომ არ უღებდა. არადა კარი ურდულით იყო დაკეტილი, სახლში იყო. ჯერ მშვიდად აკაკუნებდა, დედა, მე ვარო, იძახდა. მერე გამწარებული აბრახუნებდა. წარმოიდგინა, რომ დედა ცუდად გახდა და ახლა იატაკზე უსულოდ ესვენა. კარი გააღე, დედა, მე ვარო, ღრიალებდა. აქეთ-იქიდან მეზობლები გამოცვივდნენ, აწყნარებდნენ. უკვე მეზობლის ფანჯრიდან მათ აივანზე გადაძრომას აპირებდნენ, რომ შიგნიდან ნაბიჯების ხმა გაისმა და სულ მთლად გაწუწულმა, დარცხვენილმა დედამისმა კარი ფრთხილად გააღო. აბაზანაში ვიყავი, ხმა ვერ გავიგეო, თავს უხერხულად იმართლებდა. მაშინ მიხვდა, რომ სამყაროში მის მეტი არავინ ჰყავდა, ჩაეხუტა და კიდევ უფრო მწარედ ატირდა. მერე რატომღაც ის გაახსენდა, ერთხელ დედა თეატრში რომ დაპატიჟა. მაშინ ფეხები ისე ძალიან არ სტკიოდა, ჯოხით, მაგრამ გარეთ მაინც გადიოდა. კარგი სპექტაკლი იყო — „ქალები“ თუ „დედები“ ერქვა. ანტრაქტზე დედაშვილს მოხუცი კაცი მიუახლოვდა, ქალბატონო, მშვენიერი ცხვირი გაქვთო, დედას უთხრა. ყოველ შემთხვევაში მას ასე მოესმა. თავი ვერ შეიკავა, სიცილისაგან კიბორჩხალასავით გაწითლდა. თუმცა მერე დედა უმტკიცებდა „ცხვირი“ კი არა „წყვილი“ თქვაო, მაგრამ ამ ამბავზე მაინც ყოველთვის გიჟივით ეცინებოდა. ახლაც ახარხარდა.

დიდხანს იჯდა იატაკზე. აბაზანაში ჩამოწოლილ ორთქლში უკვე აღარ ჩანდა. ბოლოს იგრძნო, რომ ხელ-ფეხი დაუბუჟდა, ჰაერი სჭირდებოდა, სადაცაა გული წაუვიდოდა. გაჭირვებით წამოდგა და აბაზანის კარი გამოხსნა. კაკუნი მოესმა. გულმა უჩხვლიტა. დრო ისე გაეპარა, უკვე პირველზე მეტიც იქნებოდა. ტანზე პირსახოცი შემოიხვია და აბაზანის ღია კარის უკან აიტუზა. როდის-როდის დედამისის ჯოხის ბრახუნი და კარის ჭრიალი გაიგონა.

— სახლშია? — ბაქას ხმა ნაწყვეტ-ნაწყვეტ ესმოდა.

— ავადაა... მთელი დღე ლოგინიდან არ ამდგარა...

— ვნახავ... შეიძლება?

უნდოდა, ეყვირა, შემოდი, რა თქმა უნდა, შეიძლებაო, მაგრამ ვერ გაბედა. კედელს ჩრდილივით აეწება. გული გამაყრუებლად უბაგუნებდა. ბაქა კიდევ რაღაცას ამბობდა, მგონი, მას ეძახდა, ხმა ისევ ნაწყვეტ-ნაწყვეტ ესმოდა, სიტყვებს ვერ არჩევდა, ყურებში საკუთარი სისხლის ხმაურიღა ესმოდა. მერე კარი უხეშად მიბრახუნდა. ისევ დედის ჯოხის ხმა გაიგონა. იატაკზე ჩაიკეცა. „წავიდა“, ამოიჩურჩულა, თავი მუხლებში ჩარგო; „წავიდა“, გაიმეორა...

გიორგი შერვაშიძე

უკანასკნელი ანტივაქსერი

მონოპიესა

სცენაზე სიგანეზე დგას გრძელი მაგიდა და ორი სავარძელი. ერთი სავარძელი განათებულია და მეორე — არა. განათებულ სავარძელში გაუპარსავი, გაბურძგნული და ძალიან გამხდარი კაცი ზის, რომელსაც აქლემის ტყავი და დაგლეჯილი სანდლები აცვია. ჩაბნელებულ სავარძელში არ ჩანს, ვინ ზის.

— მოკლედ, ყველაფერი სწორედ მაშინ დაიწყო, როდესაც 5G ანტენები ჩართეს. ჩვენც, როგორც შეთანხმებული ვიყავით, ეგრევე უდაბნოსკენ ავიღეთ გეზი...

— უკაცრავად, რომ გაწყვეტინებთ და იქნებ დააკონკრეტოთ, ვინ თქვენ?

— რას ჰქვია, ვინ ჩვენ? ჩვენ, რა... ჩვენმა ერთობამ, წინააღმდეგობამ. აი, ვინც იძულებით აცრაზე უარი განვაცხადეთ და მოსეს მსგავსად უდაბნოში გავედით, რათა თაობა გამოგვეცვალა და აღქმულ მიწაზეც ახალი სისხლით დავბრუნებულიყავით.

— ახალი სისხლით ეგ როგორ?

— ანუ იმ ახალ თაობასთან ერთად დავბრუნებულიყავით უკან, რომელიც თავისუფლებაში იქნებოდა დაბადებული და რომელსაც არც ერთი აცრა არ ექნებოდა გაკეთებული.

— აჰა, გასაგებია. ესე იგი, თქვენ აცრების მოწინააღმდეგეები იყავით და ამიტომაც წახვედით უდაბნოში?

ისმის კლავიატურის წკაპუნის ხმა. ჩაბნელებულ სავარძელში მჯდომი რაღაცას ბეჭდავს. აქლემისტყავიანი იცდის და ისტერიკულად იქექება.

— გავაგრძელო?

— კიბატონო.

— დიახ, ზუსტადაც რომ ეგრე იყო. როგორც კი ვირუსის საწინააღმდეგო აცრა სავალდებულო გახდა, ეგრევე წინააღმდეგობაში გადავედით და მერე უდაბნოსაც შევაფარეთ თავი. აი, თქვენ ის უნდა გენახათ, იმ საწყალ აცრილებს ამ დამპალი 5G ანტენის ჩართვიდან ზუსტად 2 თვეში რაც დაემართათ — ყველა, უკლებლივ ყველა, დაიხოცა, აბა?!

— თქვენ თავად ნახეთ გვამები?

— ნუ ახლა მე პირადად ასე არ მინახავს, რადგან ჩვენმა ოჯახმა ანტენის ჩართვიდან პირველივე დღეებში დატოვა ქალაქი, თუმცა უახლოესმა ადამიანებმა გვიამბეს, რა და როგორ იყო. რაღაც ნაწილი ცოტა მოგვიანებით შემოგვიერთდა და...

— სულ ერთი წუთით მადროვეთ.

ისევ ისმის კლავიატურაზე ბეჭდვის ხმა. აქლემისტყავიანი ახლა თავს იფხანს გაუჩერებლად და დროდადრო ფრჩხილებში ჩარჩენილ ჭუჭყს ათვალიერებს.

— გავაგრძელო?

— აუცილებლად, აჰა, და ეგ ამბავი დახოცვისა როგორ იყოო?

— საშინლად... აი, ასე, სულ ძირს ეყარნენ, კოტრიალობდნენ და ტანჯვაში იხოცებოდნენო.

— სულ ყველანი დაიხოცნენო?

— ალბათ. აბა, რა გადაარჩენდათ? მარტო ისინი გადარჩნენ, ვინც ეგ ოხრობა გამოიგონა და ვინც აცრები არ გაიკეთა. ჰო, და კიდევ ისინიც, ვინც მაგათი მსახური გახდა.

— მსახური?

— დიახ. მსახური, მონა-მორჩილი, რა. აბა, მართლა, სულ ყველას ხომ არ გაწყვეტდნენ? მოსამსახურეებიც ხომ დასჭირდებოდათ?!

— ვის დასჭირდებოდა?

— როგორ თუ ვის? ხომ გითხარით, იმათ, ვინც ეს ანტენა, აცრები და ოხრობა გამოიგონა.

— უკაცრავად, ცოტა დავიბენი...

— რა არის გაუგებარი? ვინც ეს ოხერი ავადმყოფობა გამოიგონა, იმან ამის საწინააღმდეგო წამალიც შექმნა, ოღონდ არავის გაუმხილა. მერე ადგა და გაუშვა ეს დაავადება... შემდეგ ვითომ გამოსაჯანმრთელებლად აცრეს ყველა. რეალურად კი ხალხი დაღუპეს. თავად კი თავიდანვე ჰქონდათ ამის საწინააღმდეგო წამალი და...

— ანუ სხვა ვაქცინაც არსებობდა?

— დიახ. ერთი თავისთვის, რომ გადარჩენილიყვნენ და ერთიც ხალხის დასახოცად. მარტივია, ისინი აიცრნენ კარგით და ხალხი აცრეს ცუდით.

— და მონები?

— ვინ მონები?

— აი, ვინც გადარჩა მოსამსახურეებად დაიყენესო თქვენ არ ბრძანეთ?

— აა, ჰო, ეგენიც აცრეს ალბათ. ჯერ იმსახურეს და მერე ალბათ დახოცეს.

ჩაბნელებულ სავარძელში მჯდომი დგება და სადღაც გადის. მალევე ბრუნდება, მაგიდაზე წყლიან ბოთლს დგამს და აქლემისტყავიანისკენ აცურებს. გაბურძგნული კაცი ბოთლს იჭერს, ერთ ხანს ათვალიერებს, ხსნის და სულმოუთქმელად სვამს.

— ახლა ყველაფერი გასაგებია. განაგრძეთ.

— რა განვაგრძო? დარჩნენ ისინი, დაჩიპულები და ჩვენ.

— დაჩიპულები?

— ვაჰჰ, რა ვერ გაიგეთ? მონები ხომ დაიტოვეს? ჰოდა, ეგ მონები დაჩიპეს, რა. ადვილად რომ ემართათ.

— გასაგებია. ესე იგი, ნაწილი აცრით დახოცეს და ნაწილი დაჩიპეს, რათა მერე ეს უკანასკნელნი ემართათ.

— არა. აცრა და დაჩიპვა ერთი და იგივეა. რამე რთულს ვამბობ? აცრეს ყველა. ამ აცრით ყველას ორგანიზმში შეუყვანეს მიკროჩიპი. მერე ჩართეს ეს 5G ანტენა და მაგის სიხშირის მეშვეობით დაჩიპულებიდან ვინც სჭირდებოდათ, დაიმონეს და ვინც არაფერს არგებდათ, დახოცეს. თან პარალელურად პლანეტაზე მოსახლეობაც შეამცირეს და რესურსიც გამოათავისუფლეს. ახლა ყველაფერი გასაგებია?

— რა თქმა უნდა... და თვითონაც რომ აიცრნენ, იქ ჩიპი არ იყო?

— მე რა ვიცი, ალბათ არა. შეიძლება, არც აცრილან და წყალი გაიკეთეს სხვის დასანახად. მაგათ ხომ ამ ვირუსის საწინააღმდეგო წამალი თავიდანვე ჰქონდათ გამოგონილი?! უბრალოდ ხალხს ატყუებდნენ, არ არსებობსო... და ან მაგათ ვაქცინაში არ იყო ჩიპები. აბა, ვინ გეტყვის ახლა სიმართლეს?!

— და მოსახლეობა რატომღა შეამცირეს?

— რას ჰქვია რატომ? რატომ და იმიტომ, რომ... აბა, ძალიან გამრავლდა კაცობრიობა და მალე ბუნებრივი რესურსიც აღარ ეყოფოდა. ადგნენ და ჯერ ვირუსებისა თუ უხარისხო აცრების მეშვეობით პლანეტის მოსახლეობა ნელ-ნელა შეამცირეს, მერე კი ჩართეს ეს 5G ანტენა და დარჩენილნი ერთიანად გაწყვიტეს. ვინც გადარჩა კიდევ, ეგენი დაიმონეს...

— მაშინ, გამოდის, მოსახლეობის შემცირებით პლანეტაც უხსნიათ განადგურებისგან, არა?

— არა. ნუ, ალბათ, ნაწილობრივ პლანეტას მართლაც უშველეს, თუმცა ეგ მასონები ისეთი ხალხია, რომ ეს პლანეტაც სულ ფეხებზე ჰკიდიათ და მთელი კაცობრიობაც. დარწმუნებული ვარ, ბოლომდე რომ ამოწურავენ დედამიწის რესურსს, მერე სადმე სხვაგან გადასახლდებიან?

— სად გადასახლდებიან? უდაბნოში?

— არა, რა უდაბნოში. ალბათ მარსზე წავლენ. ეგენი ადრეც ხომ გეგმავდნენ მარსის კოლონიზაციას?! ჰოდა, ეტყობა, მაშინ ჯერ კიდევ არ იყვნენ მზად, ვერ ასწრებდნენ და ამ ხალხის გაწყვეტითა და რესურსის გამოთავისუფლებით უბრალოდ დრო მოიგეს. ანუ გარდაცვლილი ადამიანები ბუნებრივ რესურსებს ვეღარ მოიხმარენ და ამათაც მეტი რჩებათ. ახლა ყველაფერი გასაგებია?

— რა თქმა უნდა.

— ჰოდა, ამასობაში, ალბათ უკვე მარსზე ბაზებიც გამართეს და ჯერ თუ არ გაფრენილან ეს ეშმაკისეული მასონები, აწი აუცილებლად გადასახლდებიან იქით.

ჩაბნელებულ სავარძელში მჯდომი ისევ დგება და სადღაც გადის. კვლავ მალევე ბრუნდება, მაგიდაზე კონტეინერში მოთავსებულ საკვებს დებს და აქლემისტყავიანისკენ აცურებს. გაბურძგნული კაციც ნაჩქარევად ხსნის კონტეინერს და შიგთავს მთლიანად იტენის პირში. სწრაფად ღეჭავს და ხარბად ყლაპავს. უტყდება ხველა და პირიდან სცვივა საკვების ნარჩენები. მალევე მშვიდდება, დაბნეულ ნარჩენებსაც პირში იტენის და მათაც სწრაფად ყლაპავს.

— ბოდიში და ეს მასონები ვინ არიან?

— მგონი, ტყუილად ვსაუბრობ. რა ვინ არიან? მასონები არიან ვინც ეს ვირუსი გამოიგონა, იძულებითი ვაქცინაციის გეგმაც შეიმუშავა და ჩვენი ცხოვრებაც თავდაყირა დააყენა. მაგრამ ღმერთი მაღალია და მე მჯერა, არ შეარჩენს ამ ვერაგობას, ამდენი ადამიანის გაწყვეტას და აუცილებლად საზღაურს მიაგებს.

— პირადად თქვენ რატომ არ აიცერით? რისი შეგეშინდათ? დაჩიპვის? სიკვდილის თუ...

— რა თქმა უნდა, დაჩიპვის, თორემ ისე ეგ ვირუსი ორჯერ მქონდა მოხდილი და იმუნური სისტემაც მშვენივრად მიმუშავებდა.

— კარგით, მოდი, მაშინ ახლა ის მომიყევით, თქვენ როგორ ცხოვრობდით უდაბნოში ამდენი წლის განმავლობაში.

— როგორ და მშვენივრად... დავდიოდით წრეზე, გამოგვყავდა ახალი თაობა და ველოდით 40 წლის გასვლას.

— წრეზე დადიოდით?

— ჰო, უდაბნოში წრეზე დავდიოდით.

— ზუსტად 40 წელი დადიოდით?

— მაშ, აბა, როგორ?!

— და რატომ? ერთ ადგილზე ვერ გაჩერდებოდით?

— ვერა. ყველაფერი ზუსტად ისე უნდა ყოფილიყო, როგორც ბიბლიაშია. როგორც მოსეს დროს იყო, როდესაც დაიხსნა თავისი ერი ეგვიპტელთა მონობისაგან.

ჩაბნელებულ სავარძელში მჯდომი დგება და ისევ სადღაც უჩინარდება. კვლავ მალევე ბრუნდება, მაგიდაზე ხმაურით გრძელ ლითონის სავარცხელს დებს და აქლემისტყავიანისკენ აცურებს. გაბურძგნული კაცი სავარცხელს იღებს, გაოცებული აკვირდება და თმა-წვერის ვარცხნას იწყებს.

— რა საინტერესოა. ანუ თქვენ ასე მომთაბარეებივით მუდამ გზაში იყავით? თანაც 40 წელი? და რით იკვებებოდით? ან სასმელ წყალს სად შოულობდით? მედიკამენტებს? და საერთოდ როგორ, რანაირად არსებობდით? გასაოცარი, დაუჯერებელი ამბავია.

— არაფერია ამაში დაუჯერებელი. ამისთვის ძალიან დიდხანს ვემზადებოდით. გვქონდა შექმნილი ფონდი, სადაც ჩვენი ერთობის წევრები ყოველთვიურად ვრიცხავდით თანხებს. ეს თანხები უნდა მოხმარებოდა საერთო საზრუნავს. ამავდროულად, ყველა ზრუნავდა საკუთარ საჭიროებებზეც. ბოლოსკენ, როცა უკვე ცხადი გახდა, რომ იძულებითი ვაქცინაცია გარდაუვალი იყო, გავყიდეთ, რაც კი გვებადა და ვიყიდეთ პირუტყვი, ფრინველი და ხარები ტვირთის საზიდრად. ხოლო ფონდში შეგროვილი თანხებით კი შეძენილ იქნა მშრალი საკვების მარაგი, საველე აღჭურვილობა, კარვები, წყლის შესაგროვებელი მობილური ავზები და სხვა მრავალი, რაც უდაბნოში ცხოვრებისას დაგვჭირდებოდა.

— ხარები? თქვენ რა ურმებით მოგზაურობდით?

— დიახ. ხომ გითხარით, რომ ყველაფერი უნდა ყოფილიყო იმის იდენტური, როგორც ეს მოსეს მოგზაურობისას იყო. გვყავდა ხარებიც, ცხენებიც, ვირებიც და ერთი აქლემიც. მეტი აქლემი ვერ ვიშოვეთ, არ გამოვიდა და ამიტომაც აქცენტი ხარებზე გაკეთდა. კარგი ცხოველია, გამძლე და მშრომელი. თან ჩვენი უდაბნოც ბევრად უფრო ლმობიერია. მთლად საჰარა არაა და ამიტომაც საქონელს დიდად არ გასჭირვებია.

აქლემისტყავიანი ფეხზე დგება და თავის შესამოსელს იხდის. მოსაუბრეს ყველა მხრიდან აჩვენებს, ისევ იცვამს და კმაყოფილი სახით ჯდება. იღებს სავარცხელს და ახლა აქლემის ტყავის ვარცხნას იწყებს.

— ეს, რა, ის აქლემია?

— აბა?! ახლაც კი მემსახურება ჩვენი ნოე.

— ვაააა... და წყალი? წყალს სად შოულობდით?

— მინაში. ანუ იქ სადაც წყალი ყველაზე მეტია. ჩვენი გეოლოგები წყალს კი არა და მიწისქვეშა მდინარეებსაც პოულობდნენ. შემდეგ საქმეში მბურღავები ერთვებოდნენ და არტეზიულ ჭებს აშენებდნენ. ვავსებდით ავზებს და წყალიც ყოველთვის საკმარისზე მეტი გვქონდა.

— თქვენ რა გეოლოგებიც გყავდათ, მბურღავებიც და ჭის მოსაწყობი დანადგარები თუ ტექნიკაც გაგაჩნდათ? ალბათ ხუმრობთ ხომ?

— არა, რატომ უნდა ვხუმრობდე. უწყლოდ ხომ ვერ გავძლებდით?! ჩვენი უდაბნო კი არის მეტად ლმობიერი, თუმცა იქ ვერსად შეხვდებით ოაზისებს. ხომ გითხარით, ჩვენ ამ ამბებისთვის ძალიან დიდხანს ვემზადებოდით. დიახ, რა თქმა უნდა, გვყავდა გამოცდილი პერსონალი და გვქონდა საჭირო ტექნიკა თუ მოწყობილობა. მოკლედ, ყველაფერი გაგვაჩნდა, რათა უდაბნოში თავი გაგვეტანა.

— ხარები, გეოლოგები, საბურღი დანადგარები... ოოო, ეს უკვე ფანტასტიკის სფეროდანაა. არა, არ მჯერა... ამას ნამდვილად ვერ დავიჯერებ. მაშინ თუ ასეა, რა გამოდის, რომ ნავთობსაც თავად მოიპოვებდით და მერე გადამუშავების გზით საწვავსაც იღებდით? თქვენ რა ნავთობგადამამუშავებელი ტერმინალები გქონდათ ურმებზე მოწყობილი?

— არა, საწვავს ვყიდულობდით.

— ნუთუ გარე სამყაროსთანაც გქონდათ კავშირი?

— ჩვენ არა, მხოლოდ მოსეს.

— აქლემს?

— არა, აქლემს ნოე ერქვა.

— აბა, იმ ბიბლიურ მოსეს?

— რა თქმა უნდა, არა. ჩვენ წინამძღოლსაც მოსე ჰქვია. ნუ ასე ვეძახით, რა. ისე მისი ნამდვილი სახელი აბესალომია. თუმცა ჩვენ მოფერებით და სიყვარულით მოსე შევარქვით. სწორედ მოსე იყო ის ადამიანი, ვინც ამ ყველაფერს თავიდანვე ხელმძღვანელობდა და ჩვენს, პირველი შეხედვით უტოპიურ სურვილებსა თუ იდეებს, ხორცს ასხამდა.

— და თუ საწვავი გქონდათ და კიდეც მოიხმარდით, მაშინ ეს ურმები რად გინდოდათ? უდაბნოში ავტომობილებით რატომ არ გადაადგილდებოდით?

— უდაბნოში ავტომობილებით? მგონი, ახლა თქვენ მართლა ხუმრობთ. ჩვენ მხატვრულ ფილმში კი არ ვცხოვრობდით, ეს რეალური ყოფა იყო. სცადეთ, აბა, უდაბნოში მანქანით გადაადგილება და მერე მიხვდებით, რაშიც გვჭირდებოდა ურმები.

დასასრული მე-16 გვერდზე

გიორგი გოგუა

იგალი

— **რა ხდება** ჩემს თავს, ღმერთო, რა ჯანდაბა ხდება ჩემს თავს! — რაღაცნაირი ჩუმი, მოგუდული ხმით შეჰყვირა ჰარიმ და ღამის კოშმარიდან გამოფხიზლებულმა დაჭყეტილი თვალები საწოლის გვერდით ტუმბოზე მდგარ მაღვიძარას მიანათა. შემდეგ თვალი ბნელით სავსე ოთახს მოავლო და ყურადღება კვლავ ამ ერთადერთ მანათობელ საგანზე გადმოიტანა, რომელიც მისი საძინებლის უკუნეთში მკვეთრ, წერტილოვნად შესამჩნევ, ფოსფორისფერ შუქს გამოსცემდა.

* * *

მერამდენე ღამე იყო მოხუცი ჰარის მოსვენებადაკარგული ძილისა — თავადაც ვერ მოთვლიდა, მაგრამ აპრილის თვეში ასეთი ღამეების მოხშირება დამატებით ნერვულ კონვულსიებს იწვევდა აწ უკვე ხანდაზმული, სვეგამწარებული კაცის ყოფაში. ჰარი დღის შუქზე რომ გეხილათ, შეამჩნევდით მის გაცრეცილ, თუმცა ჯერ კიდევ მკაცრ, სიდარბაისლით აღსავსე სახეს. მისი ცქერისას შენიშნავდით უპეებში ღრმად ჩამჯდარ ცისფერ თვალებს, საიდანაც ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება გამოსჭვიოდა. მისი მაღალი და მოელვარე შუბლი ჯერაც ძველი სიმტკიცის გარეგნულ ნიშანსვეტს წარმოადგენდა. ჰარი იმ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნებოდა, სიკერპითა და სიჯიუტით რომ აღწევენ დასახულ მიზნებს და არაფრის დიდებით არ იხრიან ქედს თვით ყველაზე ულმობელი და უსამართლო ხვედრის წინაშე. ამ ყაიდის კაცები მკაცრი დისციპლინით და პრინციპებით მოქმედებენ, ისინი მახვილი გონებით, მტკიცე და შემტევი ხასიათითაც გამოირჩევიან. ასეთ ხალხზე რაიმე განსაკუთრებული შთაბეჭდილების მოხდენაც საკმაოდ ძნელია, ძნელია, რადგან ისინი ყველაფერზე წინასწარ ფიქრობენ, ათასი რამ უნახავთ და გამოუვლიათ ცხოვრებაში. საკუთარი თავისგანაც ბევრს ითხოვენ და ხანგრძლივი წრთობის შემდეგ თითქმის არაფერი რჩება ისეთი, რაც მათ შიშს ან კრთომას გამოიწვევს. ხასიათთა ამგვარი კომბინაციის გამო ასეთ ადამიანებს ხშირად მოიხსენიებენ გულცივი და ეგოისტი კაცის სახელით, თუმცა, როგორი მკაცრიც უნდა იყოს მავანთა შეფასება, ნათელია, რომ ასეთი ხასიათის შექმნაში მხოლოდ მისი მატარებელი ადამიანები არ იღებენ მონაწილეობას. ბევრ სხვა თვალსაჩინო მიზეზთან ერთად, აღზრდა, გარემო, გენეტიკური და სოციალური მემკვიდრეობაც მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმოადგენენ. ჰარიმაც ასეთივე კაცის სახელი რომ დაიმკვიდრა, ეს სწორედ იმიტომ მოხდა, რომ მის ცხოვრებაზეც იქონია თავისებური გავლენა მთელმა რიგმა კულტურულმა თუ სოციალურმა კლიშეებმა. ამის ფონზე ჰარის ცხოვრებაში მართლაც ბევრ ისეთ უსიამოვნო შემთხვევას მოეყარა თავი, როცა მშვიდი და უშფოთველი ძილი — თუკი კაცში სინდისი ისევ ცოცხალია — სანატრელი ხდება ხოლმე.

ჰარის, სხვა ყველაფერთან ერთად, გარეგნობაც მემკვიდრეობით ერგო. მისი საგვარეულო, ისტორიულად წარმოსადეგი მამაკაცებითა და ვენერასეული სინატიფისა და მომნუსხველობის მქონე ქალბატონებით — იმთავითვე იყო ცნობილი. უილსონთა ამ შტოს გენეალოგიაში არათუ შეუხედავს, არამედ მცირედით შეუხედავსაც კი ვერ ნახავდით ვერც ერთ დროში. შესაბამისად, არც ისინი სწყალობდნენ მათ, ვინც ამ კუთხით დიდი ვერაფერი შვილი ბრძანდებოდა. წარმომავლობასთან და სიმდიდრესთან ერთად, გარეგნული სილამაზე უილსონებთან დანათესავების ერთერთ ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენდა.

მათ საგვარეულოს აღორძინების ხანა პირველად XVII საუკუნეში დაუდგა. მაშინ ნორფოლკის მხარეში მდინარე ბიუარის ნაპირთან უილიამს, ჰარის შორეულ წინაპარს, მეფე ჯეიმს I-ის განკარგულებით სასახლე და ერლის ტიტული ებოძა. როგორც მათი საგვარეულოს ქრონიკები გვაუწყებს, უილიამს ის სისხლისმღვრელი ომები დაუფასდა, რაც მეფე ჯეიმსმა შოტლანდიელთა წინააღმდეგობის გასატეხად აწარმოა. ეს დღე იყო და უილსონთა მთელი შემდგომი თაობები მუდამ თავაწეულნი დაიარებოდნენ და საკუთარი ღირსების მყარი შეგრძნებით თაობიდან თაობას გადასცემდნენ მათი გამორჩეულობის იდეას. მათთვის, ისევე როგორც ყველა სხვა კეთილშობილი გვარისათვის მთელს მსოფლიოში, მუდმივად ორი მთავარი ამოცანა იდგა დღის წესრიგში: პირველი — ეს იყო გავლენების შენარჩუნება; გავლენებისა როგორც სამეფო კარზე, ისე ფართო საზოგადოებრივ სარბიელზე, კულტურულ და ინტელექტუალურ წრეებსა თუ კომერსანტულ საქმიანობაში. მეორე ამოცანას საგვარეულო ტრადიციებისა და მემკვიდრეობითობის ხაზის უწყვეტობაზე ზრუნვა წარმოადგენდა. უილსონთა ეს მოდგმა მათი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ამ ამოცანების შესრულებას გარკვეული წარმატებითაც ართმევდა თავს.

თავად ჰარი 1880 წელს დაიბადა დიდ და კოხტა საგვარეულო სახლში. როგორც ყველა კეთილშობილი ინგლისელი, ისიც მისი მშობლების სურვილითა და ხელშეწყობით სამხედრო კარიერის გზას დაადგა. შემდეგ იყო სამეფო პოლკი და ახალგაზრდა კაპრალის თავგამოდებული ბრძოლა ბურების წინააღმდეგ, რომელსაც ისტორია ბურების მეორე ომის სახელით იცნობს. აქ გამოჩენილი მამაცობისთვის ჰარიმ სამეფო კარისგან სამხედრო ჯვრის ორდენიც დაიმსახურა. ომის დასრულების შემდეგ, როცა ჰარი შინ დაბრუნდა, ცოლად მერი უონსტოუნი შეირთო, პარალელურად კი კარიერას გაერთიანებული სამეფოს სამხედრო შტაბში აგრძელებდა.

უკვე პირველი მსოფლიო ომის დროს გამოცდილ პოლკოვნიკ ჰარი უილსონს თავისი წვლილი შეჰქონდა ფრანგ მოკავშირეებთან ერთად გერმანიის დამარცხების საქმეში. თუმცა სომას სამხედრო ოპერაციაში, ბრიტანულ-ფრანგული გაერთიანებული ინფანტერიის მისია სავალალო შედეგებით დასრულდა. თავად ჰარი ამ ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა და სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. შინ დაბრუნებული გულს ვისკის სმასა და ცხენების მოვლას აყოლებდა, საკუთარი მეუღლისა და შვილების მიმართ კი გარკვეულ უგრძნობლობას იჩენდა. ომისგან გაუხეშებული კაცის გუნებას ოჯახის წევრები მათდამი მოპყრობაში გრძნობდნენ — ყოველთვის ყველაფერი ისე უნდა ყოფილიყო, როგორც ოჯახის უფროსი ბრძანებდა. ჰარი აქაც ისე იქცეოდა, თითქოს ისევ ფრონტის ხაზზე ყოფილიყო გერმანელებთან საომრად — მეთაურის სტრატეგიისა და მანევრირების წესის უპირობო დაცვით. არანაირი კომპრომისი ოჯახის წევრთა ზოგჯერ სულ უბრალო, გულუბრყვილო და არაფრისთვის ზიანისმომტანი სურვილების მიმართ; იქნებოდა ეს მერის ოჯახის ნვრილმან სამეურნეო საქმესთან დაკავშირებული რჩევის გათვალისწინება, თუ შვილების მიერ კვებისა და სამოსის, ჰობისა თუ განათლების თავისუფალი არჩევანი, ჰარი ყველგან და ყველაფერში ცხვირს ყოფდა და მუდამ იმოძღვრებოდა. ასეთი დაძაბული ვითარება, რასაკვირველია, აღვივებდა „ჩაგრულთა“ წინააღმდეგობის სურვილს და ქმნიდა კიდეც ოჯახში მოსალოდნელი ამბოხისა და განხეთქილების საფუძველს — „ძალაუფლების ცენტრსა“ და „პერიფერიებს“ შორის. ძალაუფლების ამ ერთპოლუსიან ცენტრს, ცხადია, ჰარი წარმოადგენდა, ხოლო პერიფერიებს მის მეუღლე და ქალ-ვაჟი თავიანთი ავტონომიურ-ინდივიდუალური სურვილებითა და მისწრაფებებით. ალბათ ამიტომ ჰარის ხასიათის სირთულემ და მბრძანებლურმა ბუნებამ დროთა განმავლობაში ის შედეგი გამოიღო, რომ მის მიერვე გააქტიურებულ ნელი მოქმედების ნაღმს ერთ დღეს აფეთქების დროც დაუდგა. პირველად სრული სიმძაფრით ეს „ურჩი ვაჟის“ — პიტერის — მიერ პროფესიის დამოუკიდებლად არჩევის სურვილში გამოიხატა. პიტერს მამისაგან განსხვავებით სრულებით არ იზიდავდა სამხედრო საქმე, რომელიც ჰარისთვის წმინდა და ვაჟკაცურ ხელობას წარმოადგენდა. პიტერს იარაღი საომარ ვითარებაში კი არა, უბრალოდ, დასანახადაც სძულდა. შვილის ღრმად პაციფისტური ბუნება, როგორც ჩანს, მამის ზედმეტად მილიტარისტული მსოფლმხედველობის საპირისპირო გამოვლინება გახლდათ. პიტერის შინაგანი რაობა მის მთავარ გატაცებაში — მუსიკაში — გამომჟღავნდა. მისი საბოლოო მიზანი პიანისტად ქცევა იყო. აქ კი საშინლად ცხრებოდა ჰარი, რადგან ვაჟის არჩევანის მიღმა დედის გავლენას ხედავდა. საქმე ის იყო, რომ მერიმ პატარა პიტერში ადრიდანვე შენიშნა მუსიკალური ნიჭი და რაკი თავადაც შესანიშნავად უკრავდა ფორტეპიანოზე, ვაჟსაც ეს საქმე შეაყვარა. დედასთან უფრო მეტი საერთო ენისა და მისწრაფების გაჩენამ ჰარისგან საერთო „მწვალებლის“ ხატის შექმნას და მის წინააღმდეგ სხვა წინააღმდეგობრივი განწყობების ჩამოყალიბებასაც დიდად შეუწყო ხელი. ბოლოს ეს საქმე იქამდე მივიდა, რომ ამ ყმაწვილმა, როცა გაიზარდა, მშობლიური სახლი დატოვა და ლონდონში გადაბარგდა საცხოვრებლად, იქ კი სახელმწიფო კონსერვატორიაში განიზრახა სწავლის გაგრძელება. ლონდონში ერთ მის მეგობარს, თანაც მდიდარი კომერსანტის შვილს, ფილ სტრიტზე პრესტიჟული რესტორანი ჰქონდა გახსნილი. პიტერი დღისით საშემსრულებლო ოსტატობას ხვეწდა კონსერვატორიაში, საღამოობით კი ნასწავლსა და გაუმჯობესებულს მეგობრის რესტორანში სავახშმოდ შეკრებილი მაღალი საზოგადოების წინაშე წარადგენდა ხოლმე დიდი მონდომებით. სხვათა შორის, მართლაც ნიჭიერი შემსრულებელი აღმოჩნდა, ყველაზე უკეთ შუბერტისა და მოცარტის კომპოზიციათა შესრულება ეხერხებოდა, მისი თანამედროვეებიდან — კი მორის რაველის.

როცა პიტერმა ოჯახი დატოვა და ლონდონში გადაბარგდა, დარჩენილ უილსონთა შორის ერთგვარმა გაუცხოებამ იჩინა თავი. სახლში პიტერზე სიტყვის თქმაც კი იკრძალებოდა, მერის და მარგარეტს, რა თქმა უნდა, ჰქონდათ მიმოწერა „ლონდონელ პიანისტთან“ — დიახ, ერთხელ სწორედ ასე მოიხსენია ჰარიმ საკუთარი ვაჟი — მისი წასვლიდან ორი თვის თავზე. ისიც კი თქვა — „იმ ლონდონელ პიანისტს, ერთ შილინგსაც არ ვაღირსებო“. ჰარიმ მშვენივრად იცოდა, მერი პიტერს ჩუმ-ჩუმად ფულს და სენტიმენტებით აღსავსე წერილებს რომ უგზავნიდა, მაგრამ მაინც არაფერს იმჩნევდა. ალბათ იმიტომ, რომ მთლად ისეთი გულქვაც არ იყო, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა, თანაც სახელოვანი გვარის შვილს, ის უფრო აღელვებდა, მის მემკვიდრეს ღირსეულ პირობებში ეცხოვრა. ჰარის განსაკუთრებული, უჩინარი და თავისებური სიყვარულის მეორე ობიექტი — მარგარეტი, ამ ამბავშიც მამის ბრალეულობას ხედავდა. მისთვის პიტი სათაყვანებელი უფროსი ძმა იყო, რომელიც საკუთარ პატარა დაიკოზე ყოველთვის ზრუნავდა. მერიზე ხომ ზედმეტია საუბარი, დედის ინსტინქტი უფრო ძლიერად და მძაფრად განიცდიდა ვაჟის წასვლას. ჰარი ამასაც კარგად ხედავდა, თუმცა უილსონთა მკაცრი საოჯახო ადათის ერთგულ დამცველს, ძველ წეს-ჩვეულებათა აღსრულებაზე მკაცრი კონტროლის დაწესებით რომ იყო შებოჭილ-შეპყრობილი, მეუღლის ნაღვლიანობისა და სენტიმენტალურობის წინაშე შეუვალი სიამაყით ეჭირა თავი.

პიტერის შემდეგ ახალი განხეთქილების საგანიც მალევე გაჩნდა ოჯახში. ამჯერად საქმე მარგარეტს ეხებოდა. სახლში გამეფებული მძიმე აურა, მამის მკაცრი და დამრიგებლური იერი დედის მუდამჟამს მოღუშული და სევდიანი სახის საპირისპიროდ უხეშ კონტრასტს ქმნიდა ფაქიზი ფსიქიკის მქონე თინეიჯერი გოგონას წარმოდგენაში — მას კი ჯერ თავისი სიცოცხლითა და სისხლსავსე ახალგაზრდობით უნდა ეხარა. მარგარეტს ასეთი ფიქრების მოძალების დროს საკუთარი თავი ყველაზე სუსტ და დაუცველ პერსონაჟად ეჩვენებოდა. ოჯახის დანარჩენ სამ წევრს შორის ცდილობდა, ერთგვარი შემრიგებლის როლი ეკისრა და რაკი მისი ძალისხმევის შედეგიც ამაო ჩანდა, ამით სწორედ ის ითრგუნებოდა ყველაზე მეტად. ოჯახის წევრთა შორის მეტ-ნაკლებად ჰარმონიული ურთიერთობების დამყარებას მარგარეტი იმისთვის არ ცდილობდა, რომ უილსონთა დრამის სხვა პერსონაჟებს ის ეღიარებინათ და დაეფასებინათ ყველაზე მეტად. არა,

ასე ნამდვილად არ იყო საქმე. გოგონას უბრალოდ ჰარმონია და სიმშვიდე სჭირდებოდა თუნდაც იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ ასეთ დროს თავისი საყვარელი ავტორები ეკითხა ან შინ მეგობრები მოეწვია და მათთან ერთად ემხიარულა.

როცა მარგარეტი, ისევ და ისევ მამის გავლენით, ოქსფორდის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩასარიცხად ემზადებოდა, ერთ-ერთ კაფეში ახალგაზრდა მხატვარი — როი კონორი — გაიცნო. წყვილი ორი წლის განმავლობაში ხვდებოდა ერთმანეთს. როგორც ჩანს, გოგონა მოხიბლა მასზე სამი წლით უფროსმა უკვე ჯეელობაში შესულმა ოცდაერთი წლის როიმ, რომელსაც მეგობარი მხატვრები ხუმრობით რაფაელს ეძახდნენ. ყმაწვილს დიდი იტალიელის სამხატვრო ნიჭისა საერთოდ არაფერი ეცხო და არც ბიბლიური სიუჟეტებით ფერწერისა გაეგებოდა რამე. როი თვითნასწავლ მხატვართა კატეგორიას განეკუთვნებოდა და ამ ღვთაებრივ ნიჭსაც ბუნებრივად ფლობდა. რომ არა სამხატვრო აკადემიაში სწავლისას გამოვლენილი უდისციპლინობა და ზედმეტი თვითშემოქმედებითობის დაუოკებელი სურვილი, შესაძლოა, სამხატვრო აკადემიაში სწავლა ბოლომდე დაესრულებინა და დიდ ბედსაც სწეოდა, მაგრამ დიდი კოლეგების მსგავსად, თუ მათი წაბაძვით, რომელთაც ხატვა არასოდეს უსწავლიათ, მასაც არასოდეს დაუსახავს მიზნად დიპლომირებული მხატვარი გამხდარიყო. როის პირმშვენიერ ქმნილებათა პორტრეტების ხატვა ეხერხებოდა ყველაზე უკეთ. ერთხელ მარგარეტის პორტრეტიც დახატა და დაბადების დღის საჩუქრად მიართვა. საბოლოოდ, ხელოვნებისა და სიყვარულის მაგიური ზემოქმედებით მოხიბლული მარგარეტი მოკრძალებული ქონებისა და გვარიშვილობის, თუმცა ძალზედ სიმპათიური, ნიჭიერი და დადებითი ხასიათის მქონე ყმაწვილით იმდენად მოინუსხა, ცოლადაც გაჰყვა.

ჰარიმ „ლონდონელი პიანისტის“ შემდეგ მორიგი მეამბოხე ახალი საქილიკო სახელით მონათლა და ამიერიდან „სანტის მადონად“ მოიხსენიებდა. პიტერისაგან განსხვავებით, მარგარეტის მეტსახელს რეალურად უფრო მეტი მიმზიდველობა გააჩნდა, თანაც ჰარი ამ მეტსახელს ისეთივე სინაზითა და მოკრძალებით ტვირთავდა საკუთარ აზრებში, როგორც გენიალური რაფაელი თავის შედევრს — „მადონა კონესტაბლიეშს“ — ტილოზე. საბოლოოდ კი ქალიშვილის ასეთმა, ჰარის სიტყვებით, „უცაბედმა და გაუგებარმა“ დაოჯახებამ ერთგვარი ეგოისტური ეჭვიანობა და სიფიცხის მორიგი ტალღები წარმოშვა თავისებური, მამობრივი სიყვარულის მქონე ჰარის ისედაც ბობოქარ ხასიათში.

„ორმაგი ღალატის შემდეგ“ — ოჯახის უფროსი ასე ნათლავდა მისი ქალ-ვაჟის საქციელს — უკვე ისიც აკრთობდა, რომ მერიც უარს იტყოდა მასთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრებაზე. თუმცა რაღა დროს ეგეთები იყო, მითუმეტეს იმ ქალბატონისგან, რომელიც, მართალია, მეუღლეს გარკვეულ წინააღმდეგობას ყოველთვის უწევდა, თუმცა ეს ყველაფერი იმდენად ფრაგმენტულ და უსუსურ მცდელობებში გამოიხატებოდა, აქედან ჰარის საფრთხე ნამდვილად არ უნდა დამუქრებოდა. იგი ქმართან ერთად აგრძელებდა მუდამ შვილების ბედ-იღბალზე მოფიქრალი, დამწუხრებული დედის ცხოვრებას. რასაკვირველია, მერიც აჭარბებდა თავის ტრაგიკულ გრძნობებში, ისევე როგორც ჰარი საკუთარ უფლებამოსილებაში, თუმცა ცოლ-ქმარს შორის არსებული დამოკიდებულებები ორივე მხრიდან მეტ-ნაკლებად მაინც საპირწონე იყო და დაბალანსებული მიზეზ-შედეგობრიობით წარმოჩინდებოდა ხოლმე. ფორმალური პატივისცემისა და ანგარიშვალდებულებიანი ურთიერთობის გარდა მეუღლეებს შორის ურთიერთობაში რაიმე ამაღლებული გრძნობის ნატამალიც კი არ მჟღავნდებოდა. ის მცირედი სილბო, რასაც მათ შორის თვიდანვე უნდა ეარსება, უკვე კირქვად ქცეულიყო. დღეებიც ასე გადიოდა — როცა ჰარი კაბინეტში იჯდა და საქმიან ქაღალდებს, მიმოწერებსა და პრესას ეცნობოდა, ამ დროს მერი ორ მოახლესთან ერთად ბაღში ფუსფუსებდა და იქაურობის გამშვენებით იყო დაკავებული. ბატონი უილსონი მეუღლეს მალულად ადევნებდა თვალს. საპირისპირო შემთხვევაში, როცა ქმარი საქმიან შეხვედრაზე ან უბრალოდ რომელიმე მის ძველ მეგობართან მიემგზავრებოდა, ნაღვლიანი ცოლი ვერანდაზე სარწეველა სკამში იჯდა და გამუდმებით რაღაცას ქსოვდა. ორივენი, ძირითადად, მხოლოდ ვახშამზე ხვდებოდნენ ერთმანეთს, აქაც ორ სიტყვას და ამ ორ სიტყვაში გასული დღის შთაბეჭდილებას ზერელედ გაცვლიდნენ ხოლმე — ეს იყო და ეს.

მერიმ, ჰარის ხელში ათას დავიდარაბას გამოვლილმა, ერთ დროს ყვავილივით მშვენიერმა ქალმა, მალე იწყო ჭკნობა, თანაც, უკვე ასაკიც თავისას შვრებოდა. როცა სამოცდახუთს გადასცდა, გულის ტკივილი და მაღალი წნევები დასჩემდა. მეუღლის ჯანმრთელობის გამწვავებამ ჰარიში, როგორც ჩანს, სწორედ ის თვალი გაახილა, თავისი სიკერპითა და სიჯიუტით ღრმა ძილისათვის რომ ჰქონდა მინებებული. აქამდე გაბუტული ბავშვივით იქცეოდა მერისთან, იმ ბავშვივით, რომელსაც აწყენინეს, მაგრამ ერთი თბილი მოპყრობის ან მისი რომელიმე უწყინარი სურვილის ასრულების სანაცვლოდ მზადაა, ყველას შეურიგდეს.



არსებობენ ორი ტიპი ადამიანები, ერთნი რწმენის კაცები არიან, მეორენი კი — საქმისა. პირველნი დიდ ცხოვრებისეულ მიზნებს არ სახავენ, რადგან არ სჭირდებათ და არ იღვწიან ამქვეყნიური პატივისა და დიდებისაკენ. ასეთი ხალხი ზოგჯერ საკუთარი ღირსების მიჯნასაც ივიწყებს და არც კი ცდილობს, თავი დაიცვას შეურაცხმყოფელთაგან. ამ პასიურობის გამო ხშირად იჩაგრებიან, მეორეს მხრივ კი ეს ადამიანები თავიანთი რწმენის საზღვრებს მტკიცედ დარაჯობენ. მათთვის რწმენა და ამ რწმენის კარნახით ცხოვრება ყველა მიწიერ საუნჯეზე ძვირფასია. ამათგან განსხვავებით, საქმის, მოქმედების კაცები სულ სხვა კატეგორიას განეკუთვნებიან. ვინც არ იცნობს მათ, არ იცნობს კაცობრიობის ისტორიას — ყველა დიდი მხედართმთავარი, იმპერატორი თუ მონარქი პირადი ძალაუფლების გაზრდის, ახალი დაპყრობითი ომებისა და გამარჯვებების იდეით იყო მთვრალი. ცხოვრებისადმი ასეთი დამპყრობლური ხედვა, ცხადია, რწმენასა და იმქვეყნიური წყალობის მოლოდინს ადგილს არ უტოვებს. შესაბამისად, საქმის კაცებში ბევრს შეხვდებით ისეთს, ცხრა რჯულს თვალის დახამხამებაში რომ გამოიცვლიან და მეათეზე დაიწყებენ ფიქრს, ოღონდ კი რაიმე სარფიანს და სასარგებლოს გამოჰკრან ხელი ამასობაში. მაგრამ „საქმოსანთა“ ცხოვრებაში ერთხელაც დგება ისეთი დღე, როდესაც საკუთარ სულში ღრმად ჩახედვით „საინტერესო რაღაცების“ აღმოჩენა უხდებათ. ისეთის, რაზედაც აქამდე არასოდეს ეფიქრათ ან განეცადათ. როგორც ჩანს, ასეთი მომენტები თავისებურად მათაც უდგებათ.

საკუთარ სულში ჰარიმაც გვიან ჩაიხედა, გვიან გაახილა თვალი. მანამდე საქმის კაცი იყო და რწმენაც მხოლოდ საკუთარი თავისა გააჩნდა. ეგონა, წესრიგს ამყარებდა და საგვარეულო კოდექსის დაცვის მოტივით მოქმედებდა. ეგონა, ოჯახის რეპუტაციასა და მის ფინანსურ კეთილდღეობაზე ზრუნავდა, ამ დროს კი თურმე მთავარი რამ ავიწყდებოდა — თავად ოჯახი, რომლისთვისაც ასე იღვწოდა, უშინაარსო ფორმალობად და ბუტაფორიად იყო ქცეული. რაიმეს გამოსწორება ამ მიმართულებით უკვე დაგვიანებული ჩანდა. შვილებმა ოჯახი კარგა ხნის წინ დატოვეს. ახლა კი მერი, მისი თანამეცხედრე, ფიზიკურად ეცლებოდა ხელიდან. მარგარეტის გათხოვებიდან რამდენიმე წელს გაევლო, როცა მერი უილსონი მისი გემოვნებით გაშენებულ ბაღში ვერანდიდან ატმის აყვავილებულ კვირტებს გასცქეროდა და თან პატარა ჯორჯისთვის — პიტერის შვილისთვის — წინდების ქსოვით იყო გართული. სწორედ ამ პეიზაჟის ფონზე აპრილის თვეში დალია სული მერი უილსონმა.

მომდევნო წლების განმავლობაში ჰარი უილსონი თავის ორ ძველ მოახლესთან ერთად ცხოვრობდა საგვარეულო სახლში და გარეთ თითქმის აღარ გადიოდა. შვილები მასთან ურთიერთობას დედის გარდაცვალების შემდეგ კიდევ უფრო გაურბოდნენ. ჰარის მარტოობის სავანეში, რომელიც ერთ დროს მათი ბავშვობის სახლიც იყო, სულ ორჯერ თუ სამჯერ ჩავიდნენ მამის სანახავად. ერთხელ პიტერს მისი ექვსი წლის ვაჟი, ჯორჯიც თან ახლდა, რომელიც გარეგნულად საოცრად ჰგავდა მისთვის უცნობ ბაბუას. ჰარის ეს მსგავსება არ გამოჰპარვია. ძველ საოჯახო ფოტოალბომში საკუთარ ბავშვობისდროინდელ სურათებსაც დაუწყო თვალიერება — უნდოდა, კიდევ უფრო მეტი მსგავსება დაენახა მისსა და მისი შვილიშვილის ბავშვობას შორის. ამ სასიამოვნო პარალელს პიტერმა ცივი წყალი იმით გადაასხა, რომ ჰარის უთხრა — „იმედია ხასიათითაც შენ არ დაგემსგავსებაო“. კაცმა ეს წყენა მოკრძალებული ღიმილის თანხლებით ჩაყლაპა, თუმცა, პატარა ბიჭუნამ მისი მხიარული კისკისით იმდენად მოხიბლა და შეაყვარა თავი, რომ გამგზავრებისას პიტერს უთხრა — კარგი იქნება, სხვა დროსაც თუ მეწვევი და შენს ოჯახს სრული შემადგენლობით გამაცნობო. იგივე უთხრა მარგარეტსაც. პიტერმაც და მარგარეტმაც მამის გამჟღავნებულ სურვილებში ერთნაირად შენიშნეს სინანულნარევი და მობოდიშე განწყობა. შვილებმა, პირველად ამდენი ხნის შემდეგ, გაიცნეს მისი დაფარული მხარე, ის ნაწილი, რომელიც აქამდე არასოდეს უგრძნიათ მისგან — მოთხოვნილება ოჯახურ სითბოსა და სიყვარულზე. ამის მიუხედავად, ურთიერთობების აღდგენა ვეღარ მოხერხდებოდა. პიტერი და მარგარეტი დედის გარდაცვალებასა და მთელს განვლილ უსიამოვნო ამბებში შინაგანად ისევ მამის ბრალეულობას ხედავდნენ. ჰარიმ სწორად ამოიკითხა მათში ეს ფიქრები და განწყობები.

როგორც გასროლილი ტყვია ვერ დაბრუნება მჭიდში, ისე ვერც ჰარი გამოიხმობდა უკან დროს, დროს, რომელიც მისდაუნებურად ზოგჯერ უფრო სწრაფად და ულმობლად სპობს ყოველგვარ სამიზნეს, ვიდრე ერთად აღებული ყველა ცეცხლსასროლი იარაღი. მეორეს მხრივ, იგივე დრო შესაძლებლობაცაა — საჯაროდ თუ არა, საკუთარი თავისა და უახლოესი ადამიანების წინაშე მაინც მოახერხო და აღიარო, რომ შეცდი, რომ შეგეშალა და აღარ გინდა, ამის გამო მეტად იტანჯო. თავის მხრივ ეს ტანჯვაც ხომ განწმენდის, სულიერი კათარსისის მიღწევის გზაა რიგ შემთხვევაში. აქ კი ის ფაქტი, რომ ჰარის ბოლო პერიოდში ღამის კოშმარები ტანჯავდა, ალბათ არ უნდა ყოფილიყო შემთხვევითი ამბავი. რას აღარ ხედავდა ჰარი თავის ღამისეულ ზმანებებში — ომებს, სისხლისღვრებს, საკუთარ დაჭრილ თუ მოკლულ თანამებრძოლებს, მერის და მის პატარა ქალ-ვაჟს, რომლებიც მტრის ტყვეობაში იმყოფებოდნენ, ის კი ვერაფერს ახერხებდა მათ დასახსნელად.

* * *

— რა ხდება ჩემს თავს, რა ჯანდაბა ხდება ჩემს თავს! — რაღაცნაირი ჩუმი, მოგუდული ხმით შეჰყვირა ჰარიმ და მორიგი ღამის კოშმარიდან გამოფხიზლებულმა დაჭყეტილი თვალები საწოლის გვერდით, ტუმბოზე მდგარ მაღვიძარას მიანათა. შემდეგ მზერა ბნელით სავსე ოთახს მოავლო და ყურადღება სწრაფადვე ისევ ამ ერთადერთ მანათობელ საგანზე გადმოიტანა, ჩაბნელებულ საძინებელში მკვეთრ, წერტილოვნად შესამჩნევ ფოსფორისფერ შუქს რომ გამოსცემდა.

საწოლიდან ზანტად და აუჩქარებლად წამოსწია დაუძლურებული სხეული. გარეთ ჯერ კიდევ ბინდი იდგა, თუმცა ცარგვალს შეუმჩნევლად, ნელ-ნელა, ეპარებოდა თეთრი შუქის ნაწილაკები. ისე, რომ მასზე დადარაჯებული მოახლეები არ გაეღვიძებინა, ჰარი ფეხაკრეფით ჩავიდა სამზარეულოში მისთვის ძვირფასი ცეილონის ჩაის მოსამზადებლად, შემდეგ ისევ ჩუმი ნაბიჯებით აუყვა ხის ჭრაჭუნა კიბეს და კაბინეტში შეიკეტა. როცა ვეებერთელა ფანჯრის ფარდები გადასწია, გარეთ დღის ნათელს ემატა, უკვე შეიძლებოდა მეუღლის გაშენებულ ბაღში აყვავებული ატმებიდან წამოსული თეთრ-ვარდისფერი ტონების აღქმაც. ერთხან მონუსხული იდგა ამ სურათის წინაშე. თვალებით მხოლოდ ატმის რტოებს შეჰყურებდა, თუმცა ამ წუთში გონებით უფრო მეტს ხედავდა. კინოფირივით ჩაირთო გონების ეკრანზე მთელი მისი განვლილი ცხოვრება. ჰარი ალბათ ბევრ ისეთ რამეს ნახავდა იქ, რაზეც უკვე ითქვა, მაგრამ ისეთებიც მრავლად იქნებოდა, თვით პირველწყაროსაც რომ გაუჭირდებოდა მოსათხრობად. სულის მთელი ეს უძირო ინტიმურობა შესატყვისი და მრავალფერი ექსპრესიით იხატებოდა ამ კაცის სახეზე. წამებში ბადებდა ახალ-ახალ გარდასახვებს შესაფერისი მიმიკით პირველ მსოფლიო ომში მებრძოლი პოლკოვნიკი ჰარი უილსონიდან უკვე მოხუც ბაბუა ჰარიმდე, ამ დროს პატარა ჯორჯი გაახსენდებოდა და სახეზე ღიმილი გადაუვლიდა. გარეთ ატმის რტოებისკენ თუ მიმართავდა ფიქრს, აქ მერი გაახსენდებოდა და ერთბაშად მოიღუშებოდა, მერე ისევ ცოცხლდებოდა და სახეზე მადლიერების, მონატრების და სინანულის აღმნიშვნელ სხვადასხვა გამომეტყველებას იღებდა. სეანსის დასასრულს საბოლოოდაც იმ დასკვნამდე მივიდა, რომ გადაიქანცა, გამოიფიტა, დასუსტდა და მეტი აღარ შეეძლო, ან იქნებ შეეძლო კიდეც, რადგან ჰარის თუ მიზანი ჰქონდა, ყველაფერს გაუძლებდა, უბრალოდ მეტის ატანა აღარ უნდოდა. დიახ, ჰარის ისეთი სიცოცხლე აღარ სურდა, რომელშიც თავად ვერ შეძლებდა თამაშის წესების დადგენას.

ცოტა ხნის შემდეგ თავის საწერ მაგიდას მიუჯდა. უჯრა გამოაღო და პატარა, პატიოსანი თვლებით მოოჭვილ ზარდახშას დასწვდა. შემდეგ ისე, რომ ყოყმანი არ დასტყობია, ზარდახშას თხელი თავსახური ახადა, რომლიდანაც თეთრი, გამკვრივებული ნივთიერება ამოიღო და ჩაიში გააზავა. ორ-სამჯერ მიიტანა პირთან და დიდი მონდომებით მოსვა შეგრილებული სასმელი, თან ისევ იმ ატმის ბაღს გასცქეროდა. ერთი წამით მოეჩვენა, რომ სინათლემ ირგვლივ ყველაფერი გადაანათა, თითქოს უბრალო დილის რიჟრაჟს კი არა, მზიანი აპრილის თვალისმომჭრელ ნათელს შემოეღწია მისსავე სულში. მალე ატმის რტოები კიდევ უფრო აკაშკაშდნენ, ყვავილებმა კი ენით აღუწერელი, ღვთაებრივი ფერადოვნების ამოფრქვევა იწყეს. ალბათ მათ არომატსაც შეიგრძნობდა ჰარი მისი სიცოცხლის უკანასკნელ წამებში.

როალდ დალი

მაღლა, ცათა სასუფეველისკენ



მისის ფოსტერს მთელი ცხოვრების მანძილზე რაღაც პათოლოგიური შიში ჰქონდა, რომ მატარებელს, თვითმფრინავს, გემს ვერ მიუსწრებდა, ან თუნდაც თეატრში დააგვიანებდა. სხვა მხრივ, ზედმეტად ნერვიული ქალი არ ყოფილა, თუმცა მსგავს შემთხვევებში დაგვიანებაზე გაფიქრებისთანავე ტოკვას იწყებდა. არაფერი განსაკუთრებული — მარცხენა თვალის კუთხესთან პაწაწინა კუნთი თამაშს დაუწყებდა ხოლმე, თითქოს ერთგვარი იდუმალებით ვიღაცას თვალს უკრავსო. ამ ყველაფერში შემაწუხებელი მხოლოდ ის გახლდათ, რომ ეს ტოკვა ხშირად თითქმის საათს გასტანდა და მანამ არ მთავრდებოდა, სანამ ქალი მატარებლამდე, თვითმფრინავამდე ან საითაც მიეშურებოდა, იქამდე, მშვიდობიანად არ მიაღწევდა.

საოცარია, როგორ იქცა ისეთი წვრილმანის გამო უბრალო შფოთვა, როგორიც, ვთქვათ, მატარებლის სადგურამდე დროულად მისვლაა, აკვიატებულ მდგომარეობად. მაშინაც კი, როდესაც სადგურში გასვლამდე სულ ცოტა ერთი საათი მაინც დარჩენილიყო, შლაპაში, პალტოსა და ხელთათმანებში გამოწყობილი მისის ფოსტერი გამოაბიჯებდა ლიფტიდან, ერთ ადგილას მოსვენება და ჩამოჯდომა არ შეეძლო, აღელვებული მოუსვენრად გადი-გამოდიოდა ოთახიდან ოთახში მანამ, სანამ მისი განმარტოებით მყოფი მეუღლე, რომელსაც მშვენივრად ესმოდა ქალის მსგავსი მდგომარეობისა, საბოლოოდ არ გამოერკვეოდა და არასასიამოვნო ხმით, ცივად შესთავაზებდა, რომ უკვე დრო იყო, გასვლაზე ეფიქრათ.

მისტერ ფოსტერს, შესაძლოა, მართლაც ჰქონდა უფლება, რომ მეუღლის უცნაური საქციელით გაღიზიანებულიყო, თუმცა მისი მხრიდან არანაირი გამართლება არ მოეძებნებოდა იმ ფაქტს, რომ განზრახ, უაზროდ გაწელილი ლოდინით ქალის საცოდაობას უფრო ამწვავებდა. გაითვალისწინეთ, დანამდვილებით ვერ ვიტყვით, რომ მისტერ ფოსტერი გამიზნულად იქცეოდა ამგვარად, მაგრამ, ცალსახაა, როდესაც სადმე წასვლას გეგმავდნენ, იგი ისეთი სიზუსტით გათვლიდა ხოლმე დროს — ერთ-ორი წუთი თუ გამოეპარებოდა, ხომ გესმით — და მის თითოეულ მოქმედებას ისეთი სიმსუბუქე დაჰკრავდა, ძნელად თუ დაიჯერებდით, რომ ამ უბედურ ქალბატონს მიზანმიმართულად არ უჩენდა საზიზღარ სატანჯველს. მისტერ ფოსტერმა ერთი რამ დანამდვილებით იცოდა — მისის ფოსტერი ვერასდროს გაბედავდა, რომ მისთვის წამოეყვირა და რამეში აეჩქარებინა. საამისოდ მშვენივრად ჰყავდა გამოწვრთნილი. წესით, არც იმის გაცნობიერება უნდა გასჭირვებოდა, რომ თუ დანიშნულების პუნქტამდე მისასვლელად დარჩენილი უკანასკნელი წუთის შემდეგაც მშვიდად განაგრძობდა მოცდას, ამით მეუღლეს ისტერიულ შეტევამდე მიიყვანდა. მათი ცოლქმრული თანაცხოვრების ბოლო წლებში ერთსა თუ ორ განსაკუთრებულ შემთხვევას ჰქონდა ადგილი, როდესაც თითქმის ცხადი იყო, მისტერ ფოსტერს მხოლოდ იმიტომ სურდა მატარებელზე დაგვიანება, რომ საწყალი ქალის ტანჯვა კიდევ უფრო დაემძიმებინა.

იმის დაშვება (რასაკვირველია, დანამდვილებით ვერ ვიტყვით), რომ მისტერ ფოსტერი მართლაც დამნაშავე იყო მეუღლის წინაშე, მის საქციელს ორმაგად მიუღებელს ხდიდა. მითუმეტეს, თუ ხასიათის მცირედ გამაღიზიანებელ სისუსტეს მხედველობაში არ მივიღებთ, მისის ფოსტერი გულითადი და მოსიყვარულე ცოლის განსახიერება გახლდათ. იგი ოცდაათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ქმარს ერთგულად ემსახურებოდა. ამაში ეჭვის შეტანის არანაირი საფუძველი არ არსებობდა. თუმცა, მიუხედავად მოკრძალებული ბუნებისა, ქალი უკვე თავადაც კარგად აცნობიერებდა ყოველივეს. თუკი წლების მანძილზე საკუთარ თავს იმის დაჯერების უფლებასაც არ აძლევდა, რომ მისტერ ფოსტერი შეგნებულად ტანჯავდა, ბოლო დროს აშკარად დაეჭვდა.

მისტერ იუჯინ ფოსტერი, რომელმაც სამოცდაათს მიუკაკუნა, მეუღლესთან ერთად ნიუ-იორკში, სამოცდამეორე ქუჩაზე ექვსსართულიან სახლში ცხოვრობდა. ოთხი მოსამსახურე ჰყავდათ. მეტად მოჟამული ადგილი იყო და ცოლ-ქმარს დიდად არც არავინ სტუმრობდა. თუმცა, იანვრის ერთ მშვენიერ დილას სახლი როგორღაც გამოცოცხლდა და ახმაურდა. ერთი მოახლე მტვრისგან დამცავი ზეწრების შეკვრებს ანაწილებდა თითოეულ ოთახში, ამასობაში მეორე ამ ზეწრებში ავეჯს ფუთავდა. მსახურთუფროსს ჩემოდნები დაბლა ჩაჰქონდა და დერეფანში აწყობდა. მზარეული დროდადრო გამოდიოდა სამზარეულოდან, რომ მსახურთუფროსისთვის ერთი-ორი სიტყვა ეთქვა. მისის ფოსტერი კი ძველმოდურ ბეწვის ქურქში გამოწყობილიყო, შავი შლაპა კეფის ზედა ნაწილზე მოექცია და ოთახიდან ოთახში დაფრინავდა, თავს იკატუნებდა, ვითომ, ყველაფერი მისი ზედამხედველობის ქვეშ მიმდინარეობდა. სინამდვილეში, ერთი რამის გარდა, აბსოლუტურად არაფერზე არ ეფიქრებოდა — აეროპორტში უთუოდ დააგვიანებდა, თუ მისტერ ფოსტერი მალე არ გამოვიდოდა თავისი კაბინეტიდან და მომზადებას არ შეუდგებოდა.

— რომელი საათია, უოკერ? — მისის ფოსტერმა მსახურთუფროსს გვერდით ჩაუარა.

— ათის ათი წუთია, ქალბატონო.

— მანქანა არ მოსულა?

— დიახ, ქალბატონო, მოსულია და გელოდებათ. ახლავე ჩავალაგებ ბარგს.

— ერთი საათი დამჭირდება აიდლვაილდამდე მისასვლელად, — თქვა მისის ფოსტერმა, — ჩემი რეისი თერთმეტზეა. ერთი საათით ადრე მისვლა მომიწევს, ფორმალობების გავლაც გარკვეულ დროს წაიღებს. დავაგვიანებ. ვიცი, რომ დავაგვიანებ.

— ქალბატონო, ვგონებ, დრო თავზესაყრელად გაქვთ, — თავაზიანად მიუგო მსახურთუფროსმა, — მისტერ ფოსტერი უკვე გავაფრთხილე, რომ სახლიდან ათის თხუთმეტ წუთზე უნდა გახვიდეთ. იქამდე კიდევ ხუთი წუთია.

— ჰო, უოკერ, ვიცი, ვიცი. ბარგი ცოტა სწრაფად მიიტანე, კარგი?

მისის ფოსტერმა დერეფანში წინ და უკან სიარული დაიწყო. როგორც კი მსახურთუფროსი გამოჩნდებოდა, საათს ეკითხებოდა. საკუთარ თავს უმეორებდა, რომ ამ რეისზე არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაეგვიანებინა. თვეები დასჭირდა მეუღლის დასარწმუნებლად, რომ მისთვის წასვლის ნება დაერთო. თუ დროულად მისვლას ვერ მოასწრებდა, მისტერ ფოსტერი მარტივად გადაწყვეტდა, რომ ცოლს მგზავრობა საერთოდ უნდა გაეუქმებინა. ამას ისიც ემატებოდა, რომ მისტერ ფოსტერმა აეროპორტში წაყოლა და მისი გაცილება დაიჟინა.

— ღმერთო დიდებულო, — ხმამაღლა თქვა მისის ფოსტერმა, — დავაგვიანებ. ვიცი, ვიცი, ვიცი, რომ დამაგვიანდება, — მარცხენა თვალის კუთხეში პაწაწინა კუნთმა ახლა გამალებით დაუწყო თამაში. ცოტაც და თვალები ცრემლებით ამოევსებოდა, — უოკერ, რომელი საათია?

— ათის თვრამეტი წუთი, ქალბატონო.

— აი, ახლა კი ნამდვილად დავიგვიანებ, — წამოიძახა ქალმა, — ო, ნეტავ მისტერ ფოსტერი მალე გამოვიდეს!

აღნიშნული მოგზაურობა მისის ფოსტერისთვის მეტად მნიშვნელოვანი გახლდათ. იგი სრულიად მარტო მიემგზავრებოდა პარიზში თავისი ერთადერთი ქალიშვილის მოსანახულებლად. ეს უკანასკნელი ფრანგზე დაქორწინებულიყო. მისის ფოსტერს ამ ფრანგი კაცის ნახვა დიდად არ აინტერესებდა, აი, ქალიშვილი კი გაგიჟებით უყვარდა და ამასთან, სამი შვილიშვილის რეალურად ხილვის წყურვილიც კლავდა. მათ ხომ მხოლოდ პარიზიდან გამოგზავნილი ფოტოებით იცნობდა, იმ ფოტოებით, რომლებითაც მთელი სახლი მოერთო. მშვენიერი შვილიშვილები ჰყავდა. მათზე ჭკუას კარგავდა და როგორც კი ახალი ფოტო ჩამოუვიდოდა, მაშინვე თავისთან მიჰქონდა, დიდხანს იჯდა, ალერსით დაჰყურებდა მათი სახეების მოყვანილობას და ნაკვთებში მსგავსების აღმოჩენა, რაც ნათესაურ კავშირზე მიუთითებდა, საოცარ სიამოვნებას ჰგვრიდა. ბოლო ხანებში უფრო და უფრო მძაფრად გრძნობდა, რომ არ სურდა, დარჩენილი დრო შვილიშვილების გარეშე გაეტარებინა, ისე გაეგრძელებინა მოშორებით ცხოვრება, რომ არ ჰქონოდა ხშირად სტუმრობის, სეირნობის, მათთვის საჩუქრების ყიდვისა და იმის ხილვის ბედნიერება, თუ როგორ იზრდებოდნენ ეს ბავშვები. რასაკვირველია, იცოდა, რომ მაშინ, როდესაც მისი მეუღლე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ასეთ ფიქრებს არანაირი გამართლება არ ჰქონდა, მეტიც, ერთგვარ ღალატს უტოლდებოდა. იმასაც მშვენივრად ხვდებოდა, რომ მეუღლე საქმეების უმეტესობაში აქტიურ მონაწილეობას აღარ იღებდა, თუმცა ის ნიუ-იორკს ვერასდროს დატოვებდა და ვერც პარიზში გადასახლდებოდა. ახლაც ნამდვილად სასწაული მოხდა, რომ მისტერ ფოსტერმა ცოლს ნება დართო შვილისა და შვილიშვილების მოსანახულებლად ექვსი კვირით გაფრენილიყო, თანაც, მარტო! არადა, როგორ ოცნებობდა მისის ფოსტერი, მუდამ მათთან ერთად ეცხოვრა და გვერდიდან არ მოშორებოდა.

— უოკერ, რომელი საათია?

— ათის ოცდაორი წუთი, ქალბატონო.

უოკერს ჯერ საუბარი არ დაესრულებინა, კარი გაიღო და დერეფანში მისტერ ფოსტერი გამოჩნდა. წამიერად შეჩერდა და ცოლს დაჟინებული მზერა მიაპყრო. მისის ფოსტერს ეს გამოხედვა არ გამოჰპარვია და ახლა თავადაც ვერ აშორებდა თვალს ამ დალეულ, მაგრამ მაინც სიცოცხლით სავსე მოხუც კაცს, რომლის სახეც უზარმაზარ წვერს დაეფარა და ამგვარად, საოცარ გარეგნულ მსგავსებას შენიშნავდით მისტერ ფოსტერსა და ენდრიუ კარნეგის შორის.

— კეთილი, — თქვა მისტერ ფოსტერმა, — მგონი, სჯობს ვიჩქაროთ, თუ გინდა, რომ თვითმფრინავმა არ გაგასწროს.

— ჰო, ძვირფასო, ჰო! ყველაფერი მზადაა. მანქანა უკვე გველოდება.

— კარგია, — მიუგო მისტერ ფოსტერმა. თავი ერთ მხარეს გადაეხარა და ცოლს ყურადღებით აკვირდებოდა. ასეთი უცნაური ჩვევა ჰქონდა — ერთ მხარეს გადაიხრებოდა და გაშეშდებოდა, შემდეგ კი გაშეშებულ თავს სწრაფად ისევ საწყის პოზიციაში დააბრუნებდა. ამასთან, ერთმანეთში გადახლართული ხელები მაღლა აეზიდა და გულ-მკერდზე დაეწყო. სწორედ ამის გამო ციყვს მოგაგონებდათ, პარკის მობინადრე მკვირცხლ ციყვს.

— აი, ძვირფასო, ესეც უოკერი შენი პალტოთი. ჩაიცვი.

— ერთ წუთში მოვალ, — თქვა მისტერ ფოსტერმა, — ხელებს გადავიბან.

მისის ფოსტერი უცდიდა, მაღალი მსახურთუფროსი მის გვერდით იდგა, ხელში პალტოთი და ქუდით.

— უოკერ, დავაგვიანებ?

— არა, ქალბატონო, — მიუგო მსახურთუფროსმა, — ვფიქრობ, ზუსტად მიუსწრებთ.

მისტერ ფოსტერი კვლავ გამოჩნდა. მსახურთუფროსი პალტოს ჩაცმაში მიეხმარა. ბატონი საჩქაროდ გარეთ გავარდა და დაქირავებულ კადილაკში ჩაჯდა. ის სახლიდან მისის ფოსტერის შემდეგ გამოვიდა, ტაატით ჩამოიარა კიბე, შუა გზაში შეჩერდა, ცას დააკვირდა და დილის სუსხიანი ჰაერი ჩაისუნთქა.

— რაღაც ნისლიანი ამინდი ჩანს, — თქვა მისტერ ფოსტერმა და მანქანაში მეუღლეს გვერდით მიუჯდა, — თანაც, ასეთ დროს აეროპორტში ყოველთვის საშინელი მდგომარეობაა ხოლმე. სულაც არ გამიკვირდება, ფრენა რომ გაუქმებული დაგვხვდეს.

— ძვირფასო, ეგ არ თქვა, გთხოვ.

ცოლ-ქმარს ხმა აღარ ამოუღია, მანამ, სანამ მანქანამ ლონგ აილენდთან დამაკავშირებელი ხიდი არ გადაკვეთა.

— მოსამსახურეებთან ყველაფერი გარკვეული მაქვს, — თქვა მისტერ ფოსტერმა, — დღეს წავლენ. ექვსი კვირისთვის ხელფასის ნახევარი გადავუხადე და უოკერს ვუთხარი, რომ როცა ისინი კვლავ დაგვჭირდებოდნენ, მათთვის ტელეგრამა გაეგზავნა.

— ჰო, — მიუგო მისის ფოსტერმა, — მითხრა.

— ამ ღამით კლუბში გადავალ. კლუბში დარჩენა სასიამოვნო ცვლილება იქნება.

— ჰო, ძვირფასო, მოგწერ ხოლმე.

— სახლში დროდადრო დავრეკავ, რომ დავრწმუნდე, ყველაფერი რიგზეა და გზავნილი ავიღო ხოლმე.

— ჰო, მაგრამ არ ფიქრობ, რომ საჭიროა მთელი ამ დროის განმავლობაში სახლში უოკერი დარჩეს და ყოველივეს მიხედოს? — მისის ფოსტერის ხმაში მორჩილება იგრძნობოდა.

— სისულელეა. სავსებით არაა საჭირო. მაშინ, მომიწევს, რომ ხელფასი მთლიანად გადავუხადო.

— ჰო, მართალია, — მიუგო მისის ფოსტერმა, — რასაკვირველია.

— თანაც, ვერც კი წარმოიდგენ, რაზეა წამსვლელი ადამიანი, როცა სახლში მარტოს დატოვებ, — განაცხადა მისტერ ფოსტერმა და სიგარა ამოიღო, ვერცხლისფერი საჭრისით ბოლო ჩამოაცალა და ოქროსფერი სანთებელა მოუკიდა.

მისის ფოსტერი მანქანაში გაუნძრევლად იჯდა და პლედის ქვეშ ხელებს ერთმანეთში მაგრად აჭდობდა.

— მომწერ ხოლმე? — ჰკითხა მისის ფოსტერმა მეუღლეს.

— ვნახოთ, — მიუგო მისტერ ფოსტერმა, — მაგრამ, ეჭვი მეპარება. ხომ იცი, დიდად არ მომწონს წერილების წერა, თუ რაიმე განსაკუთრებული არ მაქვს სათქმელი.

— ჰო, ძვირფასო, ვიცი. მაშინ, არ შეწუხდე.

ქუინსის ბულვარის მიმართულებით განაგრძეს გზა და როგორც კი მიუახლო-

ვდნენ ჭაობიან დაბლობს, რომელზეც აიდლვაილდი იყო აშენებული, ნისლი თანდათან გასქელდა და იძულებულები გახდნენ, მანქანით სვლა შეენელებინათ.

— ო, ძვირფასო! — წამოიძახა მისის ფოსტერმა, — აი, ახლა კი დარწმუნებული ვარ, რომ დავაგვიანებ. რომელი საათია?

— მორჩი ამ ფაციფუცს, — მიუგო მისტერ ფოსტერმა, — აზრი მაინც არ აქვს. ცალსახაა, რომ რეისი უკვე გაუქმებული დაგვხვდება. ასეთ ამინდში ფრენა არასდროს არ არის ხოლმე. ვერ ვხვდები, წამოსასვლელად თავი რატომ შეიწუხე.

მისის ფოსტერი ბოლომდე დარწმუნებული არ იყო, თუმცა ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ საუბრისას მისტერ ფოსტერის ხმის ტონალობა ოდნავ შეიცვალა და მოტრიალდა, რომ მისთვის შეეხედა. მისის ფოსტერისთვის არც ისე მარტივი აღმოჩნდა, თმაში ჩაფლული სახის მიღმა მეუღლის გამომეტყველებაში რაიმე ცვლილება შეენიშნა. აი, პირზე დაკვირვებით შეიძლებოდა, რაიმე აღმოეჩინა. მისის ფოსტერს როგორც ადრე, ახლაც სურდა, რომ მეუღლის ბაგეები მაინც დაენახა გარკვევით, რადგან მისტერ ფოსტერის თვალებში მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა რამის ამოკითხვა, როცა გაცოფებული იყო.

— რასაკვირველია, — განაგრძო მისტერ ფოსტერმა, — თუ როგორღაც ისე მოხდა, რომ რეისი არ გააუქმეს, გამორიცხულია, რომ შენ უკვე დაგვიანებული არ გქონდეს. რატომ არ გინდა, რომ ამ აზრს შეეგუო?

მისის ფოსტერი გვერდზე მიტრიალდა და ფანჯრიდან ირგვლივ ჩამოწოლილ ბურუსს დაუწყო ჭვრეტა.

როგორც ჩანს, ნისლი თანდათან სქელდებოდა. ახლა მისის ფოსტერი გარკვევით მხოლოდ გზის მონაკვეთსა და მინდვრის კიდეს თუ ხედავდა. ხვდებოდა, რომ მეუღლე კვლავ მას უყურებდა. ამჯერად თავად შეავლო მისტერ ფოსტერს თვალი და შენიშნა, რომ თურმე მეუღლე მის მარცხენა თვალის კუთხეში მოთამაშე კუნთს დაჟინებით მიშტერებოდა.

— აბა, რას იზამ? — ჰკითხა მისტერ ფოსტერმა.

— როგორ თუ რას ვიზამ?

— რეისი რომც შედგეს, უნდა გაუშვა. ამ საზიზღარ ამინდში მანქანას სწრაფად ვერ ვმართავთ.

ამის შემდეგ ქალისთვის ხმა აღარ გაუცია. მანქანა უსასრულოდ მიღოღავდა. მძღოლს ფარების ყვითელი შუქი გზის პირისკენ მიემართა და მისი დახმარებით ცდილობდა გზის გაგრძელებას. ნისლის შუაგულიდან მათი მანქანისკენ ხან თეთრი, ხან ყვითელი შუქი მოემართებოდა. რაღაც განსაკუთრებულად მოკაშკაშე შუქი კი მთელი ამ ხნის განმავლობაში უკან მოჰყვებოდათ. უცებ მძღოლმა მანქანა გააჩერა.

— აჰა! — წამოიყვირა მისტერ ფოსტერმა, — გავიჭედეთ. ასეც ვიცოდი.

— არა, სერ, — მიუგო მძღოლმა და შემოტრიალდა, — გამომივიდა. აეროპორტთან მოვედით.

მისის ფოსტერს სიტყვაც კი არ დაუძრავს, ისე გადმოხტა მანქანიდან და აეროპორტის მთავარი შესასვლელისკენ გაექანა. შიგნით ზღვა ხალხს მოეყარა თავი, უმეტესად გულდაწყვეტილი მგზავრები იდგნენ სალაროსთან. მისის ფოსტერმა როგორღაც გაარღვია ხალხის რიგი და რეგისტრატორს გაესაუბრა.

— დიახ, — თქვა რეგისტრატორმა, — თქვენი ფრენა დროებით გადაიდო, მაგრამ გთხოვთ, არსად წახვიდეთ. ამინდი ნებისმიერ წუთს შეიძლება უკეთესობისკენ შეიცვალოს.

მისის ფოსტერი კვლავ მანქანაში მომლოდინე მეუღლესთან მიბრუნდა და ეს სიახლე აცნობა.

— მაგრამ ძვირფასო, შენ აქ ნუ მოიცდი, — უთხრა მისის ფოსტერმა, — აზრი არ აქვს.

— კარგი, არ მოვიცდი, ოღონდ, იმ პირობით, თუ მძღოლი შინ მიმიყვანს. აბა, მძღოლო, წამიყვან სახლში?

— კეთილი, — მცირეოდენი დაფიქრების შემდეგ მიუგო მძღოლმა.

— ბარგი გადმოიტანეთ?

— დიახ, სერ.

— მშვიდობით, ძვირფასო, — მისის ფოსტერმა მეუღლისკენ წაიწია და უხეში, ჭაღარა თმით დაფარულ ლოყაზე აკოცა.

— მშვიდობით, — მიუგო მისტერ ფოსტერმა, — კეთილი მგზავრობა.

მანქანა დაიძრა და მალე მისის ფოსტერი მარტო დარჩა.

დღის დარჩენილი ნახევარი მისთვის ნამდვილ კოშმარად იქცა. რეგისტრატურასთან ყველაზე ახლოს მდგარ სკამზე, უკვე ვინ მოთვლის, რამდენი საათი იჯდა, დაახლოებით ყოველ ოცდაათ წუთში ერთხელ წამოდგებოდა და არკვევდა, ვითარება გამოსწორდა თუ არა. ყოველ ჯერზე ერთსა და იმავე პასუხს იღებდა — უნდა მოეცადა, რადგან ნისლი ნებისმიერ წუთს შეიძლებოდა გაფანტულიყო. როგორც იქნა, საღამოს ექვსზე ხმის გამაძლიერებლით გამოაცხადეს, რომ ფრენა მომდევნო დღის თერთმეტი საათისთვის გადაიდო.

ამ ინფორმაციის მოსმენის შემდეგ მისის ფოსტერს ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ გამოერკვია, რა უნდა ეღონა. სულ ცოტა ნახევარი საათის განმავლობაში ადგილიდან ფეხი არ მოუცვლია და საგონებელში ჩავარდნილი, დაღლილი, არეული გონებით ფიქრობდა, თუ სად შეეძლო ღამის გათევა. კატეგორიულად არ უნდოდა აეროპორტიდან წასვლა. მეუღლის ნახვის სურვილიც კი არ ჰქონდა. ეშინოდა, რომ მეუღლე მის პარიზში გამგზავრებას როგორმე აუცილებლად შეუშლიდა ხელს. ერჩივნა, სადაც იყო, იქ დარჩენილიყო და მთელი ღამე თუნდაც სკამზე მჯდომარეს გაეტარებინა. ამგვარად ყველაზე უსაფრთხოდ იქნებოდა. თუმცა, უკვე საკმარისად გახლდათ დაღლილი და დიდი ხანი არ დასჭირვებია იმის გასააზრებლად, რომ ასაკოვანი ქალისთვის მსგავსი ქცევა შეურაცხმყოფელი იყო. ბოლოს და ბოლოს ტელეფონთან მივიდა და სახლში დარეკა.

მისმა მეუღლემ, რომელიც ის-ის იყო სახლიდან გასვლასა და კლუბში წასვლას აპირებდა, ტელეფონს თავად უპასუხა. მისის ფოსტერმა ყველაფერი მოახსენა და ჰკითხა, მოსამსახურეები კლავ შინ იყვნენ თუ — არა.

— ყველანი წასულები არიან, — უთხრა მისტერ ფოსტერმა.

— თუ ასეა, ძვირფასო, მაშინ თავად ვიშოვი სადმე ერთ ოთახს, რომ ღამე გავათიო. შენ ამაზე არ შეწუხდე.

— სისულელე იქნება, შენს განკარგულებაში უზარმაზარი სახლია, ჰოდა, გამოიყენე.

— ჰო, მაგრამ, ძვირფასო, ის ხომ ცარიელია.

— მაშინ, შენთან მე დავრჩები.

— სახლში საჭმელი არ არის, საერთოდ არაფერი არაა.

— მაშინ, სანამ მოხვალ, მანამდე მიირთვი რამე. ქალო, ნუ ხარ ასეთი სულელი. რასაც არ უნდა აკეთებდე, სულ გინდა, რომ ბუზისგან სპილო შექმნა.

— ჰო, — თქვა მისის ფოსტერმა, — ბოდიშს ვიხდი. ჩემთვის სენდვიჩს შევიძენ და მერე მოვალ.

გარეთ ნისლი ცოტათი გაფანტულიყო, თუმცა ტაქსით მგზავრობა მაინც უსაშველოდ გაიწელა და მისის ფოსტერს სახლში მისვლა საკმაოდ გვიან მოუწია.

მისტერ ფოსტერი, როგორც კი მისი მოსვლის ხმა გაიგონა, კაბინეტიდან დაუყოვნებლივ გამოვიდა.

— ვა! — მისტერ ფოსტერი კაბინეტის კართან იდგა, — აბა, პარიზზე რა ისმის?

— დილის თერთმეტზე გავფრინდებით, — მიუგო მისის ფოსტერმა, — უკვე გადაწყვეტილია.

— იმ შემთხვევაში, თუ ნისლი გაიფანტება, ამას გულისხმობ, არა?

— უკვე იფანტება. ქარი ამოვარდა.

— დაღლილს ჰგავხარ, — თქვა მისტერ ფოსტერმა, — ალბათ, შფოთიანი დღე გქონდა.

— ჰო, არც ისე სასიამოვნო დღე იყო. მგონი, სჯობს წავიდე და დავიძინო.

— დილისთვის მანქანა გამოვიძახე, ცხრისთვის მოვა.

— ო, ძვირფასო, გმადლობ. ვიმედოვნებ, რომ არ შეწუხდები და აეროპორტამდე არ მიმაცილებ.

— არა, — მშვიდად მიუგო მისტერ ფოსტერმა, — არ მგონია, წამოვიდე, თუმცა ვერ ვხედავ მიზეზს, თუ რატომ უნდა მითხრა უარი, რომ დაგემგზავროთ და გზად კლუბთან ჩამომსვათ.

მისის ფოსტერმა მეუღლეს შეხედა და იმ მომენტში მოეჩვენა, რომ ის მისგან საკმაოდ შორს, თითქოს რაღაც საზღვრის მიღმა, იდგა. უცებ მისტერ ფოსტერი ისე დაპატარავდა და თვალსაწიერს მოშორდა, რომ მისის ფოსტერი გარკვევით ვეღარც ხედავდა, რას აკეთებდა, რას ფიქრობდა ან საერთოდ რა არსება იყო ეს კაცი.

— კლუბი ქალაქის ცენტრშია, — თქვა მისის ფოსტერმა, — აეროპორტისკენ მიმავალ გზაზე არაა.

— ჰო, მაგრამ, ძვირფასო, შენ ხომ თავზესაყრელი დრო გექნება. ნუთუ არ გინდა, რომ კლუბამდე მიმიყვანო?

— ო, კეთილი, რასაკვირველია.

— კარგია. მაშინ ხვალ დილის ცხრისთვის გნახავ.

მისის ფოსტერი თავის საძინებელში მეორე სართულზე ავიდა. ისე დაქანცულიყო, რომ როგორც კი დაწვა, მაშინვე ჩაეძინა.

მომდევნო დილას მისის ფოსტერმა დროზე ადრე გაიღვიძა. ცხრის ნახევრისთვის უკვე ქვედა სართულზე ჩამოსულიყო და გასასვლელად ემზადებოდა.

ცხრა საათს ცოტა რომ გადასცდა, მისი მეუღლეც გამოჩნდა.

— ყავა ხომ არ გაგიმზადებია? — იკითხა.

— არა, ძვირფასო. ვიფიქრე, რომ კლუბში მშვენივრად ისაუზმებდი. მანქანა მოსულია. უკვე კარგა ხანია, რაც იცდის. მე უკვე მზად ვარ.

ცოლ-ქმარი დერეფანში იდგა. ამ ბოლო დროს ისე გამოვიდა, რომ ერთმანეთს ყოველთვის დერეფანში ხვდებოდნენ — მისის ფოსტერი ქუდით, პალტოთი და ხელჩანთით, მისი მეუღლე კი უცნაურად გამოჭრილ ფართო ბორტებიან ედვარდიანულ პიჯაკში გამოწყობილი.

— შენი ბარგი?

— აეროპორტშია.

— აა, ჰო, — თქვა მისტერ ფოსტერმა, — თავდაპირველად ჩემ კლუბში წაყვანას თუ აპირებ, ვეჭვობ, უკეთესი იქნება, რაც შეიძლება მალე წავიდეთ.

— ჰო! — წამოიძახა მისის ფოსტერმა, — ჰო, წავიდეთ, გთხოვ!

— წავალ, რამდენიმე სიგარას ავიღებ და მალევე შენთან გავჩნდები. შენ მანქანაში დაჯექი.

მისის ფოსტერი გამობრუნდა და მძღოლისკენ გაემართა. მძღოლმა, როგორც კი ქალბატონი მიუახლოვდა, მაშინვე მანქანის კარი გაუღო.

— რომელი საათია? — იკითხა მისის ფოსტერმა.

— დაახლოებით ათის თხუთმეტი წუთია.

მისტერ ფოსტერი ხუთი წუთის შემდეგ გამოჩნდა. მისის ფოსტერი ხედავდა, რა ზანტად ადგამდა თითოეულ ნაბიჯს, როგორ მოიზლაზნებოდა. უცებ შენიშნა, რომ ვიწრო შარვალში გამოწყობილი მეუღლის ფეხები თხის ფეხებს აგონებდა. მისტერ ფოსტერი, როგორც წინა დღეს, ახლაც შუა გზაში შეჩერდა, რათა ჰაერი ჩაესუნთქა და ცისთვის თვალი შეევლო. ბოლომდე ჯერ კიდევ არ გამოედარებინა, თუმცა ნისლის მსუბუქი ფენიდან აქა-იქ იპარებოდნენ მზის სხივები.

— შესაძლოა, ამჯერად გაგიმართლოს, — თქვა მისტერ ფოსტერმა და მანქანაში მეუღლის გვერდით მოკალათდა.

— გთხოვთ, იჩქარეთ, — მისის ფოსტერმა მძღოლს მიმართა, — შეეშვით მაგ პლედს, თავად მივხედავ. წავედით, დავაგვიანე და ეგ არის.

მძღოლი თავის ადგილს დაუბრუნდა, საჭეს მიუჯდა და მანქანა დაქოქა.

— ერთი წუთით! — მოულოდნელად წამოიძახა მისტერ ფოსტერმა, — ერთი წუთით მოითმინეთ, მძღოლო, კარგი?

— რა მოხდა, ძვირფასო? — მისის ფოსტერმა შენიშნა, რომ მეუღლე პალტოს ჯიბეებში რაღაცას ეძებდა.

— პატარა საჩუქარი მქონდა და მინდოდა, რომ ელენთან წაგეღო. სად ჯანდაბაში გაქრა? ზუსტად მახსოვს, რომ სახლიდან გამოსვლისას ხელში მეჭირა.

— არ შემინიშნავს, რომ ხელში რამე გჭეროდა. რა საჩუქარი?

— თეთრ ქაღალდში შეხვეული პატარა კოლოფი. დამავიწყდა, რომ გუშინ მომეცა. აღარ მინდოდა, რომ დღესაც დამვიწყებოდა.

— პატარა კოლოფი! — წამოიძახა მისის ფოსტერმა, — არანაირი პატარა კოლოფი არ დამინახავს, — და მანქანის სავარძლის უკან გაშმაგებით დაიწყო ძებნა.

მისი მეუღლე კვლავ პალტოს ჯიბეებს ისინჯავდა. შემდეგ პალტო შეიხსნა და ხელის ფათურით ახლა პიჯაკის ჩხრეკას შეუდგა.

— ეშმაკმა დალახვროს! — თქვა მან, — ალბათ, საძინებელში დამრჩა. ახლავე მოვალ.

— ო, კარგი, რა! — დაიყვირა მისის ფოსტერმა, — ახლა მაგის დრო არ არის! შეეშვი! შეგიძლია, ფოსტით გამოგზავნო. ხომ ვიცი, ისევ სულელური სავარცხელი უნდა აჩუქო. მისთვის ყოველთვის სავარცხლებს ყიდულობ ხოლმე.

— და სავარცხლებს რას ერჩი, შეიძლება, გკითხო? — მიუგო მეუღლეზე გაცოფებულმა მისტერ ფოსტერმა. ნუთუ არ შეიძლებოდა, ერთხელ მასაც დავიწყებოდა რამე?!

— არაფერს, ძვირფასო. მართლაც არაფერს ვერჩი, მაგრამ...

— აქ იყავი, — ბრძანა მისტერ ფოსტერმა, — წავალ და მოვიტან.

— იჩქარე, ძვირფასო! გთხოვ, დროულად!

მისის ფოსტერი თავისთვის წყნარად დაჯდა, იცდიდა და იცდიდა.

— მძღოლო, რომელი საათია?

კაცი თავის მაჯის საათს დააცქერდა. თითქმის ათის ნახევარი იყო.

— როგორ ფიქრობთ, აეროპორტამდე ერთ საათში მივალთ?

— დიახ, დაახლოებით.

სწორედ ამ დროს, სრულიად მოულოდნელად, მისის ფოსტერმა იმ ადგილას, სადაც მისი მეუღლე იჯდა, სავარძლებს შორის შენიშნა, რომ რაღაც თეთრი იყო ჩაჭედილი. ხელი დაავლო და ქაღალდში შეხვეული პატარა კოლოფი ამოაძვრინა. მისი ყურადღების მიღმა არ დარჩენილა ის ფაქტი, რომ კოლოფი ძლიერად და ღრმად, გამიზნულად ხელის დაწოლით ჩაეჭედათ.

— აი, ისიც! — წამოიძახა მან, — ვიპოვე! ო, ღმერთო და ის კი ახლა კვლავ იქ არის და უსასრულოდ უნდა განაგრძოს ძებნა! მძღოლო, იჩქარეთ, სახლში შეირბინეთ და დაუძახეთ, რომ ჩამოვიდეს, კარგი?

მძღოლს, ამ ირლანდიური, მომცრო პირისახის, უხეში ნაკვთების მქონე კაცს ეს ყოველივე სულ არ ადარდებდა, მაგრამ მანქანიდან მაინც გადახტა და სახლის კიბისკენ გაემართა. ცოტა ხნის შემდეგ მოტრიალდა და უკან გამობრუნდა.

— კარი დაკეტილია, — მძღოლმა ქალბატონს მოახსენა, — გასაღები გაქვთ?

— ჰო, ერთი წუთი მოითმინე, — მისის ფოსტერმა გააფთრებით დაიწყო ხელჩანთაში ქექვა. მისი პაწაწინა სახე მღელვარებისგან დამანჭულიყო, ბაგეები ჩაიდნის ტუჩივით ჰქონდა წინ წამოწეული.

— აჰა, ვიპოვე. არა! აჯობებს, თუ თავად წავალ. მე უფრო ვიჩქარებ. ვიცი, სადაც იქნება.

მისის ფოსტერი სასწრაფოდ გადმოვიდა მანქანიდან და კიბე აირბინა, ცალ ხელში გასაღები ეჭირა. გასაღები კლიტის ჭუჭრუტანაში შეასრიალა და ის-ის იყო, უნდა გადაეტრიალებინა, რომ უცებ შეჩერდა. თავი მაღლა ასწია და გაშეშდა. ამ სისწრაფეში მისმა მთელმა სხეულმა მოქმედება შეწყვიტა და ისიც იცდიდა — ხუთ, ექვს, შვიდ, რვა, ცხრა, ათ წამს, კვლავ იცდიდა. მისის ფოსტერი ისე მყარად იდგა და თავი მაღლა აემართა, რომ გეგონებოდათ, სახლის სიღრმიდან გამომავალი ხმის უკუგამოძახილს უგდებდა ყურს.

დიახ! ცხადი იყო, რომ ნამდვილად რაღაცას უსმენდა. სხეულის მიხვრა-მოხვრაზე ეტყობოდა, რომ აშკარად მსმენელის პოზიციაში იმყოფებოდა. მისი ერთ-ერთი ყური სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა კარს. აი, ახლა მთლად კარს აკრობოდა და რამდენიმე წამის განმავლობაში ასე, გაუნძრევლად იდგა — მაღლა აწეული თავით, კარზე მიწებებული ყურით, ხელში ჩაბღუჯული გასაღებით, თითქოს ეს-ესაა სახლში უნდა შევიდეს, მაგრამ თავს იკავებს, ცდილობს, ან უბრალოდ ასე ჩანს, რომ ცდილობს, კარგად გაიგონოს და გაანალიზოს სახლის სიღრმიდან მკრთალად წამოსული ხმებიო.

შემდეგ, უეცრად გამოერკვა. გასაღები კლიტიდან გამოაძრო და კიბეზე ჩამოირბინა.

— უკვე გვიანაა! — დაუძახა მძღოლს, — ვეღარ დაველოდები, უბრალოდ არ შემიძლია, რომ დაველოდო. თვითმფრინავი გამასწრებს. იჩქარეთ, მძღოლო, იჩქარეთ! აბა, აეროპორტისკენ!

→

როალდ დალი

მაღლა, ცათა სასუფევლისკენ

დასასრული

მძღოლი მას ყურადღებით აკვირდებოდა, შესაძლოა, ისიც კი შენიშნა, რომ ქალბატონი გაფითრდა და მისი გამომეტყველება უეცრად შეიცვალა. იმ მოკრძალებული და გულუბრყვილო იერის ნატამალიც კი აღარსად ჩანდა. უჩვეულო სიმტკიცეს დაევანებინა მის პირისახეზე. მომცრო ბაგეები, უმეტესად მოშვებული, მოდუნებული, ახლა მკვრივი და თხელი გამხდარიყო, თვალები უბრწყინავდა, საუბრისას კი მის ხმას მბრძანებლური ტონი დაჰყვებოდა.

— იჩქარეთ, მძღოლო, იჩქარეთ!

— თქვენი მეუღლეც თქვენთან ერთად არ მოემგზავრება? — ჰკითხა განცვიფრებულმა მძღოლმა.

— არა, რა თქმა უნდა. უბრალოდ უნდა დაგვმგზავრებოდა და კლუბამდე მიგვეყვანა. არა უშავს. გამიგებს. ტაქსის თავად გამოიძახებს. რაღას უცდით, მოეშვით საუბარს და დაიძარით! პარიზისკენ მიმავალ თვითმფრინავს უნდა მივუსწრო!

მისის ფოსტერი მძღოლს უკანა სავარძლიდან მითითებებს აძლევდა, აჩქარებდა და კაცმაც ისე სწრაფად გაიარა მთელი გზა, რომ ქალბატონი აეროპორტში დროზე ადრე გამოცხადდა. სულ მალე ატლანტის ოკეანის თავზე გახლდათ, თვითმფრინავის სავარძელში მოხერხებულად მოეწყო, ძრავის გუგუნს უსმენდა. ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, პარიზისკენ მიემართებოდა. განახლებული სულიერი განწყობილება კვლავ თან ახლდა. საოცარი ძალა იგრძნო, თანაც ისეთი უჩვეულო ფორმით, პირდაპირ განსაცვიფრებელი იყო. ოდნავ სუნთქვა ეკვროდა, ესეც მხოლოდ იმიტომ, რომ თავისმა მოქმედებამ გულწრფელად გააოცა. თვითმფრინავი სულ უფრო და უფრო შორდებოდა ნიუ-იორკსა და იმ ქუჩას, რომელზეც მისის ფოსტერი ცხოვრობდა და მის არსებასაც სიმშვიდის შეგრძნება ეუფლებოდა. როცა პარიზში ჩავიდა, იმდენად ძლიერი, თავდაჭერილი და დამშვიდებული იყო, რომ უკეთესს ვერც ინატრებდა.

მისის ფოსტერი შვილიშვილებს შეხვდა. და ახლა, როცა მათი პირისპირ, ცოცხლად ხილვის შესაძლებლობა მიეცა, გააცნობიერა, რომ ისინი სინამდვილეში უფრო თვალწარმტაცები იყვნენ, ვიდრე ფოტოებში.

„ანგელოზებივით მშვენიერები არიან", თავისთვის იმეორებდა მისის ფოსტერი. ყოველდღე ასეირნებდა, ნამცხვრებით უმასპინძლდებოდა, საჩუქრებით ანებივრებდა, გასაოცარ ისტორიებს უამბობდა.

კვირაში ერთხელ, სამშაბათობით, მისის ფოსტერი მეუღლეს წერილს სწერდა, სასიამოვნო, ინფორმაციით დახუნძლულ წერილს, რომელშიც ათასი ჭორ-მართალი ერია და ყოველთვის ერთი და იმავე სიტყვებით მთავრდებოდა: „ძვირფასო, არ დაგავიწყდეს, რომ საჭმელი დროულად მიირთვა, თუმცაღა ვშიშობ, შენ ამას არ გააკეთებ, რაკი მე თვალყურს ვერ გადევნებ".

ექვსი კვირის შემდეგ, როცა მისის ფოსტერის ამერიკაში, მეუღლესთან დაბრუნების დრო მოვიდა, ყველა დანაღვლიანდა. ყველა, გარდა თავად მისის ფოსტერისა. სრულიად მოულოდნელი იყო, რომ ის ამას დიდად არ განიცდიდა და როდესაც გამომშვიდობებისას ყველა გადაკოცნა, მისი მიხვრა-მოხვრა და საუბრის მანერა ერთგვარ მინიშნებას იძლეოდა, რომ ახლო მომავალში კვლავ აპირებდა აქ დაბრუნებას.

როგორც ერთგულ ცოლს შეეფერებოდა, დრო არ გაუწელავს, დიდხანს არ დარჩენილა სტუმრად. ჩაფრენიდან ექვსი კვირის შემდეგ მეუღლეს ტელეგრამა გაუგზავნა და ნიუ-იორკისკენ მიმავალი თვითმფრინავით გამოფრინდა.

აიდლვაილდში ჩამოსულმა მისის ფოსტერმა გაკვირვებულმა აღმოაჩინა, რომ მანქანით არავინ დახვდა. შესაძლოა, ამ ფაქტმა ცოტა არ იყოს, გაახალისა კიდეც. თუმცა, შესაშურ სიმშვიდეს ინარჩუნებდა და ბარგის მზიდავისთვის, რომელიც ტაქსიმდე მისვლაში დაეხმარა, ფეხის ქირაც არ გაუმეტებია.

ნიუ-იორკში უფრო მეტად ციოდა, ვიდრე პარიზში. გზებზე თხრილები ჭუჭყიანი თოვლის გროვით ამოვსებულიყო. ტაქსიმ პირდაპირ მისის ფოსტერის სახლის წინ გააჩერა და ქალმაც მძღოლს დაავალა, რომ ორი უშველებელი ჩემოდანი კიბეზე აეტანა. შემდეგ გასამრჯელო გადაუხადა და ზარი დარეკა. კარგა ხანს იცდიდა, მაგრამ არავინ გამოჩენილა. ყოველი შემთხვევისთვის, კიდევ ერთხელ დარეკა. ახლა ზარის წკარუნის გამჭოლი ჟღერადობა გარკვევით გაიგონა სახლის უკანა მხარეს, საკუჭნაოში. თუმცა, კვლავ არავინ ჩანდა.

ამიტომაც მისის ფოსტერმა საკუთარი გასაღები ამოიღო და კარიც თავად გააღო.

სახლში შესვლისთანავე პირველი, რაც თვალში მოხვდა, იატაკზე უზარმაზარ გროვად დაყრილი წერილები გახლდათ. სავარაუდოდ ასე საფოსტო ყუთში შესრიალების შემდეგ უნდა მიმოფანტულიყვნენ. ირგვლივ სიბნელე და სიცივე ჩამოწოლილიყო. ბაბუის დანატოვარი საათი კვლავ მტვრისგან დამცავ ზეწარში იყო გახვეული. სიცივისდა მიუხედავად, ჰაერში რაღაც უცნაური სიმძიმე იგრძნობოდა და გამაბრუებელი, საშინელი ოფლის სუნი იდგა. ასეთი სუნი მისის ფოსტერს არასდროს უგრძნია.

დერეფანი სწრაფად გაიარა, ბოლოს მარცხნივ შეუხვია და ცოტა ხნით გაუჩინარდა. ეს მოქმედება, რაღაც მხრივ, აშკარად შეგნებული, წინასწარგანზრახული იყო. მისის ფოსტერს ისეთი ქალის იერი შეეძინა, რომ გეგონებოდათ, აი, სადაცაა არსებულ მითქმა-მოთქმას გამოარკვევს ან გონივრული ეჭვის საფუძველზე რაღაცას გამოააშკარავებსო და როდესაც რამდენიმე წამის შემდეგ უკან მობრუნდა, სახეზე კმაყოფილების ნაპერწკალი დასთამაშებდა.

დერეფნის შუაში გაჩერდა, თითქოს მომდევნო ეტაპზე რა უნდა გაეკეთებინა, იმაზე ჩაფიქრდა. მოულოდნელად მოტრიალდა და მეუღლის კაბინეტში შევიდა. სამუშაო მაგიდაზე მისამართების ცნობარი მონახა, ხანმოკლე გადაფურცვლა-გადმოფურცვლის შემდეგ ყურმილი აიღო და შერჩეული ნომერი აკრიფა.

— გამარჯობა, მისმინეთ, — და მისის ფოსტერმა საკუთარი მისამართი დაასახელა, — დიახ, ნამდვილად ასეა. როგორ ფიქრობთ, მოახერხებთ, რომ რაც შეიძლება მალე გამოგზავნოთ ვინმე? დიახ, როგორც ჩანს, მეორე და მესამე სართულებს შორის გაიჭედა. ყოველ შემთხვევაში, ინდიკატორი ასე უჩვენებს. ...უკვე? ო, როგორი ყურადღებიანი ბრძანდებით. იცით, ფეხები სათანადოდ აღარ მემორჩილება, რომ უამრავი სართული ავიარო. დიდ მადლობას მოგახსენებთ. ნახვამდის.

მისის ფოსტერმა ყურმილი დაკიდა, მეუღლის სამუშაო მაგიდასთან მოკალათდა და მოთმინებით დაუწყო ლოდინი ლიფტის შემკეთებელს, რომელიც მალე უნდა გამოჩენილიყო.

თარგმნა ირინა ნოზაძემ

გიორგი შერვაშიძე

უკანასკნელი ანტივაქსერი

მონოპიესა

დასასრული

ჩაბნელებულ სავარძელში მჯდომი ფეხზე დგება და ბოლთას სცემს. პაუზა იწელება. აქლემისტყავიანი მუცელზე ისვამს ხელებს და იჯღანება. ენყება მუცლის გვრემა. იკრუნჩხება, ძირს წვება და მოკუნტული იწყებს მონოტონურად რწევას.

— კარგით, ვთქვათ, ყველაფერი მართლაც ისე იყო, როგორც თქვენ ბრძანებთ და თქვენც 40 წელი მართლაც უდაბნოში დაეხეტებოდით. ვთქვათ, მართლაც შეძელით შეუძლებელი, იცხოვრეთ ნახევრად ველური მომთაბარე ტომივით და დღევანდელ დღემდეც უვნებლად მოატანეთ. მოატანეთ ამ თქვენი პირუტყვით, ურმებით, გეოლოგებით, მბურღავებით, უდაბნოში აშენებული ჭებითა და მობილური წყლის ავზებით. ვთქვათ, მართლაც სასწაულებრივად გადარჩით... და მაშინ სად არის ეგ თქვენი ახალი, აუცრელი თაობა? თაობა, რომელსაც 40 წლის განმავლობაში უდაბნოში ზრდიდით და გამოგყავდათ?

— მე უკანასკნელი ვარ ჩვენი წინააღმდეგობიდან...

— უკანასკნელი რაში? ხუმრობაში?

— უკანასკნელი, ვინც გადარჩა.

— უკაცრავად? ვეღარაფერს ვხვდები... და თქვენ ვინ ხართ?

აქლემისტყავიანი გაჭირვებით დგება და ისევ სავარძელზე ჯდება. იდაყვებით მაგიდას ეყრდნობა და მძიმედ სუნთქავს. აქამდე ფეხზე მდგომი თანამოსაუბრეც უბრუნდება თავის ადგილს.

— მე ვარ უკანასკნელი ანტივაქსერი. დიახ, მხოლოდ მე შევძელი 40 წელი უდაბნოში მეცხოვრა და გადავრჩენილიყავი.

— და დანარჩენები სად არიან? სადაა მოსე? მბურღავები? გეოლოგები და ურემში შებმული ხარები?

— აღარავინ აღარაა.

— ეგ როგორ?

— ჩვენ ერთმანეთი შევჭამეთ.

— რაااა???

— ვხუმრობ... ზოგი სიბერემ იმსხვერპლა, ზოგი გაუსაძლისმა პირობებმა და უმეტესობა კი დიფთერიამ.

— რამ იმსხვერპლა?

— დიფთერიამ. დაავადებაა ასეთი. მე-19 საუკუნის დასასრულსა და გასული საუკუნის დასაწყისში მძვინვარებდა. შემდეგ ვაქცინაციით შეაჩერეს. ჩვენთან რძით გავრცელდა და ეგრევე იფეთქა. ჩვენმა ახალმა და აუცრელმა თაობამაც, სამწუხაროდ, ეს სნეულება ვერ გადაიტანა. ჯერ წყლულებით დაიფარა და შემდეგ კი სუნთქვის უკმარისობით გარდაიცვალა. ჩვენს მარაგში არსებული ანტიბიოტიკები ვადაგასული აღმოჩნდა და ვეღარ იმოქმედა. და რადგან აცრაზე უარი გვქონდა ნათქვამი, ჩვენი ახალი თაობაც თვალსა და ხელს შუა გაქრა, აორთქლდა.

— და მოსე? სად იყო მოსე? საწვავს თუ ყიდულობდა, წამლები რატომ არ მოჰქონდა?

— შეგნებულად არ ვყიდულობდი, რადგან არ იყო გამორიცხული, უკვე მედიკამენტებიც ნანოჩიპებით გაძეძგილი ყოფილიყო. მეტიც, დარწმუნებულიც კი ვიყავი, ასეც იქნებოდა და მათი მიღებით დიდი უბედურება დაგვატყდებოდა თავს.

აქლემისტყავიანი ხმას უწევს და ხელისგულებს მაგიდას ურტყამს. სპაზმი უძლიერდება და ისევ კრუნჩხვა ენყება. ხელებს მუცელზე იხვევს და შუბლით მაგიდას ეკვრის. ჩაბნელებული სავარძლიდან ისმის ჩურჩული:

— იმაზე დიდი ვიდრე დაგატყდათ?

— რა თქმა უნდა. მათ ხომ კაცობრიობის გადაშენება, დამონება და შემდეგ კი მანქანებით ჩანაცვლება სურთ?!

— თქვენ მოსე ხართ?

— დიახ.

— ანუ იგივე აბესალომი? ამ ანტივაქსერული მოძრაობის ფუძემდებელი და ხელმძღვანელი?

— კი...

— და აქ რისთვის მოხვედით?

— ასაცრელად.

— და რატომ?

— ყველაფერმა აზრი დაკარგა... მოკლედ, რაც იქნება, იყოს... გიჟების მეფის ამბის არ იყოს, როცა გარშემო ყველა გაგიჟდა, სჯობს, შენც შეიშალო ჭკუიდან, ვიდრე საღ გონებაზე დარჩე და სხვებს უცქირო.

— იცით, სამწუხაროდ ვერაფრით დაგეხმარებით.

— რატომ?

— აღარანაირი ვაქცინა და წამლები აღარ არსებობს.

— ცრუობთ... და თქვენ? მაშინ თქვენ რით აიცერით?

— მე ხელოვნური ინტელექტი ვარ და აცრა არ მჭირდება.

სცენის ჩაბნელებული ნაწილიც ნათდება და ჩანს სავარძელში მჯდომი რობოტი, რომელსაც თავის ნაცვლად კლავიატურა აქვს.

— და სხვები? სხვები რით აცერით? იმათ ხომ სჭირდებათ აცრა?

— არა, აცრა აღარც მათ სჭირდებათ... იცით, თქვენ არა მარტო უკანასკნელი ანტივაქსერი, არამედ, მთელს დედამიწაზე უკანასკნელი ადამიანიც ბრძანდებით...

აქლემისტყავიანი და კლავიატურათავიანი მაყურებლისკენ ტრიალდებიან და გაკვირვებული სახეებით მხრებს იჩეჩავენ. ისმის კომიკური მუსიკა.

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტი **თამარ ჟურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
9 772346 794004